


საქმის განცხადება



ქართული
საქართველოს

სამაჴ ვატარიძე

ქართული
ასომთავრული



„ნაკადულო“

თბილისი

1980

81.2Гр
411.1(47.922)
ბ 212

პირველი გამოცემა

© „ნაკადული“, 1980


70803 — 156

II ————— 142 — 80

M-603(08) — 80

ქებაჲ და დიდებაჲ
ქართულისა ენისაჲ:

ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა
დამარხულ არს...



ივანე ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელია. სახელოვანმა მეცნიერმა უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული დამწერლობათმცოდნეობის, ანუ პალეოგრაფიის მეცნიერულ დარგს. თავისი ფუნდამენტური ნაშრომის წინასიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილი წერდა:

„წინამდებარე გამოკვლევა „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ დაწყებული მქონდა 1914 წ., როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვას შევუდექი, მაგრამ შევსებული და დაშთავრებული მაქვს 1918 — 1921 წწ., ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის შემდგომ, სადაც ამ ხნის განმავლობაში, სხვათა შორის, ქართული პალეოგრაფიის კურსსაც ვკითხულობდი“.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რომ 1921 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ უკვე დასრულებული ეს გამოკვლევა 1926 წლამდე გამოქვეყნებულიყო.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილი ამის გამო თბილისის უნივერსიტეტის „მოამბის“ მეორე ტომში გულისტკივილია აღნიშნავდა:

„ჩემ მიერ დამზადებული ქართული პალეოგრაფია რომ გამოქვეყნებული იყოს, ან იმედი მქონდეს, რომ მისი ახლო მომავალში გამოცემა მოხერხდებოდეს, მე შემემლო სიტყვა მოკლედ მომეჭრაო“—ო.

როცა 1926 წ. ივანე ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფია“ გამოქვეყნდა, ბოლოსიტყვაში დიდმა მეცნიერმა თქვა:

„ჩემი მიზანი იყო ქართველ მკვლევართა და მკითხველთათვის ცხად-მეყო, რომ ქართულ დამწერლობას თავისა მრავალსაუკუნოვანი საგულისხმო ისტორია აქვს, რომელიც ჩვენი ერის ინტენსიური კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედების ნაყოფია და რომლის შესწავლასაც ისეთივე ყუ-

რადღება უნდა მიექცეს, როგორც კულტურის ისტორიის სხვაგვარ გამოხატულებას. მინდოდა საისტორიო მეცნიერებათათვის ასეთ მნიშვნელოვან დარგსაც, როგორიც ქართული პალეოგრაფიაა, ჩვენში საფუძველი დახდებოდა და სპეციალური ღრმა კვლევა-ძიების საგნად ქცეულიყო“.

ასე სწამდა ივანე ჯავახიშვილს.

ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურობის ივანე ჯავახიშვილისეულმა კონცეფციამ გაუძლო დროსა და გამოცდას. უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის კონცეფციის წყალობით, ქართულ ისტორიულ მეცნიერებას ყოველთვის ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რათა დაეცვა ქართული დამწერლობის თვითმყოფადობისა და ეროვნულობის ზოგადი პრინციპი.

ყველა ერი თავის დამწერლობას, ავად თუ კარგად, თვითვე ჰქმნის. ეროვნული დამწერლობა იქმნება მაშინ, როცა ამისი მოთხოვნილება არსებობს. სხვა საკითხია, თუ რომელი დამწერლობის საფუძველზე ხდება ეროვნული დამწერლობის შემოღება. ქართული დამწერლობა, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არ წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული დამწერლობის კვლევის საქმეში გაწეულია ესოდენ დიდი შრომა, ამ დამწერლობის წარმოშობისა და სადაურობის საიდუმლოს საბოლოო ამოცნობა უნდა. ამ საიდუმლოს ამოცნობას, კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, არა მხოლოდ ვიწრო ეროვნული, არამედ ზოგად-კაცობრიული მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული ასომთავრული დამწერლობის კვლევისას მე მივეყვები იმ გზას, რომელიც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გაკვალა. მეტსაც ვიტყვი, ივანე ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფია“ ჩემი ნაშრომის საფუძველთა საფუძველია. ეს გარემოება დიდი მეცნიერისადმი ჩემი უღრმესი პატივისცემის გამოხატვის უფლებას მანიჭებს. ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ, ეს ნაშრომი მის ხსოვნას ვუძღვნა.

„ქართული ასომთავრული“ ივანე ჯავახიშვილს ეძღვნება.



ქართული ასომთავრული

ქართული ანბანი

ქართული ანბანური დამწერლობის სამი გრაფიკული ნაირსახეობა არსებობს: 1. ასომთავრული ანუ მრგლოვანი, 2. ნუსხური ანუ ნუსხა-ხუცური და 3. მხედრული.

ასომთავრული ანუ მრგლოვანი ქართული დამწერლობა უძველესია ქართულ დამწერლობათა შორის. იგია სათავე და პირველწყარო ნუსხური და მხედრული დამწერლობისა. დროთა მანძილზე, გრაფიკული ტრანსფორმაციის შედეგად, ასომთავრული დამწერლობის საფუძველზე ჯერ ნუსხური, ხოლო შემდეგ ნუსხურის საფუძველზე მხედრული დამწერლობა შეიქმნა.

XIX საუკუნის დამდეგამდე ხმარებაში იყო ქართული დამწერლობის სამივე სახეობა. თანდათანობით, ბეჭდური საქმის დამკვიდრებისა და განვითარების შედეგად, ქართულმა მხედრულმა დამწერლობამ უპირატესობა მოიპოვა და ერთადერთ ქართულ დამწერლობად იქცა, ხოლო ასომთავრული და ნუსხა-ხუცური დავიწყებას მიეცა.

I. მხედრული დამწერლობა თანდათანობით იქმნებოდა ქართული დამწერლობის უფრო ადრეული, ნუსხური დამწერლობის საფუძველზე. მხედრული დამწერლობის უძველესი ძეგლები XI საუკუნიდან გვაქვს. კერძოდ, ბაგრატ IV-ის შიომღვიმის 1058 წლის შეწირულობის წიგნი (Ad-14), იმავე ბაგრატ IV-ის ოპიზის სიგელი 1060—1065 წლებისა (Sd-1201) და სხვ.

მხედრული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული ეს უძველესი ძეგლები ცხადყოფენ, რომ მხედრული დამწერლობა გაცილებით ადრეა შექმნილი. XI საუკუნის მხედრული დამწერლობის ძეგლები უკვე იმდენად სრულყოფილი და დახვეწილია, რომ ცხადია, იგი გაცილებით ადრე უნდა გამოჰყოფოდა ნუსხურ დამწერლობას და გაცილებით ადრე უნდა ქცეულიყო დამწერლობის დამოუკიდებელ გრაფიკულ სახეობად. სამწუხაროდ, რა დროიდან უნდა დავიწყოთ მხედრული დამწერლობის არსებობის ისტორია, ჯერჯერობით არ ვიცით.¹

მხედრული დამწერლობის ადრეულ ნიმუშებს ივანე ჯავახიშვილი მრგლოვან ნუსხა-ხუცურს და მდივან-მწიგნობრულ დამწერლობას უწოდებს. ივანე ჯავახიშვილი წერს:

„მრგლოვანი ნუსხა-ხუცური (ე. ი. ადრეული მხედრული — რ. პ.) პირველად, მართალია, XI საუკ. ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ ეს ამ დამწერლობის უკვე ჩამონაკეთილი გამოხატულებაა, მისი წარმოშობის ხანა კი, რასაკვირველია, ამაზე უწინარეს არის საგულისხმებელი. ამ შემთხვევაშიაც წარმოშობის პროცესი, უეჭველია, კერძო პირთა კუთხოვან ნუსხა-ხუცურის გაკრულ ხელში ან ავხელად დაწერილ ნუსხებში უნდა ვეძიოთ, და სწორედ ასეთი ხასიათის ძეგლები მოგვცემენ მომავალში კუთხოვანი ნუსხა-ხუცურის მრგვალოვანად გარდაქმნის ყველა საფეხურს“.²

¹ წიგნის ეს ნაწილი უკვე დაწერილი და გამოქვეყნებული იყო, როცა გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ ატენის სიონის კედლებზე შიაკლიეს მხედრული დამწერლობის უფრო ადრეულ IX და X სს. წარწერებს. ამიერიდან მხედრული დამწერლობის ნიმუშები IX საუკუნიდან დასტურდება.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949 წ. გვ. 189, 190.

მხედრულ დამწერლობას, უძველესი ნიმუშებიდან მოკიდებული ბეჭდური ხელოვნების დამკვიდრებამდე, გრაფიკული განვითარების საკუთარი გზა აქვს გამოვლილი.

II. ნუსხური დამწერლობა თანდათანობით იქმნებოდა უფრო ადრეული ასომთავრული ანუ მრგოლოვანი დამწერლობის საფუძველზე. ნუსხური დამწერლობის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული ნიმუშია სინას მრავალთავის 864 წლის ანდერძი ნუსხური ხელი ამ ანდერძში იმდენად სრულყოფილი, დახვეწილი და დასრულებულია, რომ, ცხადია, იგი გაცილებით ადრეა შექმნილი.

ივ. ჯავახიშვილი ამის გამო წერს:

„IX ს-ში ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით დამთავრებულ-ჩამონაკეთილი დამწერლობაა, ამიტომ მისი დასაწყისის ხანა და თანდათან ჩამონაკეთის პროცესი IX ს-ზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ვიგულისხმოთ... ის ღრმა ცვლილება, რომელიც ასომთავრული ასოების მოხაზულობას გამოუვლიათ, სანამ ისინი საბოლოოდ ნუსხა-ხუცური ასოების სახეს მიიღებდნენ, გვაფიქრებინებს, რომ ნუსხა-ხუცურის წარმოშობა-ჩამონაკეთის პროცესი ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო... თუ ამ დასაწყისის ხანის ქრონოლოგიურად განსაზღვრა ამჟამად დაახლოებითაც კი არ შეიძლება, მისი საბოლოო ჩამონაკეთილობის დროის დაახლოებით გამორკვევა დაუძლეველ საქმეს არ წარმოადგენს. „3“ და „ა“ ასოების ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში შენარჩუნება ამტკიცებს, რომ მისი ჩამონაკეთვა იმ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც ამ ბგერებს ჯერ კიდევ რეალური მნიშვნელობა ჰქონდათ... მეორე მხრით, რაკი ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში ბ, ვ და ყ თავგახსნილი მოხაზულობისანი არიან, ამიტომ ამ დამწერლობის საბოლოო ჩამონაკეთვა არ შეიძლება VII—VIII სს-ზე უწინარეს დროს მივაკუთვნოთ“.³

მე ვფიქრობ, ივ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი ვარაუდის სფეროში რჩება, რადგან ბ, ვ და ყ ასო-ნიშნების თავგახსნილი მოხაზულობა ნუსხურ დამწერლობაში ამ დამწერლობის საბოლოო ჩამოყალიბების უცილობელ ნიშნად არ გამოდგება.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949 წ., გვ. 187.

ჩემი თვალსაზრისით, რაც აგრეთვე ვარაუდის სფეროში რჩება, ნუსხური დამწერლობა კიდევ უფრო ძველია, მაგრამ რა დროიდან უნდა დავიწყოთ ნუსხური დამწერლობის არსებობის ისტორია, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ვიცით. უპირველესი ამოცანაა, ჯერ ასომთავრული დამწერლობის წარმოშობის ხანა გაირკვეს და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ვიფიქროთ ნუსხური დამწერლობის წარმოშობის შესახებ.

ნუსხური დამწერლობით საქართველოში სარგებლობდნენ დიდხანს; საეკლესიო ხასიათის თხზულებანი, უპირატესად, ამ დამწერლობით სრულდებოდა. საკუთრივ ნუსხურ დამწერლობას, დროთა მანძილზე, განსაკუთრებული გრაფიკული ტრანსფორმაცია არ განუცდია. მისი ჩამოყალიბება, როგორც დამწერლობის სახეობისა, IX ს. უკვე დამთავრებულია.

III. ქართული **ასომთავრული** ანუ **მრგლოვანი** ქართული დამწერლობის უძველესი სახეობაა და ერთ-ერთი არქაული ანბანური დამწერლობაა მსოფლიოში. ასომთავრული ანბანის შექმნისა და შემოღების საკითხს ეძღვნება ჩვენი ეს გამოკვლევა. ასომთავრულით იწერებოდა ძველი ქართული წერილობითი ძეგლები უძველესი დროიდან დაახლოებით XI საუკუნემდე. X-XI საუკუნეებიდან უპირატესობა ნუსხურმა მოიპოვა. მაგრამ ასომთავრულ ასო-ნიშნებს იყენებდნენ მთავრულ ასოებად ნუსხურ დამწერლობაში. მონუმენტური ხასიათის წარწერები ქვაზე ბოლო ხანებამდე (მხედრულის გაბატონებამდე) ასომთავრულით სრულდებოდა.

ამგვარად, როგორც უკვე ითქვა, ქართული დამწერლობის სამი სახეობა არსებობს. გრაფიკული თვალსაზრისით ამ დამწერლობათა შორის დიდი სხვაობაა, მათი გრაფიკული სტრუქტურა სხვადასხვაა.

I. ქართული **ასომთავრული** დამწერლობა მონუმენტური ანუ კაპიტალური დამწერლობაა, მსგავსად ბერძნული კაპიტალური დამწერლობისა და ლათინური მონუმენტური დამწერლობისა. ასეთი დამწერლობის დამახასიათებელი თვისებაა ასო-ნიშნების გეომეტრიული სწორხაზოვნობა, სიმეტრიულობა; ყველა ასო-ნიშანი თანაბარი სიმაღლისაა და ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდება.

ივ. ჯავახიშვილი წერს:

„ასომთავრული დამწერლობის ასოები ყოველთვის ორ ხაზს შუა არის ზოლმე მოქცეული და მათი სიგრძე მუდამ ერთნაირია“.⁴ ე. ი. ქართული ასომთავრული ორხაზოვან სისტემის დამწერლობაა. ვრცლად ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურის შესახებ ქვემოთ ვიტყვი.

II. ნუსხური დამწერლობა გრაფიკული სტრუქტურის თვალსაზრისით ძირეულად განსხვავდება ასომთავრული დამწერლობისაგან. ნუსხური ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაა და ასო-ნიშნების ტოლმეტობის პრინციპზეა დაფუძნებული. ივ. ჯავახიშვილი „ქართულ პალეოგრაფიაში“ წერს:

„ნუსხური დამწერლობა, რომელიც ოთხხაზოვან ბადეზეა დამყარებული და გრძელ და მოკლე, ტოლმეტ ასოთა სისტემას წარმოადგენს... დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ასოთა ტოლობა და ერთგეარობა მათ გარჩევას აძნელებს, მათი ტოლმეტობა კი, პირიქით, ადამიანს ძალიან უადვილებს კითხვას... ასოთა ურთიერთშორისი განსხვავება სიდიდით, განსაკუთრებით კი თავიანთი ზედა თუ ქვედა ტანის სიგრძე-სიმოკლითა და მოყვანილობით თითოეულ მათგანს უფრო მეტ ნიშანდობლივობას და მკაფიობას ანიჭებს“.⁵

ამგვარად, ასომთავრულსა და ნუსხურს შორის გრაფიკული სტრუქტურის თვალსაზრისით დიდი სხვაობაა. გარდა ამისა, ასომთავრული არქაული ხანის დამწერლობაა, ნუსხური კი უფრო გვიანდელი ხანის ძეგლია.

III. მხედრული დამწერლობა, მსგავსად ნუსხურისა, ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაა, მაგრამ თავისი გრაფიკული აღნაგობით დიდად განსხვავდება ნუსხურისაგან, ე. ი. თუ ასომთავრულისა და ნუსხურის ურთიერთმსგავსება რამდენადმე შესამჩნევია, გრაფიკული მსგავსება ნუსხურსა და მხედრულს შორის კიდევ უფრო ნაკლებია.

მხედრული სახეობა დამწერლობისა ყველაზე გვიან შემოდებული დამწერლობაა, რომელიც დღეს შესანიშნავად ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 106.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 113.

ქართულ დამწერლობათა აღმნიშვნელი ტერმინები გარკვეული აქვს ივანე ჯავახიშვილს თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“. ამის გამო მე მხოლოდ მოკლედ ვიტყვი.

ასომთავრული დამწერლობის სინონიმად ძველ ქართულ ხელნაწერებში ტერმინი **მრგლოვანიც** იხმარება. ივანე ჯავახიშვილი წერს: „XII ს-ის ტბეთის სახარების ანდერძში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „საყდარსა ტბეთისასა ისხნეს ძუელნი წიგნნი მრავალნი“, რომელნიც „მრგულოვანისა“ ანბანით ყოფილან ნაწერი“.⁶

სულხან-საბა ორბელიანი მრგლოვანი დამწერლობის შესახებ ამბობს:

„მრგლოვანი ლათინთ წიგნთ მსგავსად ასომთავრული ნაწერი არის“-ო.⁷

იგივე „**მრგლოვანი**“ ტერმინის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „როგორც ქართული ტერმინის „მრგლოვანი“-ს მნიშვნელობიდან ჩანს, ამ დამწერლობის დამახასიათებელი თვისება მის ასოთა მრგვალი მოყვანილობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ რაკი ძველად, V—XII სს-ში, მრგვალი მოყვანილობის ასოები მომეტებულად ასომთავრულში გვხვდება, ...ამიტომ ძველი საქართველოსათვის „მრგლოვანი“ დროთა განმავლობაში ასომთავრულის სინონიმად იქცა“.⁸

ასომთავრულისა და ნუსხურის სინონიმად იხმარება აგრეთვე ტერმინი „**ხუცური**“, ე. ი. ითქმის **ნუსხა-ხუცური** და **ასომთავრული-ხუცური** დამწერლობა. ტერმინი „**ხუცური**“ ამ დამწერლობათა ზოგადი სახელია.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ტერმინი გვიან შემოღებულია, მხედრული დამწერლობის არსებობის ხანაში, ე. ი. მხედრულ, ანუ საერო დამწერლობას ხუცური ანუ საეკლესიო დამწერლობა უპირისპირდება. ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხის შესახებ წერს:

„ჩვენი თანამედროვე ჩვეულებრივი წარმოდგენით მთელი ქართული დამწერლობა ორ მთავარ დარგად განიყოფება:

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 118.

⁷ იქვე, გვ. 118.

⁸ იქვე, გვ. 118-119.

ხუცურ და მხედრულ დამწერლობებად... მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა... როგორც ჩანს, ტერმინები „ხუცური“ და „მხედრული“ XIII საუკ. დამლევა და XIV საუკ. დამდევს უნდა იყოს შემოსული. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ქართული დამწერლობის ხუცურად და მხედრულად დაყოფა მერმინდელია და უძველეს ხანისათვის და XIII საუკ. დასასრულამდე ქართული დამწერლობისათვის არც დამახასიათებელია და არც შესაფერისი“.⁹

მე ვფიქრობ, გასარკვევია „ხუცური“ ტერმინის რაობა, რაკი ამ ტერმინით შეიძლება ასომთავრული დამწერლობაც იგულისხმებოდეს და ნუსხური დამწერლობაც. ამ დამწერლობებს შორის კი, გრაფიკული თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, დიდი სხვაობაა.

ქართული დამწერლობის კლასიფიკაციის გამო კორნელი კეკელიძე წერს:

„ჩვენ ორგვარი ანბანი გვაქვს: ხუცური და მხედრული; ამ ორი ანბანით არის წარმოდგენილი ყველა ჩვენი ძველი ლიტერატურული ძეგლი. ხუცური ანბანი თავის მხრივ ორნაირია: ასომთავრული და ნუსხური“.¹⁰ კ. კეკელიძე ფაქტიურად იმეორებს დავით კარიჭაშვილის თვალსაზრისს ქართული დამწერლობის კლასიფიკაციის შესახებ. ოღონდ დავით კარიჭაშვილს ეს თვალსაზრისი უკეთ აქვს გამოთქმული. იგი წერს:

„ჩვენ გვაქვს ორნაირი ანბანი — ხუცური და მხედრული. ხუცურიც, თავის მხრივ, ორნაირია: ასომთავრული და ნუსხური. ასე რომ, დღეს ნამდვილად გვაქვს სამნაირი ანბანი: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. სამივე ეს ანბანი ერთი და იგივე ანბანია, მხოლოდ დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახე და ხასიათი აქვს მიღებული თვითეულს მათგანს. ასომთავრულისგან წარმოსდგა ნუსხა-ხუცური, ხოლო ნუსხა-ხუცურისაგან მხედრული“.¹¹

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 115-116.

¹⁰ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969 წ., გვ. 6.

¹¹ დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1914 წ. გვ. 29.

ამგვარად, ჩვენ ორგვარი ანბანი კი არა გვაქვს, არამედ ქართული დამწერლობის სამი სახეობა არსებობს: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. კლასიფიკაციის ეს პრინციპი განხორციელებულია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, რომლის ინსტრუქცია შემუშავებულია თვით ივანე ჯავახიშვილის მიერ.

თეიმურაზ ბაგრატიონის თვალსაზრისით, ტერმინი „ხუცური“ ქურუმთა დამწერლობას ნიშნავს, „მხედრული“ კი საერო დამწერლობაა. კერძოდ, თეიმურაზ ბაგრატიონი წერს:

„არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი, ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და გევის-ბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი. წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“.¹²

დღესდღეობით ქართულ დამწერლობათა ურთიერთმიმართების საკითხი უკვე გამორკვეულია. აღარ არის დავა იმის შესახებ, თუ ქართული დამწერლობის რომელი სახეობაა უფრო ძველი: ასომთავრული, ნუსხური თუ მხედრული.

აღსანიშნავია, რომ ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები, მათი თანამიმდევრობა მეცნიერულ საფუძველზე პირველმა გაარკვია ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ (1826—1890). ეს იყო პირველი დიდი წარმატება ქართული დამწერლობათმცოდნეობის მეცნიერულ დარგში.

ამის შესახებ მამია დუმბაძე წერს:

„დ. ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ისტორიის დამხმარე დისციპლინას — ქართულ პალეოგრაფიას... მართალია, დ. ბაქრაძეს ქართული პალეოგრაფია სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე არ აუყვანია, ეს მხოლოდ აკად. ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა, მაგრამ დ. ბაქრაძის მიერ მოპოვებულმა მა-

¹² თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება. იხ. გურამ შარაძე. თეიმურაზ ბაგრატიონი, თბილისი, 1972 წ. გვ. 125, 126.

სალამ და მისმა პირველმა დაკვირვებებმა ეს საგანი თავი-
სებურად გააფორმეს.¹³

„1881 წ. რუსეთის V არქეოლოგიურ ყრილობაზე დ. ბაქ-
რაძე გამოვიდა მოხსენებით — „Грузинская палеогра-
фия“, — რომელიც ყრილობისავე მასალებში გამოქვეყნდა....
აღნიშნულ წერილში და შემდეგ ისტორიის წიგნში (იგუ-
ლისხმება დიმიტრი ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი უძვე-
ლესი დროიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე“, ნაწ. I,
1889 წ. თბილისი. შენიშვნა ჩემია. რ. პ.) დ. ბაქრაძემ პირ-
ველმა შეიტანა გარკვეულობა ქართული ანბანის თანდათანო-
ბითი განვითარების საკითხში... ბაქრაძემ გაარკვია ქართული
ანბანის განვითარების საფეხურები. მან მართებულად დაას-
კვნა, რომ ქართულმა ანბანმა თავისი განვითარების გრძელი
და მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო, რომ ასომთავრული
ხუცური ანბანი ჩვენთვის ცნობილი პირველი საფეხურია,
ხოლო ხუცური (იგულისხმება ნუსხური. რ. პ.) — მისი განვი-
თარების შემდგომი ფორმაა; რომ მხედრული ანბანი, როგორც
ხუცურიდან (იგულისხმება ნუსხური, რ. პ.) განვითარებული,
წარმოადგენს უმაღლეს დახვეწილ ფორმას. თავისი დებულე-
ბა ბაქრაძემ გაამაგრა პალეოგრაფიული ანალიზით. მან დაამ-
ტკიცა, თუ როგორ თანდათანობით დაიხვეწა ასომთავრული-
დან და შემდეგ ნუსხა-ხუცურიდან მხედრული... ბაქრაძის
ნაშრომებში გამოქვეყნებული მდიდარი ეპიგრაფიკული მასა-
ლა სათანადოდ გამოყენებულ იქნა აკად. ივ. ჯავახიშვილის
კაპიტალურ ნაშრომში — „ქართული პალეოგრაფია“.¹⁴

ამგვარად, ქართული დამწერლობის კვლევას უთუოდ დი-
მიტრი ბაქრაძემ ჩაუყარა საფუძველი. ქართული ანბანის შემ-
დგომი კვლევის თვალსაზრისით დიმიტრი ბაქრაძის შრომას
უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოდ, ამ ვითარების
შესახებ კ. კეკელიძე წერს:

„ჩვენს ისტორიულ მწერლობაში დიდი კამათი იყო იმის

¹³ მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღ-
ვაწეობა), ბათუმი, 1960 წ., გვ. 147.

¹⁴ მამია დუმბაძე, იქვე, გვ. 149.

შესახებ, თუ რომელი ანბანი უფრო ადრინდელია: ხუცური თუ მხედრული. ერთი ჭგუფი მეცნიერთა, ილ. ოქრომჭედლი-შვილის მეთაურობით, ამტკიცებდა, რომ მხედრული ანბანი უფრო ძველია, ის შემოღებულია ფარნავაზ მეფის დროს, რომლის შესახებ მემათიანე ამბობს, რომ მან შექმნა მწიგნობრობა ქართულიო, ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი შეიქმნა, ანდა გადმოკეთდა მხედრულიდან ხუცური ანბანიო. მეორე ჭგუფი მეცნიერთა, დ. ბაქრაძის მეთაურობით, ამტკიცებს, რომ თავდაპირველი ანბანი არის ასომთავრული ხუცური, რომლისაგან ევოლუციის გზით, ჯერ გამოვიდა ნუსხა-ხუცური, ხოლო შემდეგ, X-XI სს., მხედრულიო. თავისთავად ცხადია, ასეთი კამათი შესაძლებელი იყო მაშინ, როდესაც ქართული პალეოგრაფია არ არსებობდა, დღეს კი, როდესაც მისი შესწავლის საფუძვლები უკვე ჩაყრილია, ყველასათვის უცილობელია, რომ თავდაპირველი ანბანი არის ასომთავრული ხუცური, მისგან განვითარდა ნუსხური, ხოლო უკანასკნელისაგან მხედრული. საკითხი ისმის მხოლოდ იმის შესახებ, როდის გაჩნდა ასომთავრული ხუცური“...¹⁵

ამგვარად, საკითხი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ იმას ნიშნავს, რომ გაირკვეს, როდის შეიქმნა და როგორ შეიქმნა ქართული ასომთავრული დამწერლობა.

ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ დაცულია ცნობები როგორც ქართულ, ისე სომხურ ისტორიულ წყაროებში. დიდად მნიშვნელოვანია XI საუკუნის ქართველი მემათიანის ლეონტი მროველის ცნობა, რომელიც დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“. ლეონტი მროველი წერს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ე. ი., ლეონტი მროველის ცნობით, ქართული ანბანი შემოღებულია ფარნავაზ მეფის დროს, ანუ IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ძველი წელთაღრიცხვით.

¹⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტომი, ტფილისი, 1923 წ., გვ. 23.

ლენტი მროველის ისტორიული ცნობის რაობა დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცულია კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, ტრადიციული ცნობა ქართული დამწერლობის სადაურობა-წარმოშობის შესახებ. ეს ცნობა დაცული ყოფილა კათალიკოს ანტონი II-ის კუთვნილ წიგნში „მატიანე შემეცნებათა“. 1822 წელს, ანტონ კათალიკოსის პეტერბურგში ყოფნის დროს, თეიმურაზ ბაგრატიონს ამოუწერია ეს ცნობა ანტონ კათალიკოსის კუთვნილი წიგნიდან, ხოლო 1836 წელს მარი ბროსემ თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, სადაც ეს ცნობაც მოიპოვება, გამოაქვეყნა ფრანგულად. სამწუხაროდ, ეს მეტად მნიშვნელოვანი, ქართული ტრადიციული ცნობა ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურობის შესახებ უსამართლოდ იყო მივიწყებული და მას ხელმეორედ მიაკვლია გურამ შარაძემ.¹⁶

ეს ცნობა გვაუწყებს:

„არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი, ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და გვეის-ბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და შემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენნი. ფარნავაზმან წერილთა მათთაგან განჰყო მხედრობისათვის თვისისა მხოლოდ გელით წერილი განყოფილი ასონი და არა სხვით რაითამე. მაგრამ წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“.

ამ ტრადიციული ცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა ფარნავაზ მეფის დრომდე არსებულა. ეს დამწერლობა ქართველ ქურუმთა მიერ ყოფილა შემოღებული და ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე შექმნილა.

ქართული ასომთავრული ანბანის ანალიზმა უნდა ცხად-

¹⁶ გურამ შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, თბილისი, 1972 წ., გვ. 122 — 127.

ყოს, რამდენად სამართლიანია ეს ტრადიციული ცნობა ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურობის შესახებ.

რაც შეეხება ცნობას ფარნავაზის მიერ მხედრული დამწერლობის შემოღების შესახებ, თუ კი ტრადიციულ ცნობაში ასეთი რამ იგულისხმება, სწორი არ არის, ანაქრონიზმია. რაკი ქართული დამწერლობა, ტრადიციული ცნობის მიხედვით, ფარნავაზამდე არსებულა, ამიტომ საფიქრებელია, ტრადიციული ცნობა ცდილობს გაარკვიოს ფარნავაზის დამსახურება ქართული დამწერლობის შემოღების საქმეში და ამით მოსპოს წინააღმდეგობა ლეონტი მროველის ცნობასა და ტრადიციულ ცნობას შორის. რადგან მხედრული დამწერლობა ფარნავაზის დროს არ შექმნილა, ამიტომ ტრადიციული ცნობა, ერთის შეხედვით, ეწინააღმდეგება ლეონტი მროველის ცნობას. ორიდან ერთი: ქართული დამწერლობა ან ფარნავაზის შემოღებულა ან ფარნავაზამდე არსებულა.

მიუხედავად ამ შეუსაბამობისა, ქვემოთ გაირკვევა, რომ ტრადიციული ცნობა არ ეწინააღმდეგება ლეონტი მროველის ცნობას. მთავარი ის არის, ისტორიული ხასიათის რა მოვლენებია ასახული ამ ცნობებში და რა ხასიათის ფაქტებია ნაგულისხმები ამ ცნობებში.

ერთი რამ ცხადია: ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცულია ცნობები ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ; ქართულ ისტორიულ ტრადიციას მიაჩნია, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია არა ქრისტიანულ ეპოქაში, არამედ წარმართულ ხანაში, რომ იგი შემოღებულა ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოქმნის ხანაში.

ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ ცნობები დაცულია აგრეთვე სომხურ ისტორიულ წყაროებში.

საგულისხმოა, რომ სომხურ წყაროებში დაცულია ორი სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობა ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ.

ერთი, ნაკლებ სარწმუნო ცნობით, ქართული დამწერლობის შექმნა მიეწერება ახ. წ. IV-V საუკუნეების სომეხ საზოგადო მოღვაწეს მესროპ მაშტოცს.

სომხური ანბანის შემქმნელის მაშტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერილი აქვს მაშტოცის მოწაფესა და მის თა-

ნაწედროვეს — კორიუნს. კორიუნის თხზულება მაშთოცის ცხოვრების შესახებ დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით ახ. წ. 443-444 წლებში.¹⁷

კორიუნის თხზულებაში აღწერილია, თუ რაოდენ ხანგრძლივი რუდუნების შედეგად შეიქმნა სომხური ანბანი; ამ სასიქადულო საქმის შესრულებაში მაშთოცი მარტო არ იყო, მას სხვებიც ეხმარებოდნენ. რაც შეეხება ქართულ და ალბანურ ანბანებს, მაშთოცმა ორივე დამწერლობა უცბად და სახელდახელოდ შექმნა. კერძოდ, ქართული ანბანის შექმნის შესახებ კორიუნის თხზულებაში წერია:

«...Затем спустя некоторое время любимец Христа (Маштоц) позаботился также и о варварских странах. И принялся он составлять письма на иверского языка, согласно милости, дарованной ему богом. Начертил он, расположил и наладил, как надлежало и взяв с собою кое-кого из лучших учеников своих, пустился в путь и прибыл в края иверов. Тут он представился царю иверов, по имени Бакур и епископу страны Мовсесу. Царь и воинство вместе со всеми областями по божиему велению покорно слушались его...»¹⁸

კორიუნის თხზულების ამ ნაწილიდან ირკვევა, რომ ქართული ენის არმცოდნე მაშთოცს ქართული ანბანი, ღვთის წყალობით, იქვე, სომხეთში შეუქმნია და ამის შემდგომ გამომგზავრებულა საქართველოში, სადაც მას სახელმწიფო მესვეურნი მოწიწებით შეხვედრიან.

ქართული ანბანის შექმნის ესოდენ გულუბრყვილო ვერსია თავისთავად დაუჭერებელია, მითუმეტეს, როგორც უკვე გამოჩვენებულია, ცნობა ქართულ-ალბანური ანბანების შექმნის შესახებ კორიუნის თავდაპირველ ტექსტში არ ყოფილა და ასეთი ცნობები გვიან შეუტანიათ კორიუნის თხზულებაში.

ივანე ჯავახიშვილმა „ქართულ პალეოგრაფიასა“ და „ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში“ ცხადყო, რომ კორიუნს მაშთოცი მხოლოდ სომხური ანბანის გამომგონებლად ჰყენილია მიჩნეული. ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ცნობა მაშთოცისაგან აგრეთვე ალბანურისა და ქართუ-

¹⁷ Корюн, Жизнь Маштоца, Ереван, 1962 წ., გვ. 49.

¹⁸ იქვე, გვ. 100-101.

ლი დასწერლობის გამოძგოხებლობაზე მერმინდელ ჩანართა წარმოადგენს და კორიუნის თხზულების მერმინდელი რედაქტორის დამატებული და შეტანილი უნდა იყოს“.¹⁹

ცნობა მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გვხვდება აგრეთვე „ეპისტოლეთა წიგნში“, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი მიმართულ მესამე წერილში. ამ ეპისტოლეში ვკითხულობთ:

„...მაგრამ ესლა ნუ დავიზარებთ, რომ განვაახლოთ სულიერი სიყვარული, რომელიც ორივე ხალხს შორის იყო, ის მოძღვრება, რომელიც ერთი წყაროდან მიგვიღია. ჯერ თვითონ მოიღეს ცხოვრების ნათელი, როგორც გვასწავლეს წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა, და შემდეგ ჩვენცა და თქვენც საერთო ღმრთისმსახურება დაგვითესეს ჯერ ნეტარმა წმინდა გრიგოლმა და შემდეგ მაშთოცმა, და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“.²⁰

აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეს ეპისტოლე 607 წელს არის დაწერილი. მაგრამ, როგორც ეს ზაზა ალექსიძემ გამოარკვია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ძველ რედაქციებში ანუ ეპისტოლეთა თავდაპირველ ტექსტში ცნობა მაშთოცის მიერ სომხური და ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ არ ყოფილა და იგი გვიან ჩაურთავთ ეპისტოლეში.

ამგვარად, კორიუნის თხზულებისა და ეპისტოლეთა წიგნის ცნობა მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გვიანდელი ჩანართი ანუ გვიანდელი ინტერპოლაცია ყოფილა. ამდენად, ეს ცნობები ყალბისმქნელთა ნახელავია და სათანადო ნდობას აღარ იმსახურებენ.

საკითხავია მხოლოდ, როდის უნდა შეთხზულიყო ასეთი ვერსია, კერძოდ, ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ?

ამ საკითხს უკვე ივანე ჯავახიშვილი არკვევდა. ივანე ჯავახიშვილის მიერ დასმული საკითხი საბოლოოდ ზაზა ალექსიძემ გაარკვია. პატივცემული მეცნიერი წერს:

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1935 წ., გვ. 181.

²⁰ ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1968 წ., გვ. 037.

„სომხური ლეგენდა მაშთოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ ცნობილი არ ყოფილა ჭერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისში:

V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპელის ნაშრომის პირველ წიგნში (ხაზი ჩემია. რ. პ.) ვრცლად არის საუბარი მაშთოცის ცხოვრების შესახებ და ერთადერთ წყაროდ კორიუნის თხზულებაა დასახელებული. მიუხედავად იმისა, რომ ლაზარე ფარპელი უხვად სარგებლობს კორიუნით, მან არაფერი იცის მაშთოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების გამოგონების შესახებ. ცხადია, ასეთი რამ არ ეწერა მის წყაროშიც (ე. ი. კორიუნის „მაშთოცის ცხოვრებაში“, რ. პ.).

ლაზარე ფარპელის თხზულების პირველი წიგნის საკითხით დაინტერესებული იყო ცნობილი სომეხი ფილოლოგი ნ. აკინიანი. მისი დასკვნით, იგი არ ეკუთვნს ლაზარე ფარპელის კალამს და შეთხზულია VIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნ. აკინიანის ეს ვარაუდი უაღრესად ანგარიშგასაწევია. ირკვევა, რომ მანაზკეტის 726 წლის კრებამდე (რომელზედაც საბოლოოდ გაიმიჯნა ქართლისა და სომხეთის ეკლესიები) არ ყოფილა ისეთი რედაქცია კორიუნის თხზულებისა, სადაც ქართული და ალბანური დამწერლობის გამოგონების შესახებ იქნებოდა საუბარი.²¹

ამგვარად, ცნობა მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ არ ყოფილა კორიუნის თხზულებაში ჭერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისში. ეს რაც შეეხება კორიუნის თხზულებას.

რაც შეეხება აბრაამ კათალიკოსის ეპისტოლეს, ამის შესახებ ზაზა ალექსიძე წერს:

„ცნობა მაშთოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ „ეპისტოლეთა წიგნში“ შეტანილია X საუკუნის შემდეგ.“²²

უნდა დავასკვნათ: ნატყუარ სომხურ ცნობებს ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ მეცნიერული მნიშვნე-

²¹ ზაზა ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 035, 042, 046.

²² იქვე, გვ. 046.

ლობა აღარა აქვთ. სხვა საკითხია, რა ვითარებამ გამოიწვია გვიან შეთხზული ცნობების ჩართვა აღრინდელი ავტორების თხზულებებში.

მაგრამ სომხურ საისტორიო მწერლობაში, ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, გვხვდება სხვა რიგის ცნობაც. კერძოდ, XIII საუკუნის სომეხი მემატიანე მხითარ აირივანეცი ავტორია „ქრონოგრაფიული ისტორიისა“. მისი ისტორიული ფაქტები ნასესხებია წინამორბედი ავტორებისაგან. კერძოდ, მხითარ აირივანეცი იცნობს სომეხ ავტორებს: სამუელ ანეცის, ვარდან აღმოსავლელს, კირაკოს განძაკეცის და სხვ.

მხითარ აირივანეცი თავისი ქრონოგრაფიის მესამე ნაწილში (ქრონოლოგიურად დალაგებულია ფაქტები ადამიდან ვიდრე ახ. წ. 1289 წლამდე) 4580 — 4636 წწ. ქრონოლოგიური პერიოდის ქვეშ აღნიშნავს:

„პირველმა ქართველმა მეფე ფარნავაზმა ექვსი ენისგან შექმნა ქართული ენა, მანვე შეუქმნა დამწერლობა ამ ხალხს“.

მხითარ აირივანეცის „ქრონოგრაფიული ისტორიის“ რუსული ტექსტი გამოსცა ქ. პატკანოვმა. რუსული თარგმანი ამ ციტატისა ასეთია:

«Первый царь грузинский Фарнаваз из шести языков составил грузинской язык и изобрел письмена для этого народа».²³

რამდენადაც მხითარ აირივანეცის „ისტორია“ ორიგინალური ნაწარმოები არ არის, არამედ კომპილაციური კრებულია სხვადასხვა ისტორიული ფაქტებისა, ამდენად, როგორც ქ. პატკანოვი აღნიშნავს, მხითარ აირივანეცი კარგად იცნობს წინამორბედ ისტორიკოსებსა და მემატიანეთ.

ცხადია, მხითარ აირივანეცმა კარგად იცის ე. წ. „მამთოცის“ ვერსია ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მხითარ აირივანეცი უცილოდ უპირატესობას ანიჭებს იმ ისტორიულ ცნობას, რომელიც ქართული ანბანის შექმნას ფარნავაზ მეფეს მიაწერს²⁴. რაც შეეხება სომხური

²³ Хронографическая история, составленная Отцом Мхитаром, Вардапетом Аириванским, перевод К. Патканова., СПб, 1869, 83. 384.

²⁴ მხითარ აირივანეცის შესახებ ცნობები მომწოდა საკითხის სპეციალისტმა ლიანა დავლიანიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

დამწერლობის წარმოშობის საკითხს, იგივე ქართული ტრადიციული ცნობა ამის შესახებ გვაუწყებს: „რაიცათვის ეყვის მწიგნობრობასა, არა იყო მათ (სომეხთა) შორის ძველთა შინა საუკუნეთა... იგინი (სომეხები) სარგებლობდეს პირველ ბერძულითა წიგნითა და ქართულითა, ქრისტეს მოსვლითგან მრავალთა წელთა განვლეს, მერმე ქმნეს სომეხთა წერილი თვისი, რომელსაცა იტყვიან იგინი მოძღვრისა მათისა მესროფისათვის, ვითარმედ მან განაწესა და ქმნა ასონი მათნი, მსგავსნი ქართულის ხუცურის წერილისა.

წერილს ქართულსა სომხური რომელნიმე ასონი ჰგვანან და არა ყოველნი. სომეხნი ვიეთნიმე იტყვიან, რომ სომხური წიგნის ასოები და ქართულის წიგნის ასოები ხუცურიო მესროფმა გააკეთათ. მაგრამ ქართული ხუცური ასოები მესროფს არ გაუკეთებია, დიდი ტყუილი არის. მანამ მესროფ დაიბადებოდა და ამ სოფელში შემოვიდოდა, აგრეთვე ქართული ხუცური წიგნი იყო და მესროფზედ უწონ, საღმრთოს წერილის მთარგმნელნი ჩვენთა წმიდათა ქართველთა მამათაგანი მრავალნი იყვნეს, რომელნიც ებრაულისაგან და ბერძნულისა და ასურულისაგან ქართულად სთარგნიდნენ.

და ოდეს სრულებით არა აქვდათ ჯერეთ სომეხთა წერილნი თვისთა ზედა ენათა სარგებლობდეს და ხმარობდეს იგინი ქართულითა წიგნითა და წერილითა“.²⁵

ამგვარად, უნდა დაეასკვნათ, რომ ქართულ და სომხურ ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებით, ქართული დამწერლობა შექმნილია წარმართულ ხანაში და შემოღებულია ქართველთა პირველი მეფის ფარნავაზის მიერ.

სხვა თვალსაზრისი ქართული დამწერლობის წარმოშობისა ქართულმა ისტორიულმა ტრადიციამ არ იცის. უფრო მეტიც, საუკუნეების მანძილზე ქართველ მოღვაწეებს ეს ტრადიცია უცილობელ ჭეშმარიტებად მიიჩნდათ: XVII საუკუნეში სულხან-საბა ორბელიანი ქართული მწიგნობრობის წარმოშობის შესახებ წერს:

„ენა ქართული შესრულებული და განვრცელებული და განრკვეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ,

²⁵ გურამ შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, თბილისი, 1972 წ., გვ. 123 — 126.

ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიან-
თა წარმართი“.²⁶

XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი ქართული დამ-
წერლობის წარმოშობის შესახებ წერდა:

„ესე ფარნაოზ იყო პირველი მეფე ქართლისა, მან აღა-
შენა და განავსნა ქუეყანა თვისი, მოზღუდნა ქალაქნი და ცი-
ხენი განამაგრნა, და შექმნა წიგნი ქართული და განავრცელა
ენა ქართული...“²⁷

თეიმურაზ ბაგრატიონი ამ საკითხს უფრო ვრცლად ეხება.
თავის ისტორიაში იგი წერს:

„ამან ფარნავაზ მეფემან... განავრცო და შექმნა ანბანი
მხედრული ქართულისა წერილისა... და რომელნიმე მეისტო-
რიენი ჩვენნი გულის-მსიტყველობენ, რომელ ხუცური იყო
პირველ ფარნავაზისა, არამედ მხედრულისა წერილისა
ჩვენისა, ყოველნი მომთხრობელნი ჩვენნი დაამტკიცებენ, რო-
მელ ფარნავაზ პირველისა მეფისა მიერ არს შექმნილი“.²⁸

როგორ უნდა გავიგოთ თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვე-
ბი: „... და რომელნიმე მეისტორიენი ჩვენნი გულის-მსიტყვე-
ლობენ, რომელ ხუცური იყო პირველ ფარნავაზისა...“?

ვფიქრობ, თეიმურაზ ბატონიშვილს მხედველობაში აქვს
ტრადიციული ქართული გადმოცემა იმის შესახებ, რომ ხუ-
ცური (იგულისხმება ასომთავრული!) დამწერლობა ფარნავა-
ზამდე არსებობდა, ხოლო რაც შეეხება მხედრულ ანბანს, იგი
ფარნავაზ მეფის შემოღებული უნდა იყოსო: „არამედ მხედ-
რულისა წერილისა ჩვენისა ყოველნი მომთხრობელნი ჩვენნი
დაამტკიცებენ, რომელ ფარნავაზ პირველისა მეფისა მიერ
არს შექმნილი“. ასეთი იყო ქართული ტრადიციული გადმო-
ცემები ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ. მაგ-
რამ დროთა ვითარებაში ქართული ტრადიციული გადმოცემე-
ბის რწმენა თანდათან ქრებოდა და დავიწყებას ეძლეოდა.

²⁶ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, თბ., 1965 წ.,
გვ. 32.

²⁷ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილი-
სი, 1973 წ., გვ. 57.

²⁸ თეიმურაზი; ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ე. ი. გიორგიისა, სპ.
1848 წ., გვ. 16.

საგულისხმოა, რომ მესხი იოანე გვარამაძის თვალსაზრისით, ქართული ანბანი შექმნილია ქალდეურ და ებრაულ დამწერლობათა საფუძველზე, მხედრული დამწერლობა კი ფარნავაზის შემოღებულია. ასე სწერდა გვარამაძე 1882 წელს. როგორც ჩანს, მესხი იოანე გვარამაძისათვის ცნობილი იყო ქართული ტრადიციული ცნობა ქართული დამწერლობის წარმოშობა-სადაურობის შესახებ.²⁹

თუმცა აკად. მარი ბროსე, ქართული ტრადიციის თანახმად, მხედრული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზ მეფეს მიაწერდა, ხუცური ანბანის გამოგონება მან უკვე მაშთოცის დამსახურებად მიიჩნია.³⁰ ეს იყო ქართულ-სომხური ვერსიების ერთდაგვარი მორიგების ცდა. რამდენადმე მსგავსი თვალსაზრისისა იყო სულხან ბარათაშვილიც, ოღონდ მაშთოცის მონაწილეობას ქართული ანბანის შექმნაში იგი უარყოფდა. იგი წერდა:

„ქართველი ხალხი ფარნავაზის მადლიერი ყველაზე უფრო, ვგონებ, წერა-კითხვის შემოღებისა და საკუთარი ეროვნული ანბანის, ე. წ. „მხედრულის“ მოგონებისათვის უნდა იყოს... მეოთხე საუკუნის სასულიერო წოდებამ შეადგინა ახალი ანბანი, ხუცური, ალბათ იმისთვის, რომ ამით უნდოდა აეშორებინა ხალხი ძველი წიგნების კითხვას.“³¹ ილია ოჭრომჭედლიშვილს მხედრული ანბანის შემომღებად ფარნავაზი მიაჩნდა, ხოლო მაშთოცი ქართული ანბანის შესაძლებელ რეფორმატორად.³²

სარგის კაკაბაძეს მაშთოცი ადრე არსებული ქართული დამწერლობის რეფორმატორად მიაჩნდა.³³

²⁹ ქართლის ცხოვრება, სასწავლებელში მეოფე მოწაფეთა და ყოველთა ქართველთა საკითხავად. მოკლედ შედგენილი მესხი იოანე მღვდელი გვარამაძისაგან. თბ., 1882, გვ. 53, 155.

³⁰ მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ., 1895, თარგმ. ლოლობერიძისა, გვ. 65 — 67.

³¹ საქართველოს ისტორია თავადის ს. ბარათაშვილისა, ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ. რკეული I, ქუთაისი, 1895 წ., გვ. 52, 53.

³² ილ. ოჭრომჭედლიშვილი, Об изобретении грузинского алфавита (Труды V археологического съезда в Тифлисе, 1881 წ., გვ. 222 — 225).

³³ ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, „საისტორიო კრებული“, I, ტფილისი, 1928 წ., გვ. 82-83.

ნიკო მარი მხედრულ დამწერლობას წარმართული კულტურის ძეგლად თვლიდა, ხუცურს კი ქრისტიანული ეპოქის ძეგლად აცხადებდა.³⁴

ასეთივე თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ინგლისელ მეცნიერს ალენს. მისი აზრით, მხედრული ფარნავაზის დროსაა შექმნილი, ხუცური კი შექმნილია მაშთოცის მონაწილეობის შედეგად.³⁵

ამრიგად, მიუხედავად დიმიტრი ბაქრაძის პალეოგრაფიული გამოკვლევებისა, რის შედეგად ცხადი გახდა, რომ მხედრული დამწერლობა არ შეიძლებოდა ფარნავაზ მეფის შემოდებული ყოფილიყო, კიდევ დიდხანს დიმიტრი ბაქრაძის შემდეგ მეცნიერები ცდილობდნენ, როგორმე მოერიგებინათ სომხურ-ქართული ტრადიციული ცნობები. ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი წერს:

„კორიუნის ცნობა არა ერთს მკვლევარსა და მეცნიერს სრულ ჭეშმარიტებად ჰქონდა მიჩნეული და ამის დამამტკიცებელი საბუთების მოძებნა-მოყვანაც უცდიათ. ამასთანავე, მესრობის მოგონილ ანბანად მათ ქართული ხუცური ასომთავრული დამწერლობა მიიჩნდათ, რომელშიაც სომხურა დამწერლობის იერსა ხედავდნენ. მაგრამ ზოგს მათგანს მხედრული ხუცურისაგან განსხვავებულ და დამოუკიდებელ დამწერლობად ეხატებოდათ, რომელიც ხუცურზე უძველესად იყო მიჩნეული. ამ აზრს აკად. ნ. მარი იცავს თავის უკანასკნელს, 1925 წ. გამოსულ ძველი სამწერლობო ქართულის გრამატიკაშიც: ხუცური აქ ქრისტიანობის დამწერლობად მიიჩნია, მხედრული კი — წარმართული დროის ქართული დამწერლობის ნაშთად ეხატება.

აქ, უეჭველია, ორივე სომხურ-ქართული, კორიუნ — ლ. მროველის ცნობის ერთგვარი გამართლებების ცდაა. თუმცა ნ. მარს ამ თავის უკანასკნელ ნაშრომში ნათქვამი აქვს, რომ ხუცური დამწერლობის დასაწყისის ხანა ჯერ გამორკვეულა არ არისო, მაგრამ აქ ალბათ ზედმიწევნითი განსაზღვრა იგუ-

³⁴ Н. Марр, Грамматика древне-литературного грузинского языка, JL 1925 წ., გვ. 1-2.

³⁵ Allen, A History of the Georgian People, London, 1932 წ., გვ. 309, 310.

ლისხმება, თორემ ისე მასვე აღნიშნული აქვს, რომ ხუცური ქრისტიანობის ხანის დამწერლობაა... ვგონებ, აღარავითარი ლაპარაკი საჭირო არ არის, თუ რამდენად შეუწყნარებელია ნ. მარის აზრი, ვითომც მხედრული ხუცურზე უძველესი იყოს...³⁶

რაც შეეხება ქართული დამწერლობის წარმომავლობის საკითხს, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისი გამოთქმულა. რომელი დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა ქართული ანბანი? ეს საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა.

ზოგიერთის, დღეს უკვე მოძველებული თვალსაზრისით, ქართული ანბანი (მხედრული) შექმნილია ჰინდური დევანაგარი დამწერლობის საფუძველზე (კლაპროტი³⁷); მარი ბროსე წერდა: „ფარნაოზის მეფობაში ქართული ენა, — როგორც მაშინ ყველა ენაზე უფრო გავრცელებული ქართლში — წარმატებაში შევიდა. მაშინ შეადგინეს ესრედ წოდებული მხედრული ქართული ანბანი, რომელიც აქამომდე ხმარებაშია; ეს ანბანი შეთხზულია მიმზგავსებით ზენდურ ასოებისა, რომელთაც ჩრდილოეთ სპარსეთში ხმარობდნენ. თვით სახელწოდება ახალ შეთხზულ ალფაბეტისა სრულიად უდრის ფეხლეურს, ე. ი. საგმირო ენას, რომლიდგანაც იგი წარმომდინარეობს და რომელსაც ძლიერ დაახლოვებული მნიშვნელობა აქვს ქართულს მხედრულთან“.³⁸

რაც შეეხება ქართულ ასომთავრულ დამწერლობას, მ. ბროსეს თვალსაზრისით, მაშთოცი ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს თითქოს ინდურ დამწერლობებს უნდა დასესხებოდა.³⁹

³⁶ ივ. ჭავჭავაძის, ქართული პალეოგრაფია, გვ. 195.

³⁷ კლაპროტი, *Aper de l'origine des diverses ecritures*, პარიზი, 1832 წ., გვ. 73. კორნ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული. ტურნ. „მნათობი“, № 5-6, ტფილისი, 1929 წ.

³⁸ მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბილისი, 1895 წ., გვ. 26.

³⁹ მარი ბროსე, *Elements de la langue Georgienne*, პარიზი, 1837 წ., გვ. 6—8.

მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ., 1895 წ., გვ. 65—67.

3. იუნკერის თვალსაზრისით, ქართული ანბანის საფუძველია ან. წ. IV საუკუნის ფალაურიდან მომდინარე ავესტა ანბანი.⁴⁰ ილია ოქრომჭედლიშვილის თვალსაზრისით:

„ფარნაოზმა საქართველოში შემოიღო ზენდური (ფეპლეური) ანბანი სპარსელებისაგან. ამას გვიმტკიცებს საოცარი მსგავსება ქართულ-ზენდურ ანბანებისა. მაგალითებრ, 25 ზენდური ასო სრულიად მიაგვანან ქართულსა“.⁴¹ ილია ოქრომჭედლიშვილს მხედველობაში აქვს ქართული მხედრული ანბანი.

ქართული ანბანის წარმომავლობის ამ უცნაური თეორიების გამო ივანე ჯავახიშვილის სიტყვები უნდა გავიხსენოთ. დიდი მეცნიერი წერდა:

„როგორც ხშირად სხვაგანაც მომხდარა, საქართველოშიაც საზოგადო და ფართო საკითხების გადაწყვეტას უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე პალეოგრაფიის ძირითადი საკითხების კვლევა-ძიებას: ჯერ ისიც კი გადაწყვეტილი არ იყო, თუ რომელი ანბანია უძველესი, ხუცური თუ მხედრული, ჯერ ქართული ანბანის უძველესი მოხაზულობა და მისი თანდათან განვითარება შესწავლილი არ იყო და მაინც ისეთი რთული საკითხის გადაწყვეტას ლამობდნენ, როგორც ქართული ანბანის სადაურობა“.⁴²

ქართული დამწერლობის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე ამ თეორიებს მეცნიერული მნიშვნელობა აღარა აქვთ. ივანე ჯავახიშვილი ამ თეორიების გამო ამბობდა:

„ვისაც ქართული ანბანის წარმოშობისა და სადაურობის საკითხი საგანგებოდ განხილული ჰქონდა, ამ საკითხის გადასაწყვეტად ან შესაფერისად აღჭურვილი არ იყო არც ქართულისა და არც სხვა ერთა დამწერლობის გრაფიკული განვითარების საფეხურის ცოდნით, ან ქართული დამწერლობის

⁴⁰ H. Junker, Das Avesta — Alphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift. *Caucasica* II (1925 წ.) და III (1926 წ.).

⁴¹ ილ. ოქრომჭედლიშვილი, „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“, „ივერია“ № 10, 1881 წ.

⁴² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 18.

სადაურობის საკითხს, სხვათა შორის, გაკვრით შეხება და მხოლოდ სომხური დამწერლობის წარმოშობის საკითხის გარჩევის დროს განუხილავს.⁴³

არსებობს ქართული ანბანის წარმომავლობის „ძველ-სპარსული“ თეორიაც:

3. ტეილორის აზრით, ქართული ანბანი შექმნილია ფაქლათურის საფუძველზე.⁴⁴ ჩვენში ამავე აზრისა იყო სარგის კაკაბაძე.⁴⁵

ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურობის „ბერძნულ-სომხური“ თეორია ჩვენში საბოლოოდ კორნელი კეკელიძემ ჩამოაყალიბა. თავისი თვალსაზრისი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ მეცნიერს გამოთქმული აქვს ორგზის: პირველად „ძველი ქართული ლიტერატურის“ I ტომში (ტფილისი, 1923 წ.), ხოლო მეორედ უკრნალ „მნათობის“ 1929 წლის მე-5/6 და მე-7 ნომრებში, წერილში „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“, ძღვნად ქართული მწერლობის 1500 და ქართული სტამბის 300 წლისთავს.

კორნელი კეკელიძის წერილებში ასახულია კრიტიკული დამოკიდებულება ქართული ისტორიული წყაროების მიმართ. მეცნიერმა საერთოდ უარყო ლეონტი მროველისეული ცნობის მნიშვნელობა ქართული დამწერლობის კვლევის საკითხში. ეს ცნობა მან ნდობის ღირსად არ სცნო. კ. კეკელიძე წერს:

„ცნობა, ვითომც ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული, ეკუთვნის მე-11 საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს და უძველესი ქრონიკა იმას არ იცნობს. სურათი ფარნავაზის დროის საქართველოსა, რომელიც დაუხატავს ლეონტი მროველს, უფრო ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ისტორიული სინამდვილისა. საეჭვო და ლეგენდარულია თვით ფარნავაზ მეფის არსებობა და პიროვნება (Н. Марр. Боги языческой Грузии, გვ. 5-6), მას „რეალური პიროვნების თვი-

⁴³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 236.

⁴⁴ W. Taylor, The Alphabet, II, გვ. 268.

⁴⁵ ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, „საისტორიო კრებული“, I, ტფილისი, 1928 წ., გვ. 82-83.

სებები აკლია“ (ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 135)⁴⁶

„მაშასადამე, ჩვენ ვერ შევიწყნარებთ ვერც მათიანის ცნობას ფარნავაზ მეფის შესახებ, რომელმაც ვითომცდა შექმნა მწიგნობრობა ქართული, ვერც იმ მოსაზრებებს, რომლითაც სურთ დაამტკიცონ, რომ ქართული მწერლობა არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოღებამდე ჩვენში“.⁴⁷

უარყო რა ლეონტი მროველის ქართული ისტორიული ცნობა დამწერლობის შემოღების შესახებ, კორნელი კეკელიძე ვარაუდობდა:

„ქართველ ტომებში ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის საჭირო პირობები ყოველ შემთხვევაში ქრისტიანულ ეპოქამდე... არ არსებობდა“.⁴⁸

უფრო მეტიც. მეცნიერი მტკიცედ აცხადებდა:

„ყოველივე ცდა, დამტკიცებულ იქნეს მწერლობის არსებობა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებამდე, უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს“.⁴⁹

ამ თვალსაზრისის საფუძველზე კ. კეკელიძე დასკვნის სახით ამბობდა: „ქრისტიანობის მიღებამდე ქართველებს მწერლობა არ ჰქონიათ და, მაშასადამე, ქართული ანბანიც არ ყოფილა... ქართველებს არამც თუ გაქრისტიანებამდის, გაქრისტიანების შემდეგაც ერთი საუკუნის განმავლობაში, მეოთხე საუკუნეში, მწერლობა არ ჰქონიათ...“⁵⁰ ის მხოლოდ მეხუთე საუკუნეში დაწყებულია აქ“.⁵¹

კ. კეკელიძის თვალსაზრისი ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხში კერძო და შემთხვევითი ნასიათისა კი არ არის, არამედ მეცნიერის ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარეობს. კ. კეკელიძე საერთოდ უარყოფს წარმართული ქართული კულტურის არსებობის შესაძლებლობას. იგი წერს:

⁴⁶ კორნ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, ჟურნ. „მნათობი“, 1929 წ., № 5/6, გვ. 161.

⁴⁷ იქვე, გვ. 160.

⁴⁸ იქვე, გვ. 160.

⁴⁹ იქვე, გვ. 161.

⁵⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტ., ტფილისი, 1923 წ., გვ. 25, 26.

⁵¹ ქართული კულტურის ორი დღესასწაული, გვ. 165.

„ანბანის შემოღება არ არის უმიზეზო, მექანიკური მოვლენა ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, ის ჰგულისხმობს მტკიცე ეკონომიურ ბაზას, რომელზედაც შესაძლებელია მრავალტომოვან ეროვნებაში ერთი ძლიერი ჰეგემონი ტომის და ამ ტომში მბრძანებელი კლასის ხელმძღვანელობით ჯეროვანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნა, აღმოცენება ცხოვრების კულტურული ფორმებისა და მოთხოვნილებებისა. უძველეს დროს; როდესაც ქართველთა სხვადასხვა ტომები ისტორიული საქართველოს საზღვრებიდან ჯერ კიდევ მოშორებით ცხოვრობდნენ, მათში კიდევ არ იყო აღნიშნული პირობები ანბანის შემოღებისა და მწიგნობრობის გაჩენისა. აქ ეს ტომები ცხოვრობდნენ დაქსაქსულად. მათში არ იყო შეგნება ტომობრივი ნათესაობისა და სოლიდარობისა. ტომები დაქუცმაცებული იყვნენ ცალკე გვარებად, ასე რომ, თუ ასურულ წყაროებს დაუჯერებთ, მუშკების ტომს ერთსადაიმავე დროს ჰყოლია ხუთი მეფე (იგულისხმება ალბათ გვარის მეთაურები), ხოლო ტუბალისას — ოცდაოთხი (ტიგლათ-პალასარისა და სალმანასარ II-ის წარწერები). მართალი მოგახსენოთ, გახვიადებულად მეჩვენება ის სურათი ჩვენი წინაპარი ტომების „განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობისა“ და ცხოვრებისა, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი მეცნიერი ხედავს იმ უშორეს, პრეისტორიულ ხანაში; ყოველ შემთხვევაში, ის ცნობები, რომელიც დღესდღეობით მეცნიერების განკარგულებაშია, ასეთი სურათის დახატვის შესაძლებლობას არ იძლევა. საკმარისია გადავიკითხოთ ეზეკიელის წიგნი (მას იმოწმებს ივ. ჯავახიშვილი), რომელიც დაწერილია მე-6 საუკუნის უკანასკნელ წლებში ქრ. წინ ჩვენი წინაპრების მახლობლად, ქალდეაში, რომ გაითვალისწინოთ, რას წარმოადგენდნენ ამ დროს ყველაზე უფრო დაწინაურებული ქართველი ტომები მოსოხი და თობელი (თუ ისინი მართლა ქართველი ტომებია). აქ ისინი გამოყვანილნი არიან როგორც საშინელი, უღმობელი ბარბაროსები „მიმცემელნი შიშსა მათსა ქვეყანასა ზედა ცხოვრებისასა“, რომელნიც „ვაჭრობდეს სულეებსა კაცთასა“; ისინი, „მშვილდებისა, ჩაფხუტებისა და ფარებისა მქონებელნი“, თავს ესხმოდნენ ვითარცა „წვიმა და ნიაქი“ ნშიდობით, მყუდროებით და დაწყნარებით მცხოვ-

რებ ერს, რომელიც მეურნეობასა და ვაჭრობას ეწევა, ძარცვა-გლეჯისა და იაფარყოფის მიზნით. შევიწროებულნი ძლიერი ერებისაგან, როგორცაა ასურელები, კიმერიელები, სპარსები, შემდგომში სომხები და რომაელები, ქართველი ტომები თანდათან სტოვებენ თავიანთ ძველს სამშობლოს და მოიწევენ ჩრდილოეთისაკენ. ასე, რომ, სანამ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე შემოდგამდნენ ფეხს, მათი ცხოვრება საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენს განუწყვეტელს ცვლას ბინადრობისას და მასთან დაკავშირებულს ბრძოლას ბუნებასთან, მტრებთან და ერთმანეთთან. ამ მოგზაურობისა და ბრძოლის დროს ისინი თანდათან კნინდებოდნენ ტერიტორიულად, ეკონომიურად და კულტურულად, ასე რომ, ბერძნული წყაროების მიხედვით, ისინი ცხოვრობენ მეჯოგეობით, ნადირობით, ტყის მეფუტკრეობით, არაიშვიათად მეკობრეობითაც და პირველ საუკუნეშიაც კი ქრ. წინ კაცობრიობის განვითარების პირველს, საგვარეულო წესწყობილების საფეხურზე იმყოფებიან. საქართველოს ტერიტორიაზედაც ისინი მოსულან არა ერთად, ერთსადაიმავე დროს, არამედ ცალცალკე, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მხრით და სხვადასხვა პირობებში. ცხადია, ასეთ პირობებში, სანამ ახალ სამშობლოში დამკვიდრების შემდეგ, ამ ტომებში ცხოვრების ცოტა თუ ბევრად კულტურული ფორმები არ აღმოცენდებოდა და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ჩანასახი არ გამოჩნდებოდა, მწიგნობრობა ვერ შეიქმნებოდა.⁵²

ქართული დამწერლობის წარმოშობას კ. კეკელიძე მაშთოცის მოღვაწეობას უკავშირებს და სომხურ წყაროებს ეყრდნობა. მისი აზრით, „ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან... სომეხთა ისტორიკოსები კორიუნი და მოსე ხორენელი“.⁵³

კორნელი კეკელიძეს ცნობა მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ ჭეშმარიტებად მიაჩნია, ოღონდ იძლევა ამ ცნობის რამდენადმე განსხვავებულ ინტერპრეტა-

⁵² ქართული კულტურის ორი დღესასწაული, „მნათობი“, 5/6, 1929 წ., გვ. 157-160.

⁵³ იქვე, გვ. 165.

ციას. მისი აზრით, საქართველოში მეფისა და ეკლესიის მე-
თაურის ინიციატივით იქმნება ანბანის შემქმნელი კომისია,
რომლის შემადგენლობაში შედის სომხური და ბერძნული
ენების მცოდნე ვინმე ჯალი. ამ კომისიას ინსტრუქტორად
სომხეთიდან მოუწვევია მაშთოცი, რომელიც მხოლოდ მრჩე-
ველია. კომისიის წევრებს ბერძნული ანბანის გარდა წინ
უდევთ სომხური ანბანიც საჭირო შემთხვევაში სახელმძღვა-
ნელოდ. ამიტომ ქართული ანბანის პროტოტიპია ბერძნული,
ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სომხური ანბანი.

ასეთი იყო კ. კეკელიძის თვალსაზრისი 1923 წელს. ივანე
ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფიის“ გამოქვეყნების
შედეგად, როცა სომხურ-ქართულ დამწერლობათა ურთიერთ-
მიმართება გაირკვა და როცა კორიუნის თხზულებაში მაშთო-
ცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია გვიანდელი ჩა-
ნართი აღმოჩნდა, კორნელი კეკელიძის თვალსაზრისს საფუძ-
ველი გამოეცალა. მიუხედავად ამისა, 1929 წელს „მნათობის“
ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაშრომში კორნელი კეკელა-
ძეს თავისი კონცეფცია არ უარუყვია.

ივანე ჯავახიშვილის საპასუხოდ „მნათობის“ ფურცლებზე
კ. კეკელიძე წერდა:

„დავუშვათ, რომ კორიუნის შრომაში მართლაც არ ყოფი-
ლა თავდაპირველად ეს ცნობა (ცნობა ქართული ანბანის მაშ-
თოცის მიერ შექმნის შესახებ, რ. 3.), სამაგიეროდ, მისი გა-
მოძახილი გვესმის მეშვიდე საუკუნის დამდეგს აბრაამ კათო-
ლიკოზის მესამე ეპისტოლეში, რომელშიაც ის ქართლის კა-
თოლიკოზს კირიონს. აგონებს **მაშთოცის** სახელსა და „წიგნთა
გაცნობის“ მნიშვნელობას. ჩანს, ეს ცნობა მეშვიდე საუკუ-
ნეზე გაცილებით ადრე ყოფილა სომხურს მწერლობაში გან-
მტკიცებული და, თუ კორიუნიდან არა, რაღაც სხვა წყარო-
ებიდან მომდინარეობდა; ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნე-
ლობა აქვს უფრო ცნობას, ვიდრე იმას, კორიუნიდან მომდი-
ნარეობს ის უშუალოდ, თუ სხვა წყაროდან.“⁵⁴

როგორც ხაზა ალექსიძემ გაარკვია, აბრაამ კათოლიკოსის

⁵⁴ კორნ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, ჟურნ.
„მნათობი“ № 5/6, ტფილისი, 1929 წ., გვ. 167.

მესამე ეპისტოლეს ცნობაც მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გვიანდელი ჩანართი აღმოჩნდა. ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა.

ქართული დამწერლობის შემოღების თარიღის გამო, 1923 წელს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ წიგნში კ. კეკელიძე წერდა:

„ქართული ანბანის გამოგონება ჩვენ უნდა დავდვათ მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში, არა უადრეს 412 წლისა, როდესაც სომხური ანბანი იყო შემოღებული, და არა უგვიანეს 429 წლისა, როდესაც არჩილ მეფე ჩანს იბერიის ტახტზე...“⁵⁵

1929 წელს ჟურნალ „მნათობში“ კ. კეკელიძემ კიდევ უფრო „დაახუსტა“ ქართული ანბანის შექმნის თარიღი:

„მაშასადამე, — წერს კ. კეკელიძე, — ქართული ანბანის შემოღებას ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოვებით 420-422 წლებში ახ. წ. ახლად შემოღებული ანბანი არჩილის მეფობაშივე (422-432 წ.) გამოუყენებიათ, პირველ ყოვლისა, სახარების გადმოღების საქმეში. მაშასადამე, ქართული ანბანი შემოღებულ უნდა იყოს ბაკურის მეფობის უკანასკნელ წლებში“.⁵⁶

კ. კეკელიძის „ბერძნულ-სომხურმა“ თეორიამ და ქართული დამწერლობის წარმოშობის მისეულმა კონცეფციამ დროს ვერ გაუძლო. ეს თეორია დღეს მხარდაჭერას ვეღარ ჰპოულობს. კ. კეკელიძის კონცეფცია ამჟამად ფაქტიურად უარყოფილია.

პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე, ქართულ-სომხურ დამწერლობათა ურთიერთმიმართების საკითხის გამო, ივანე ჯავახიშვილს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: „სემურ-ბერძნულ-ქართულისა და სომხური ანბანის შედარებითი შესწავლა სრული უეჭველობით ცხადყოფს, რომ არამც თუ სომხური ანბანის შედგენა გინდაც ერთი ათეული წლით არ შეიძლება ქართულისას წინ უსწრებდეს, პირიქით, ქართული ანბანი სომხურზე გაცილებით უფრო ძველი უნდა

⁵⁵ კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 31.

⁵⁶ კორნ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, ჟურნ. „მნათობი“, 1929 წ., № 7, გვ. 149.

იყოს. საფიქრებელია, რომ მათ ერთმანეთისაგან საუკუნეთა მანძილი უნდა ჰყოფდეს.⁵⁷

პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე ივანე ჯავახიშვილს დასკვნის სახით სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

„ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანის არ იყოს. არამცთუ ქართული დამწერლობა წარმართობის ხანის უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის“.⁵⁸

ქრისტიანული თუ წარმართული ეპოქის ძეგლია ქართული დამწერლობა? კამათს ამ საკითხზე, მეცნიერულ საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილმა მოუღო ბოლო. დიდი მეცნიერა წერდა:

„ეხლაც უკვე საკმაოდ გამორკვეულია; მაგრამ შემდეგში ეს გარემოება უფრო მეტი სიცხადით გამოაშკარავდება, რომ ქართული ანბანის V საუკუნის დამდეგს შედგენაზე ლაპარაკი გულუბრყვილოდ უნდა ჩაითვალოს“.⁵⁹

რაც შეეხება კორნელი კეკელიძის მცდელობას, ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები ბერძნული და სომხური ასო-ნიშნებისაგან გამოიყვანოს, მეცნიერული პალეოგრაფიის კანონებით თუ ვიზუალური მეთოდებით, ასეთ გრაფიკულ მეთოდს გამართლება არა აქვს.

ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სისტემა ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ამ გრაფიკული სისტემის შეცვლა-გადასხვაფერება არც ერთ დამწერლობაში არ მომხდარა; ბერძნული დამწერლობის მკაცრი, მონუმენტური გრაფიკული სისტემა საერთო, ზოგადი გრაფიკული სისტემაა მთელს დასავლურ ანბანურ სამყაროში და მისი ხელყოფა არ შეიძლება.

ქართული დამწერლობის წარმომავლობის კვლევის დღევანდელ ეტაპზე, ფაქტიურად, ორი თეორია უპირისპირდება ერთმანეთს — „სემური“ და „ბერძნული“.

⁵⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 202-203.

⁵⁸ სერგო ჯორბენაძე, ივანე ჯავახიშვილის უცნობი სიტყვა, „მნათობი“ № 3, 1974 წ.

⁵⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 202-203.

ქართული ანბანის წარმომავლობის სემური თეორიის მომხრე იყო გერმანელი მეცნიერი ფრ. მაულერი.⁶⁰

ივ. ჯავახიშვილი წერს:

„მაულერის აზრით, სომხურ-ქართული დამწერლობა არამეულ-სპარსული ანბანიდან უნდა იყოს წარმომდგარი, საიდანაც ფაჰლური დამწერლობაც არის წარმოშობილი. მაგრამ მისთვისაც მესრობია ის პირი, რომელმაც ქართულ-სომხური ანბანი საბოლოოდ ჩამოაყალიბა და, ბერძნულის მსგავსად, ხმოვანთა ჩართვით სრულ ანბანად აქცია“.⁶¹

ოლონდ ფრ. მაულერის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა მიაკვლია ქართულ ანბანში სემურ-ბერძნულ ანბანურ ჯგუფებს. ივანე ჯავახიშვილი ამის შესახებ აღნიშნავს:

„საუკეთესო ამ ჯგუფის მეცნიერთაგან ფრ. მაულერს თავის წერილში... კარგადა აქვს აღნიშნული, რომ სომხურ-ქართული დამწერლობის „ან“-იდან „ტარ“-ამდის ასოები სემური შთამომავლობისა უნდა იყოს, „ჰ“-ეთგან „ქან“-ამდის ბერძნულს უდგება... მის დაკვირვებას არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ქართულ ანბანს ასოთა პირვანდელი სემური რიგი დაურღვევლად აქვს დაცული, სომხურში კი დანართი ასოების სხვადასხვა ადგილას ჩართულობით დარღვეულია“.⁶² ჩვენში „სემური“ თეორიის მომხრე იყო მოსე ჯანაშვილი. მისი აზრით, ქართული ანბანი შექმნილია სემური დამწერლობის საფუძველზე არა უგვიანეს ძვ. წ. V საუკუნისა.⁶³

სემურ-არამეული თეორიის მომხრე იყო ს. გორგაძე.⁶⁴ მისი თვალსაზრისით, ქართული ანბანის „პირველწყაროა: უმთავრესად არამეული ანბანი ასურულ-სპარსული პერიოდისა მე-VII-VI საუკუნეში ქრისტეს წინ“.⁶⁵

⁶⁰ ფრ. მაულერი, *Über den Ursprung der armenischen Schrift*, Sitzungsberichte d. Wiener Akademie, 48, 1864 წ., გვ. 431—438; ივანე ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 237.

⁶¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 237.

⁶² ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 236, 237.

⁶³ მოსე ჯანაშვილი, რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი. „ივერია“. 1887 წ., №№ 115, 116, 117, 118, 121, 122, 123, 126, 127, 128.

⁶⁴ ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან I ტფილისი, 1906 წ., გვ. 64—75.

⁶⁵ იქვე, გვ. 73.

რაც შეეხება ფარნავაზ მეფის დამსახურებას, ამის შესახებ ს. გორგაძე წერს:

„ანბანი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის მოწინავე თემს, ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონებოდა... შესაძლოა, ფარნავაზს შეევესოს იგი ახალი ასოებით. შესაძლოა, აგრეთვე, ფარნავაზს წერა-კითხვა დანარჩენ თემებშიაც გავრცელებიოს... და ამგვარად, საფუძველი ჩაეყაროს ქართული მწიგნობრობისათვის. ერთი სიტყვით, ფარნავაზს უნდა ეკუთვნოდეს დაწყება მწიგნობრობისა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და არა ანბანის შემოღება“.⁶⁶

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებულ მეცნიერთა „სემური“ თეორია ვარაუდებისა და თვალსაზრისის სფეროს არ გასცილებია. ქართული ანბანის წარმოშობის „სემური“ თეორია მეცნიერულ საფუძველზე ჩამოაყალიბა ივანე ჯავახიშვილმა.

„სემური“ თეორიის მომხრე იყო გიორგი წერეთელი. მან რამდენიმე გზის გამოთქვა თავისი შეხედულება ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ.⁶⁷ ბოლოს თავისი თვალსაზრისი გამოაქვეყნა დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში. სტატიაში „ქართული დამწერლობა“ მეცნიერი წერს:

«По новейшим исследованиям Груз. письмо генетически связано с разновидностью восточноарамейского письма (эллинистического периода), от которого происходит ряд писем народов Востока. В дальнейшем, в результате христианизации Грузии, арамейская основа подвергалась трансформации под влиянием греческого письма (менялись направление письма, порядок букв в алфавите), вводились знаки для обозначения гласных, которые частично были заимствованы из греческого языка».⁶⁸

ე. ი. გ. წერეთლის ვარაუდით, ელინისტურ ხანაში სემურ საფუძველზე წარმოშობილ ქართულ დამწერლობას ქრისტი-

⁶⁶ ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, I, ტფილისი, 1965 წ., გვ. 74.

⁶⁷ Г. В. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, Эпиграфика Востока, Вып. 2 да 3, 1948-1949 წწ.; ე. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960 წ.

⁶⁸ БСЭ, მე-3 გამოცემა, 1972 წ., ტ. 13, გვ. 395.

ანულ ხანაში რამდენიმე გზის განუცდია რეფორმა ბერძნული დამწერლობის გავლენით.

უფრო ადრე, 1960 წელს, გ. წერეთელი ქართული დამწერლობის გენეზისის შესახებ წერდა:

„არმაზული დამწერლობის აღმოჩენასთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქართული ანბანის წარმოშობის კვლევისას. არმაზულმა დამწერლობამ საშუალება მოგვცა, დაგვენახა მთელი რიგი მოვლენა ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიაში, რომელიც მანამდე უცნობი ან ძნელად ასახსნელი იყო. არმაზულის საშუალებით აღმოჩნდა აგრეთვე შუამავალი, რომლის მეოხებით ქართული ანბანი უშუალოდ დაუკავშირდა არამეულს“.⁶⁹

ქართული ანბანის წარმოშობის „სემური“ თვალსაზრისისაა გ. დეეტერსი. ამის შესახებ გიორგი წერეთელი წერდა:

„ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს თვალსაზრისს ქართული ანბანის სადაურობის შესახებ, როგორც ჩანს, მთლიანად იზიარებს ქართული ენისა და კულტურის გამოჩენილი მკვლევარი გ. დეეტერსი, რომლის დასკვნები დეტალებშია ცოცხალი ემთხვევა ჩვენს დებულებებს. ამავე დროს, არსებობს განსხვავება ქართული ანბანის ასაკის საკითხში. გ. დეეტერსს ჩვენგან განსხვავებით, როგორც ჩანს, საეჭვოდ მიაჩნია, რომ ქართული ანბანი V საუკუნეზე ადრე არსებულ იყო“.⁷⁰

ამგვარად, სხვადასხვა დროს, მეცნიერთა მიერ გამოთქმული იყო სხვადასხვა თვალსაზრისი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. დღეს, როცა უკვე 50 წელიწადია, რაც ქართული პალეოგრაფიული მეცნიერება არსებობს, უსაფუძვლო ვარაუდების გამოთქმას გამართლება აღარა აქვს. ქართული მეცნიერული პალეოგრაფიის ფუძემდებელია დიდი ივანე ჯავახიშვილი. ფუნდამენტურ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილმა პალეოგრაფიული კვლევის სახელმძღვანელო მეთოდები და პრინციპები შეიმუშავა, დასახა ის გეზი, თუ როგორ და რა

⁶⁹ გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960 წ., გვ. 51, სქოლიო.

⁷⁰ გ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, სქოლიო.

გზით უნდა წარიმართოს ქართული დამწერლობის შემდგომი კვლევა.

მართებულად აღნიშნა აკად. გიორგი წერეთელმა:

„ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების კვლევა ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც მრავალი დამწერლობის (და არა მარტო ქართულის ან ბერძნულის) ღრმა ცოდნის საფუძველზე პირველმა უჩვენა სწორი გზა ამ პრობლემის შესწავლისათვის“.⁷¹

ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორიის ფუძემდებლად ვ. გარდტჰაუზენი უნდა ჩაითვალოს. თავისი თვალსაზრისი მან პირველად 1876 წელს გამოთქვა.⁷² ე. ი. ამ 100 წლის წინათ. იგივე თვალსაზრისი გაიმეორა 1913 წელს თავის წიგნში „ბერძნული პალეოგრაფია“, ხოლო 1921 წელს მესამედ განიხილა იგივე საკითხი.⁷³

ვ. გარდტჰაუზენის თვალსაზრისით, ასო-ნიშნების ფონეტიკური მნიშვნელობა ქართულ ანბანში ბერძნულია. კერძოდ, ვ. გარდტჰაუზენი წერს:

„იმ დროს, როცა სომხებმა თავისი ახლადგამოგონილი ასოები ბერძნებისაგან გადმოღებულ ანბანში ჩართეს და ამის გამო ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობა შეუცვალეს, ქართველებმა თავისი ახალი ასოები ანბანს ბოლოში დაურთეს, ასე რომ, ძველმა ასოებმა იგივე რიცხვითი მნიშვნელობა შეინარჩუნეს, რაც მათ ბერძნულ ანბანში ჰქონდათ“.⁷⁴

ამგვარად, ვ. გარდტჰაუზენისათვის ქართული ანბანი ბერძნული წარმომავლობისაა იმის გამო, რომ ასო-ნიშნების თანმიმდევრობა (რიგი) ქართულ ანბანში, საკუთრივ ქართულ ფონეტიკურ ასო-ნიშნებამდე, ბერძნული ასო-ნიშნების რიგს მისდევს. გარდა ამისა, ქართულ ასო-ნიშნებს იგივე რიცხვითი მნიშვნელობა აქვს, რაც ბერძნულ ასო-ნიშნებს ბერძნულ

⁷¹ გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960 წ., გვ. 50, სქოლიო.

⁷² V. Gardthausen, Über den griechischen Ursprung der armenischen Schrift, ZDMG, 1876 წ., 30 B.

⁷³ შოთა ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, ქართული ანბანის წარმოშობა, თბილისი, 1974 წ., გვ. 264.

⁷⁴ ვ. გარდტჰაუზენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

ანბანში. ვ. გარდტჰაუზენი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ გარემოებას, რომ ასო „ვინ“-ი ქართულ ანბანში, მსგავსად ბერძნულისა, მე-6 ადგილზე ზის და ექვსის რიცხვითი მნიშვნელობა აქვს.

ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორია ჩვენში დიმიტრი ბაქრაძემ წამოაყენა: ქართული ანბანის წარმომავლობის საკითხში დ. ბაქრაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას, გარდტჰაუზენის მსგავსად, ფონეტიკურ პრინციპს ანიჭებს. მეცნიერი წერს: „თუ ჩვენ ჩვენის ანბანის თუ ალფაბეტის ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა, ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა“.⁷⁵

დ. ბაქრაძის თვალსაზრისით, ქართული ანბანის ასო-ნიშნების რიგი ძველი ბერძნულის ასო-ნიშნების რიგს მისდევს, ამიტომ დიმიტრი ბაქრაძე თვლიდა, რომ ქართული ანბანი შეიქმნა ბერძნული კულტურის გავლენით, ჯერ კიდევ შავი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების არსებობის ხანაში, ე. ი. ბევრად უფრო ადრე ფარნავაზამდე. კერძოდ, დ. ბაქრაძე წერს:

„ჩვენი ალფაბეტი... ჩემი მოაზრებით, დაარსებულია ბერძნული კულტურის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავი ზღვის ნაპირზე“.⁷⁶ ქართული დამწერლობის წარმომავლობის ბერძნული თეორიის თვალსაზრისისა იყო დავით კარიჭაშვილი. იგი წერდა:

„გადამწყვეტი იმ საკითხისა, თუ რომელის ანბანიდან წარმოსდგა ქართული, ბერძნულისაგან თუ არამეულისაგან, იმდენად მსგავსება არ არის, რამდენადაც სხვა მოსაზრებანი. საქმე ის არის, რომ არამეულსა და ბერძნულს ანბანში ასოები ერთნაირ რიგზე არიან დალაგებულნი, მაგრამ მნიშვნელობა კი ყველას ერთნაირი არა აქვთ. ეს იმით აიხსნება, რომ ბერძნებმა ებრაულ-ფინიკიურის ანბანის გადმოღების დროს

⁷⁵ დ. ზ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მე-IX საუკ. დასასრულამდე, ტფილისი, 1889 წ., გვ. 83.

⁷⁶ დ. ზ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 83.

ზოგიერთს ასოს მიათვისეს სხვა ხმა. მაგალითად, მე-8 ასო, არამეულში რომ გამოხატავდა ხმას **ხ**, ბერძნებმა მიიღეს ასანიშნავად ხმისა **ჴ**, მე-11 ასო, რომელიც არამეულში გამოხატავდა ხმას **ჟ**, ბერძნებმა მიიღეს ასანიშნავად ხმისა **ჭ**, აგრეთვე, მე-15 ასო არამეულში აღნიშნავდა ხმას **ს**, ბერძნულში კი მას მიათვისეს ხმა **ქს**. მე-17 ასო არამეულში გამოხატავდა ხმას **ფ** ან **ჟ**, ბერძნულში კი ხმას **პ**, მე-18 ასო არამეულში გამოხატავდა ხმას **შ**, ხოლო ბერძნულში ისევ ხმას **ჭ**, რისთვისაც ბოლოს დროს აღარ იხმარებოდა და დარჩა ანბანში მხოლოდ რიცხვის გამოსახატავად, მე-20 ასო არამეულში გამოხატავდა ხმას **შ**, ხოლო ბერძნულში ხმას **ს**.

ქართულის ასოების რიგი ანბანში მისდევს ბერძნულის ასოების რიგს ისე, როგორც ისინი დალაგებულნი არიან რიცხვების აღსანიშნავად. იმ შემთხვევაში, როდესაც ბერძნული ასო გამოხატავს ქართულში არ არსებულს ხმას, ქართულს ანბანში მოთავსებული აქვს სხვა რომელიმე წმინდა ქართული ხმა. ასეა მაშინაც, როდესაც რომელიმე ბერძნული ასო იმეორებს წინად აღნიშნულ ხმას. ხმას **უ** ბერძნულს ანბანში არა აქვს თავის გამომხატველი განსაკუთრებული ასო. იგი გამოიხატებოდა ორის ასოთი. აგრედვე იყო ძველს ქართულს ასომთავრულს ანბანშიც — **ოჰ**. რიცხვითი მნიშვნელობა ქართულის ასოებისა ისეთივეა, როგორც ბერძნულში. იმ ქართულის ხმების აღსანიშნავად, რომელთა მსგავსები ბერძნულში არ მოიპოვებიან, ასოები საგანგებოდ არიან შედგენილნი ბერძნულის ასოებითგან და მოქცეულნი ბოლოში.

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ქართული ანბანი წარმოებულია ბერძნულისაგან. არამეულის ანბანითგან რომ ყოფილიყო წარმოებული, უეჭველია, ქართული ხმები იმ რიგით იქნებოდნენ აღნიშნული, როგორც არამეულშია. მაგ. მე-8 ასოს ექნებოდა ხმა **ხ** და არა **ჴ**, მე-11 ასოს **ჟ** და არა **ჭ**, მე-15 ასოს **ს** და არა **ჲ**, მე-17-ს **ფ** და არა **ქ**, მე-18 **შ** და არა **შ**, მე-20 **შ** და არა **ს**, 27-ე ასოს ეჭირებოდა მე-18 ადგილი და ექნებოდა მნიშვნელობა ხმისა **ც** ან **წ**.⁷⁷

⁷⁷ დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, მე-2 გამოცემა, ტფილისი, 1914 წ., გვ. 30—32.

დავით კარიჭაშვილის ფონეტიკური პრინციპი უფრო ზუსტად და მოკლედ ჩამოაყალიბა აკაკი შანიძემ. მეცნიერი წერს:

„საჭიროა ვიცოდეთ ეს რიგი (ქართული ანბანისა. რ. პ.), რომელიც საუკუნეებით არის განმტკიცებული და რომელიც ცოტაოდენი ცვლილებებით იმ რიგს მისდევს, რომელიც ძველ ბერძნულშია დაცული. ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ

1. იქ, სადაც ქართულში არ მოიპოვება ბერძნული ასოს შესაფერისი ბგერა, ჩასმულია ისეთი ასო, რომლის ბგერა თავის მხრივ ბერძნულს აკლია. ესენია: **ა, შ**.

2. სხვა დამატებითი ასოები კი, რომელიც ქართულის დამახასიათებელ ბგერებს გადმოგვცემენ, ყველა მოქცეულია უკანასკნელი ასოს წინ (**შ-ს წინ**), სადაც ბერძნულს მხოლოდ ერთი თავისებური ბგერის ასო აქვს...

ძველი ასოებიანად ასოთა რიგი ასეთი იქნება:

ა ბ გ დ ე ვ ზ ც თ ი კ ლ მ ნ (ა) ო პ (შ) რ ს ტ უ ფ ქ
(ლ უ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ე ჯ ჰ) შ

ფრჩხილებში ჩასმულია ის ასოები, რომლებიც ძველ ბერძნულს აკლდა“.⁷⁸

ძველ ბერძნულში, როგორც ჩანს, აკაკი შანიძე არა კლასიკურ ბერძნულს, არამედ არქაულ ბერძნულს გულისხმობს. ამდენად, აკ. შანიძის აზრით, ქართული ანბანის რიგი არქაული ბერძნული ანბანის რიგს მისდევს.

ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორიის მომხრეა პავლე ინგოროყვა. 1939 წელს მეცნიერი წერდა:

„ქართული ანბანი გამოიშუშავებულია მცირე აზიაში, არქაული ბერძნულის ალფაბეტის საფუძველზე, VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე, 700-იანი წლების ახლო ჩვენს დრომდე...“⁷⁹

1970 წელს, 30 წლის შემდეგ, პ. ინგოროყვა წერს:

„ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა თვით ქართული ანბანი, რომელიც თავისი ტიპით წარმოადგენს ფინიკურ-ბერძნული ოჯახის ალფაბეტების აღრინდელ სახეობას. ქართული ანბანი არის განშტოება

⁷⁸ აკაკი შანიძე, თხზულებანი, III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1973 წ., გვ. 19-20.

⁷⁹ პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ქურონ. „მნათობი“, 1939 წ., № 1, გვ. 167-168.

ბერძნულსა, ჩაგრამ არა კლასიკური ბერძნულსა, არამედ არქაული ბერძნულსა. რომ ქართული ანბანი მომდინარეობს არქაული ბერძნული ალფაბეტიდან, ამას ცხადყოფს ქართული და არქაული ბერძნულს შედარებითი პალეოგრაფიული ანალიზი (ქართულ ანბანში შერჩენილია არქაული ბერძნულიდან ასოთა მოხაზულობის თავისებურებანი, შერჩენილია აგრეთვე ასოთა რიგი, შერჩენილია გარკვეულ ადგილებში ის ასოები, რომლებიც გვიან ხანაში გამოაკლდა ბერძნულ ალფაბეტებს. ამას გარდა, ქართულ ალფაბეტში თავდაპირველად მიღებული ყოფილა არქაული ბერძნულსათვის დამახასიათებელი „ბუსტროფედონული“ წერა).

აღნიშნულის მიხედვით, ქართული ანბანის წარმოშობა არ შეიძლება მიეკუთვნოს უფრო გვიან დროს, ვიდრე VII საუკუნე ძველი წელთაღრიცხვისა...

ფარნავაზის დროს, ჩანს, ჩატარდა რეფორმა ქართული ანბანისა, დართვა ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიური ქართული ბგერებისათვის, რაც არქაულ პერიოდში, ჩანს, ნიშანთა შეერთებული დაწერილობით გადმოიციემოდა.⁸⁰

ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორიის გამო ივანე ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად წერდა:

„მეცნიერთა მთელი რიგი, მათ შორის ბერძნული პალეოგრაფიის კარგი მცოდნე პროფ. გარდტჰაუზენიცი, ფიქრობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქართული ანბანი ბერძნული ანბანისაგან არის წარმომდგარი. ამ აზრის სიმართლისათვის შესაძლებელია ის გარემოებაც იყოს გამოყენებული, რომ ქართული ანბანის წესრიგი თავიდან ოცდამეექვსე ასომდე, ორაგამონაკლისის გარდა (იგულისხმება **ⴁ** და **ⴂ**. რ. **ჰ**), გასაოცრად უდგება ბერძნულსას.“⁸¹

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ქართული ანბანის ასოთა რიგი თავიდან მოყოლებული **3** ანუ **ⴁ**-მდის, ორიგამონაკლისის გარდა (იგულისხმება **ⴁ** და **ⴂ**. რ. **ჰ**), **23** ასოსათვის იგივეა, რაც ბერძნულ ანბანშია და

⁸⁰ პავლე ინგოროყვა, შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, წიგნი პირველი, თბილისი, 1970 წ., გვ. 25, 26.

⁸¹ ივანე ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 203.

მხოლოდ ამის შემდგომ ქართული ენის ბგეროვანი შედგენილობისათვის დამახასიათებელი ზედმეტი ასოებიც მისდევნენ. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ქართული ანბანის რიგი უძველეს ბერძნულის რიგს მისდევს“.⁸²

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა... ქართული ანბანის ასოთა რიგი ანბანში „ჰი“ და თვით „ქან“-ამდის, ორი გამოწაკლისის გარდა (იგულისხმება **ღ** და **შ**. რ. პ.), სწორედ ბერძნულის მსგავსია. შემდეგ კი განსხვავება იწყება და ქართულ ანბანში „ქანს“ უკვე ნამდვილი ქართულისათვის დამახასიათებელი 11 ბგერის აღმნიშვნელი ასო მოსდევს (იგულისხმება: **ლ უ ზ ჩ ც ძ წ ჳ ხ ჯ ჳ**).“⁸³

დასკვნის სახით ივანე ჯავახიშვილი წერს:

„თუ ქართული ანბანი მართლაც ბერძნულიდან წარმოდგა... იგი მხოლოდ შეიძლება წარმოშობილიყო VIII-VII სს-ში ძვ. წ.“⁸⁴

„ბერძნული“ თეორიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ასო „ქან“-ს. ივანე ჯავახიშვილი ამის გამო წერს:

„განსაკუთრებით საყურადღებო გარემოებაა, რომ ქართულ ანბანში „პარ“-ის შემდგომ, თავიდან მე-18 ადგილი „ქან“-ს უკავია... ფინიკიურსა და მისგან წარმომდგარ დამწერლობებში კი „ფე“-ს შემდგომ და „რემ“-ის წინ, იმგვარადვე, როგორც ქართულში „ქან“-ია, ზის ერთი ასო, რომელსაც ევროპიელები და ეხლა თვით სემიანნიც „სსადე“-ს უწოდებენ... აღსანიშნავია, რომ ბერძნებმა თავდაპირველად თავიანთ ანბანში ეს ასოც გადმოიღეს და შეითვისეს, მაგრამ შემდეგში და მილეტში უკვე VII ს-ში ქ. წ. ეს ასო, ბერძნულისათვის გამოუღვევრობის გამო, აღარ ინმარებოდა. ქართული ანბანი რომ ბერძნულისაგან ყოფილიყო წარმომდგარი, ეს გარემოებაც, რასაკვირველია, იმის მომასწავებელი იქნებო-

⁸² ივანე ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 199.

⁸³ იქვე, გვ. 199.

⁸⁴ იქვე, გვ. 203.

⁸⁵ იქვე, გვ. 224.

და, რომ ქართული დამწერლობა VII ს-ზე უწინარეს უნდა ყოფილიყო შექმნილი“. ⁸⁵

„ბერძნულ“ თეორიას აქვს თავისი სუსტი მხარეები: რაკი ქართული ანბანის რიგი უძველესი ბერძნული ანბანის რიგს მისდევს, როგორ აიხსნას ბერძნული ანბანური ჯგუფის (З У Ф) არსებობა ქართულ ანბანში, რომელიც მხოლოდ აღმოსავლურ-ბერძნულ განშტოებასა და კლასიკურ ბერძნულ ანბანში დასტურდება და არქაულმა ბერძნულმა ეს ასოები არ იცის. გარდა ამისა, როგორ აიხსნას Ω და Ψ? მხოლოდ ფონეტიკური პრინციპი საქმეს არ შევლის.

გარდა ამისა, როგორ აიხსნას ქართული დამწერლობის თავისთავადი გრაფიკული სისტემა? როგორ აიხსნას ქართული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის (ლ უ შ ჩ ც ძ წ ტ ხ ჳ ჴ) ფონეტიკური და გრაფიკული რაობა?

რაკი ქართული ანბანის რიგი „ან-იდან“ „ვე“-მდე (ორი გამოწვევის გარდა) არქაულ ბერძნულ რიგს მისდევს, როგორღა მივიჩნიოთ ქართული ანბანი ქრისტიანული ეპოქის ძეგლად? ასეთი ალოგიკური თვალსაზრისიც გამოთქმულა.

ამგვარად, „ბერძნული“ თეორიის ფონეტიკური პრინციპი ჩიხში ექცევა, საიდანაც გამოსავალი არ არის. ანბანის კვლევისას აუცილებლად საჭიროა მივმართოთ კომპლექსურ შეთოდს, ე. ი. გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ფონეტიკური და გრაფიკული პრინციპი, აგრეთვე ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა, ასო-ნიშნების იდეოგრაფიულ-აკროფონიული პრინციპი და ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი.

ივანე ჯავახიშვილი ქართული ანბანის წარმომავლობის „ბერძნული“ თეორიის გამო სამართლიანად წერდა:

„ქართული ანბანის წარმოშობილობის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება მარტო ბერძნულ და ქართულ ანბანთა წესრიგის შედარებით. აქ უმთავრესი მნიშვნელობა, რასაკვირველია, თვით ასოთა მოყვანილობა-მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობასა აქვს“. ⁸⁶

პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე, ბერძნულ-ქართულ დამწერლობათა ურთიერთმიმართების საკითხის გამო,

⁸⁶ ივანე ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 203.

ივანე ჯავახიშვილს დასკვნის სახით სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

„ქართული უძველესი ანბანის ბერძნულისაგან წარმოშობილობის აზრი უსაფუძვლოდ და შეუძლებლად გვეჩვენება“.⁸⁷

პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა ცხადყო, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია და რომ იგი შექმნილია ფინიკიურ-სემური დამწერლობის საფუძველზე. დასკვნის სახით ივანე ჯავახიშვილმა თქვა:

„სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V ს-ში გამოგონების შესახებ ახალი წელთაღრიცხვით და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ“.⁸⁸

ქართულ პალეოგრაფიულ მეცნიერებას ამ 50 წლის წინათ ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. ქართული დამწერლობის შემდგომი კვლევა ივანე ჯავახიშვილის მიერ ნაჩვენები გზით უნდა წარიმართოს.

⁸⁷ ივანე ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 233.

⁸⁸ იქვე, გვ. 236.

ანბანური დამწერლობა

კაცობრიობამ ხანგრძლივი ისტორიული გზა განვლო, ვიდრე დამწერლობის ყველაზე მეტად სრულყოფილ სისტემას— ანბანურ ანუ წმინდა ფონეტიკურ დამწერლობას შეჰქმნიდა.

ანბანური დამწერლობა ენის ფონეტიკას, საერთო ენის სტრუქტურას გაცილებით უკეთ ასახავს, ვიდრე სხვა სახის რომელიმე დამწერლობა. ამდენად ენასა და დამწერლობას შორის დიდმნიშვნელოვანი ურთიერთკავშირია. დამწერლობა ცდილობს შეძლებისამებრ ზუსტად ასახოს ენის ფონეტიკური თავისებურებანი, ენის ფენომენი. რაც უფრო უკეთ ახერხებს ამას დამწერლობა, მით უფრო სრულყოფილია იგი.

დამწერლობა მეტყველების გრაფიკული ფიქსაციაა. მაგრამ დამწერლობის ადრეულ საფეხურზე მეტყველების ფონეტიკური ფიქსაცია არ არსებობდა.

ე. წ. პიკტოგრაფიული დამწერლობა დამწერლობის ყველაზე უფრო ადრეული და პრიმიტიული სტადიაა. პიკტოგრაფიული დამწერლობა სურათ-ხატოვანია: სხვადასხვა სურათ-ხატოვან გამოსახულებათა ერთობლიობა ერთ გრაფიკულ კომპოზიციად ერთიანდება და რაიმე შინაარსის შემცველია. ასეთ დამწერლობას მხოლოდ და მხოლოდ მეტყველების შინაარსის გადმოცემა შეეძლო. პიკტოგრაფიული დამწერლობის ნიშანდობლივი თვისებაა: იკითხება, მაგრამ არ გამოითქმის. ასეთი სახის დამწერლობა შეიძლებოდა ნებისმიერ ენაზე წაკითხულიყო. ეს იყო მეტყველების გადმოცემის არა ფონეტიკური, არამედ სემანტიკური საშუალება.

პიკტოგრაფიული უნდა ყოფილიყო არქაული ხანის ე. წ. დინასტიამდელი ეგვიპტური დამწერლობა,¹ აგრეთვე აცტე-

¹ Н. С. Петровский, Египетский язык, М., 1958, М.; А. Коростовцев, Египетская филология, М., 1963.

ანბანური დამწერლობა

კაცობრიობამ ხანგრძლივი ისტორიული გზა განვლო, ვიდრე დამწერლობის ყველაზე მეტად სრულყოფილ სისტემას— ანბანურ ანუ წმინდა ფონეტიკურ დამწერლობას შექმნიდა.

ანბანური დამწერლობა ენის ფონეტიკას, საერთო ენის სტრუქტურას გაცილებით უკეთ ასახავს, ვიდრე სხვა სახის რომელიმე დამწერლობა. ამდენად ენასა და დამწერლობას შორის დიდმნიშვნელოვანი ურთიერთკავშირია. დამწერლობა ცდილობს შეძლებისამებრ ზუსტად ასახოს ენის ფონეტიკური თავისებურებანი, ენის ფენომენი. რაც უფრო უკეთ ახერხებს ამას დამწერლობა, მით უფრო სრულყოფილია იგი.

დამწერლობა მეტყველების გრაფიკული ფიქსაციაა. მაგრამ დამწერლობის ადრეულ საფეხურზე მეტყველების ფონეტიკური ფიქსაცია არ არსებობდა.

ე. წ. პიკტოგრაფიული დამწერლობა დამწერლობის ყველაზე უფრო ადრეული და პრიმიტიული სტადიაა. პიკტოგრაფიული დამწერლობა სურათ-ხატოვანია: სხვადასხვა სურათ-ხატოვან გამოსახულებათა ერთობლიობა ერთ გრაფიკულ კომპოზიციად ერთიანდება და რაიმე შინაარსის შემცველია. ასეთ დამწერლობას მხოლოდ და მხოლოდ მეტყველების შინაარსის გადმოცემა შეეძლო. პიკტოგრაფიული დამწერლობის ნიშანდობლივი თვისებაა: იკითხება, მაგრამ არ გამოითქმის. ასეთი სახის დამწერლობა შეიძლებოდა ნებისმიერ ენაზე წაკითხულიყო. ეს იყო მეტყველების გადმოცემის არა ფონეტიკური, არამედ სემანტიკური საშუალება.

პიკტოგრაფიული უნდა ყოფილიყო არქაული ხანის ე. წ. დინასტიამდელი ეგვიპტური დამწერლობა,¹ აგრეთვე აცტე-

¹ Н. С. Петровский, Египетский язык, М., 1958, М.; А. Коростовцев, Египетская филология, М., 1963.

კების, ამერიკელი ინდიელებისა და ჩრდილო პოლარეთის ხალხთა დამწერლობანი.² პიკტოგრაფიული ხასიათის წარწერებს თითქმის ყველგან პოულობენ. ასეთ წარწერებს ქმნიდნენ როგორც პრეისტორიული ხანისა და ადრეული ცივილიზაციის ხალხები, აგრეთვე ჩრდილო ამერიკის, ცენტრალური აფრიკისა და ავსტრალიის თანამედროვე აბორიგენი ტომები.

დამწერლობის განვითარების მომდევნო საფეხურზე, წმინდა სახის, ე. წ. იდეოგრაფიული დამწერლობა მეტყველებას უკვე სიტყვებად ანაწევრებდა, იცავდა სიტყვების სინტაქსურ თანამიმდევრობას. იდეოგრაფიულ დამწერლობაში ხატოვანი ნიშანი არა მხოლოდ საგნის, არამედ ცნების აღმნიშვნელიცაა. მიუხედავად ამისა, იდეოგრაფიული დამწერლობა თავისი არსით პიკტოგრაფიული დამწერლობის მხოლოდ და მხოლოდ რამდენადმე უფრო სრულყოფილ ნაირსახეობას წარმოადგენს და მეტყველების ფიქსაციის სემანტიკურ საშუალებად რჩება.

მაგრამ თანდათანობით, დამწერლობის განვითარების შემდგომ, გარდამავალ ეტაპზე ცნების აღმნიშვნელი ნიშანი, ე. წ. იდეოგრამა ბგერულ, ფონეტიკურ მნიშვნელობასაც იძენდა. ამ თვალსაზრისით იდეოგრაფია იმ პროცესის საწყისია, რამაც სემანტიკური დამწერლობა ფონეტიკურ დამწერლობად აქცია.

დამწერლობა ფონეტიკურია, როცა პირობით გრაფიკულ ნიშნებს არა საგანთა ან ცნებათა, არამედ რომელიმე კონკრეტული ენის ბგერათა მნიშვნელობა აქვთ. ასეთ შემთხვევაში გრაფიკული ნიშანი გამოითქმის. მაგრამ გრაფიკულ ნიშანს შეიძლება ჰქონოდა სიტყვის, მარცვლის ან ბგერის ფონეტიკური მნიშვნელობა.

ამ თვალსაზრისით, უძველეს ცივილიზებულ ხალხთა დამწერლობა რთულ ფონეტიკურ პრინციპებზე აყო აგებული. ძველი ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა იყენებდა რამგორც იდეოგრამას — ცნების აღმნიშვნელ ნიშანსა და ლოგოგრამას — სიტყვის აღმნიშვნელ ნიშანს, აგრეთვე სილაბოგრაფიებსა და ცნების განმსაზღვრელ დეტერმინატივებს. ძველი ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა თავისი ფონეტიკურა

² В. А. Истрип, Возникновение и развитие письма, М., 1965, გვ. 62—77; Эрнст Добльхофер, Знаки и чудеса, М., 1963, გვ. 31—38.

არსით ლოგოგრაფიულ-სილაბუი დამწერლობა იყო, ოღონდ სილაბოგრამებში ხმოვნები არ აღინიშნებოდა. ნიშანთა რაოდენობა ეგვიპტურ იეროგლიფიკაში 600 აღწევდა.

ძველი შუამდინარეთის შუმერულ ლურსმულ დამწერლობაში მიღებული იყო რამდენადმე მსგავსი ფონეტიკური პრინციპი. ერთიდაიგივე გრაფიკულ ნიშანს შეიძლება ჰქონოდა როგორც ლოგოგრაფიული მნიშვნელობა, აგრეთვე სილაბური მნიშვნელობაც ან ცნების განმსაზღვრელი დეტერმინაციის ფუნქცია შეესრულებინა. ძველი შუმერული ლურსმული აგრეთვე ლოგოგრაფიულ-სილაბური დამწერლობა იყო, ოღონდ შუმერული სილაბოგრამა ეგვიპტურისაგან განსხვავებით შეიცავდა როგორც თანხმოვან, ასევე ხმოვან ბგერებს.

შუმერული ლურსმული დამწერლობა პირველებმა აქადის სემიანებმა გადაიღეს. შუმერულ-აქადურ ლურსმულში 600-მდე გრაფიკული ნიშანი იყო.

მოკლედ შეიძლება მოვჭრათ: ეგვიპტის, შუამდინარეთის, მცირე აზიის, ინდოეთის, ჩინეთის, ცენტრალური ამერიკის ძველი ცივილიზაციის ხალხებს დიდად განვითარებული დამწერლობა ჰქონდათ, მაგრამ ამ დამწერლობათა არსი დამწერლობის ლოგოგრაფიული სისტემის ფარგლებს არ გასცილებია. მხოლოდ ზოგიერთ ხალხთ ხვდათ წილად უფრო სრულყოფილი, დამწერლობის წმინდა სილაბური სისტემა შეემუშავებინათ. მაგრამ ანბანური დამწერლობა მხოლოდ ერთმა კრმა შექმნა.

დამწერლობა ანბანურია, როცა გრაფიკულ ნიშანს ცალკეული ბგერის მნიშვნელობა აქვს. ანბანურ დამწერლობაში გრაფიკული ნიშანი (გრაფემა) არც იდეოგრამაა, არც ლოგოგრამა და არც სილაბოგრამა, არამედ ენის უმცირესი ფონეტიკური ერთეულის ბგერის აღმნიშვნელია.

დამწერლობის წმინდა ანბანური სისტემის შემოღებას კაცობრიობა ჩრდილო-სემიანებს (ფინიკეელთ) უნდა უმადლოდეს. არც ერთ სხვა ერს მსოფლიოში დამოუკიდებელი ანბანური დამწერლობა არ შეუქმნია. უფრო სწორად რომ ითქვას: დამწერლობის ანბანურ სისტემას მხოლოდ ერთმა ერმა მიაგნო და ამდენად ანბანური დამწერლობა კაცობრიობამ მხოლოდ ერთხელ შექმნა "C'est la une invention qu'on ne peut

faire deux fois” — „ეს არის მიგნება, რაც არ შეიძლება ორჯერ მოხდეს“, — ამბობს ცნობილი პალეოგრაფი მორის დიუნანი.

ყველა სხვა ერთა ანბანურ დამწერლობას, საბოლოო ჯამში, ჩრდილოსემური ანბანური დამწერლობა დაედო საფუძვლად.

ახლა გასარკვევია ფინიკიური დამწერლობის ანბანური სისტემის არსი და რაობა.

ფინიკურ დედა-ანბანში სულ 22 ასო-ნიშანი იყო. ფიქრობენ, რომ ჩრდილო-სემური ანბანი უნდა წარმოშობილიყო დაახლოებით XV-XIV სს. ძვ. წელთაღრიცხვით. საკუთრივ ფინიკიურმა დამწერლობამ ახალი წელთაღრიცხვის დამდგამდე იარსება. თავისი არსებობის მანძილზე ფინიკიურ ანბანურ მწკრივს, ასო-ნიშნების რაოდენობისა და თანამიმდევრობის თვალსაზრისით, ცვლილება არ განუცდია; არც წერის მიმართულება შეცვლილა, იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. დროთა განმავლობაში რამდენადმე მხოლოდ და მხოლოდ ასო-ნიშნების გრაფიკული მოხაზულობა იცვლებოდა.

აქვე, რამდენიმე წინადადებით აღრე აღვნიშნე, რომ ანბანში ასო-ნიშანი ანუ გრაფემა იდეოგრამა არ არის-მეთქი, ოღონდ იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობის გაგებით, რადგან ფინიკიური ანბანის 22 ასო-ნიშანი 22 იდეოგრამაა. მაგალითისათვის: პირველი ფინიკიური ასო-ნიშანი ხარის იდეოგრამაა, მეორე — სახლისა, მეოთხე — კარისა, მეთექვსმეტე — თვალისა და ა. შ. შესაბამისად, პირველი ასო-ნიშნის სახელი ალფ — ხარს ნიშნავს; მეორე ასო-ნიშნის სახელი ბეთ — სახლს ნიშნავს; მეოთხე ასო-ნიშნის სახელი დალეთ — კარს ნიშნავს და ა. შ. (ასო-ნიშნების სახელდების პრინციპის შესახებ ცალკე მაქვს საუბარი).

ყოველ სემურ ასო-ნიშანს მინიჭებული აქვს საკუთარი იდეოგრაფიული სახელის პირველი ბგერის მნიშვნელობა. იდეოგრაფიული ნიშნის ასეთი წაკითხვის წესს აკროფონიული პრინციპი ეწოდება. სემურ ანბანურ მწკრივში პირველი გრაფემა ხარის იდეოგრამა-აკროფონია; მეორე გრაფემა სახლის იდეოგრამა-აკროფონია. სულ სემური ანბანი 22 იდეოგრამა-აკროფონს ითვლის. დამწერლობის სემური ანბანური პრინციპიც ეს არის. აკროფონიული პრინციპი რამდე-

ნადმე ცნობილი იყო ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობაში, მაგრამ აკროფონიის იდეა სრულყოფილ ანბანურ პრინციპად პირველად ჩრდილო-სემურ დამწერლობაში განხორციელდა.

სემური ანბანური მწკრივი 22 კონსონანტს ითვლიდა. ცალკე ასო-ნიშნები ხმოვნებისათვის სემურ ანბანში არ იყო. მაგრამ უკვე ძალიან ადრეულ ხანაში ზოგიერთ ასო-ნიშნებს სემიანებმა ხმოვანი ბგერების მნიშვნელობაც მიანიჭეს.

ამდენად დამწერლობის ანბანური სისტემა, რომელიც ჩრდილო სემიანებმა შექმნეს, უმარტივეს და ყველასათვის ხელმისაწვდომ დამწერლობად იქცა. ამ თვალსაზრისით იგი უთუოდ დაუპირისპირდა მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებულ ლურსმული დამწერლობის რთულ თეოკრატიულ სისტემას. ანბანური დამწერლობის სიმარტივემ მის ფართო გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი.

ფინიკიური დამწერლობა საფუძვლად დაედო მის ორ ძირითად განშტოებას: დასავლეთში — ბერძნულსა, ხოლო აღმოსავლეთში სემურ-არამეულ დამწერლობას.

ამის შესახებ კარგად წერს პალეოგრაფი ვ. ა. ისტრინი:

«Буквенно-звуковое письмо распространялось по двум важнейшим направлениям. На востоке — на основе финикийского возникло арамейское письмо, от которого ведут свое происхождение почти все буквенно-звуковые и некоторые слоговые системы Азии. На западе — на основе финикийского сформировалось греческое письмо, от которого ведут происхождение все системы письма европейских народов...»³

ზემოთ უკვე ითქვა ფინიკიური დედა-ანბანის კონსონანტური ხასიათის შესახებ. სემური კონსონანტიზმი იყო დაბრკოლება, რომლის დაძლევა დასავლეთში მხოლოდ ბერძნებმა შესძლეს. რაც შეეხება სემურ-არამეულს, იგი კონსონანტურ დამწერლობად დარჩა, რადგან ფინიკიური კონსონანტიზმი მისთვის, როგორც სემური ენისათვის, უცხო არ იყო.


ანბანური დამწერლობის სხვა ერთა შორის გავრცელების შემდგომი გზები კარგად ცნობილია: ყველა დასავლურ ანბან-

³ В. А. Истрин, Возникновение и развитие письма, М., 1965 წ. 33. 303.

ნურ სისტემას, საბოლოო ჯამში, საფუძვლად დაედო ბერძნული ვოკალიზებული (ანუ გახმოვანებული) ანბანი და ასო-ნიშნების ბერძნული გრაფიკა (ეტრუსკული, იტალიკური, ლათინური, კოპტური, გუთური, სლავური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და სხვ.); ყველა აღმოსავლურ კონსონანტურ ანბანს, საბოლოო ჯამში, საფუძვლად დაედო არამეული კონსონანტური ანბანი და ასო-ნიშნების სემურ-არამეული გრაფიკა (ებრაული კვადრატული, ნაბატეური, ახალსინური, პალმირული, ფალაური, სირიული, არაბული და სხვ.).

ეს, რა თქმა უნდა, დამწერლობათა წარმოშობა-წარმომავლობის ზოგადი სქემაა, მაგრამ იმისათვის, რომ გაირკვეს ქართული ასომთავრულის ადგილი დამწერლობის ისტორიაში, ასეთი სქემა უფრო თვალსაჩინოა.

ამგვარად, დამწერლობათა წარმომავლობისა და ურთიერთ-მიმართების უმარტივესი სქემა ასეთი იქნება:



ცხადია, ერთმანეთს ემიჯნება ორი ანბანური სამყარო: დასავლური ანბანური სამყარო და აღმოსავლური ანბანური სამყარო. დასავლურ დამწერლობათა ნიშან-თვისებაა: ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი და ბერძნული გრაფიკა; აღმოსავლურ დამწერლობათა ნიშან-თვისებაა: სემური კონსონანტიზმი და სემური გრაფიკა. გარდა ამისა, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში წერის მიმართულება ყოველთვის ერთი იყო — მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო დასავლურ ანბანურ სამყაროში, პირველად საბერძნეთ-

ში, დაკანონდა აღმოსავლურის საპირისპირო წერის ერთადერთი მიმართულება: მარცხნიდან მარჯვნივ. აღმოსავლურის საპირისპირო წერის მიმართულების დაკანონებას საბერძნეთში რეფორმის მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მოხდა 403 წ. ძვ. წელთაღრიცხვით.

შეიძლება ითქვას: აღმოსავლური და დასავლური ანბანური სამყარო ბერძნულმა დამწერლობამ გამოიჯნა. ჯერ კიდევ არქაულ ხანაში, როგორც სჩანს იმთავითვე, ბერძნული დამწერლობის შემოღებისას, ბერძნული ეოკალიზმი გაემიჯნა ფინიკიური დედა-ანბანის კონსონანტიზმს. შემდეგ ხანაში თანდათანობით, ხოლო საბოლოოდ 403 წ. ძვ. წელთაღრიცხვით წერის „ბერძნული“ მიმართულება გაემიჯნა წერის „სემურ“ მიმართულებას. რაც შეეხება გრაფიკას, დამწერლობის „ბერძნული“ გრაფიკა საბოლოოდ გაემიჯნა დამწერლობის „სემურ“ გრაფიკას 403 წ. ძვ. წელთაღრიცხვით, როცა საბოლოოდ დადგინდა ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურა და არქიტექტონიკა. წერის მიმართულების დაკანონების შედეგად, შემუშავდა ბერძნული დამწერლობის სადა-გეომეტრიული, ხაზოვან-სიმეტრიული გრაფიკა, დამწერლობის ე. წ. მონუმენტური სტილი. ბერძნული კაპიტალური ანუ მონუმენტური დამწერლობის შემოღების თარიღად პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ 403 წ. ძვ. წელთაღრიცხვისა.

დასავლურმა ანბანურმა სამყარომ ათვისა დამწერლობის ბერძნული ეოკალიზაცია, წერის ბერძნული მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო საბოლოოდ დამწერლობის ბერძნული ნონუმენტური გრაფიკაც.

ბერძნული დამწერლობის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის თარიღია 403 წ. ძველი წელთაღრიცხვისა. ამ წელს ათენში ეკლიდეს არქონტობის დროს, არქინოსის გადაწყვეტილებით, შემოღებული იქნა საერთო-ბერძნული, ნაციონალური დამწერლობა. ზოგად-ბერძნულ ანბანს საფუძვლად დაედო აღმოსავლურ-ბერძნული, მილეთვის იონური ანბანი. უნიფიცირებისა და სტაბილიზების შემდეგ ათენის იონური ანბანი თანდათანობით მთელ საბერძნეთში გავრცელდა და „კლასიკურ“ ბერძნულ ანბანად იქცა.

ზოგად-ბერძნული ანბანის შემოღებას 403 წელს უდიდესი სახელმწიფოებრივი წინშვნელობა ჰქონდა: ათენის დიალექტი საფუძვლად დაედო ძველ-ბერძნულ სალიტერატურო ენას, ხოლო ერთიანი ანბანური დამწერლობის შემოღებამ თანდათანობით გზა გაუკვალა ზოგად-ბერძნული — „კონიე“ ენის გავრცელებას მთელ საბერძნეთში.

შეიძლება დავასკვნათ: ძველი წელთაღრიცხვის V—IV საუკუნეთა მიჯნიდან ბერძნული დამწერლობა საბოლოოდ გაემიჯნა აღმოსავლურ ანბანურ სამყაროს და თავის მხრივ დასაბამი მისცა დასავლურ ანბანურ სამყაროს.

ახლა უპრიანია ვიკითხოთ, დამწერლობის რომელ ანბანურ სამყაროს განეკუთვნება ქართული ასომთავრული დანწერლობა. აღმოსავლურ თუ დასავლურ ანბანურ სამყაროს?

ცხადია, ქართულ ასომთავრულ ანბანში არა გვაქვს არც სემური დამწერლობის კონსონანტიზმი, არც სემური გრაფიკა, არც წერის სემური მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ.

ანბანური სისტემის თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული დამწერლობა განეკუთვნება ბერძნულ და, საერთოდ, დასავლურ ვოკალიზებულ ანბანურ სისტემებს, უფრო ზოგადად კი, დასავლურ ანბანურ სამყაროს.

ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია სემური კონსონანტური ანბანური დამწერლობის ვოკალიზაციის ზოგადი ბერძნული პრინციპი. წერის მიმართულება ქართულ ასომთავრულში ბერძნულია: მარცხნიდან მარჯვნივ. მაგრამ ქართული ასომთავრული დანწერლობის გრაფიკა დიდად განსხვავდება ბერძნული გრაფიკისაგან.

ქართული დანწერლობის სადაურობა-წარმომავლობის საიდუმლო ჯერ კიდევ ამოცნობილი არ არის სწორედ იმის გამო, რომ ჯეროვნად შესწავლილი არ არის ქართული ასომთავრული დანწერლობის გრაფიკის არსი და რაობა. ვრცლად ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით. აქ მოკლედ შეიძლება ითქვას:

ქართულ ასომთავრულ დანწერლობაში განხორციელებულია მონუმენტური დანწერლობის ზოგადი ბერძნული პრინციპები, მაგრამ ამ პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებულია ბერძნულისაგან სრულიად განსხვავებული გრაფიკული სახეობის მონუმენტური დამწერლობა. ქართული მრგლოვა-

ნი, ასომთავრული ღრმად გააზრებული გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა და ამ თვალსაზრისით იგი ბერძნულ მონუმენტურ დამწერლობას ეტოლება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ ასომთავრულში სრულყოფილად არის განხორციელებული ანბანური დამწერლობის ყველა ასპექტი: ქართული ანბანი ზუსტად ასახავს ქართული ენის ფონეტიკას; ქართულ ანბანში განხორციელებულია ვოკალიზაციის სრულყოფილი პრინციპი, ხოლო ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, სრულყოფილია არა მხოლოდ გეომეტრიული, არამედ შინაარსეული თვალსაზრისითაც. ყველა ამ ანბანური ასპექტის თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული ერთ-ერთი ყველაზე მეტად სრულყოფილი ანბანური დამწერლობაა მსოფლიოში.

ცნობილია, რომ თავდაპირველი ჩრდილო-სემურ დამწერლობა, ენის ფონეტიკის ზუსტი ასახვის თვალსაზრისით სრულყოფილი არ იყო. ამის შესახებ ინგლისელი პალეოგრაფი დ. დირინგერი წერს (ესარგებლობთ მისი წიგნის რუსული გამოცემით):

«Северосемитский алфавит с самого начала его существования не был совершенным, однако не один алфавит в мире не достиг совершенства и поныне, хотя казалось бы, его не так уж трудно достигнуть. Совершенство алфавита предполагает точную передачу звуков речи; каждый звук должен передаваться постоянно одним и тем же знаком, а один знак не должен передавать более одного звука. Но фактически во всех алфавитах отсутствуют знаки для некоторых звуков, и в то же время в большинстве алфавитов содержатся лишние буквы. Общеизвестно, что письменность была прежде всего попыткой точно передать речь, но даже на ранних этапах она была в значительной мере безуспешной».⁴

დ. დირინგერი დასძენს: «Фонетическая система любого языка слишком сложна, чтобы ее можно было адекватно передать на письме с помощью сравнительно небольшого числа знаков».⁵

⁴ Д. Дирингер, Алфавит, Москва, 1963, стр. 262.

⁵ Д. Дирингер, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

მაგრამ ანბანური დამწერლობა სრულყოფილი არ არის არა მხოლოდ ენის ფონეტიკური მიზეზების გამო, არამედ დამწერლობის განვითარების ზოგად ისტორიულ გარემოებათა გამოც.

რაც შეეხება ქართულ ანბანურ დამწერლობას, როგორც ისტორიულ წარსულში, ისე ამჟამად, ყველაზე მეტად სრულყოფილ ანბანურ დამწერლობად უნდა ჩაითვალოს.

ინგლისელი მეცნიერის უილიამ ედუარდ დავიდ ალენის თქმის არ იყოს:

«Грузинский алфавит является весьма совершенным инструментом для передачи всего богатства разнообразных звуков этого языка; буквы передают каждый отдельный звук точно и ясно, и никакой другой алфавит не может сравниться с ним в этом отношении».⁶

არც ერთ ერს ისტორიულ წარსულში არ შეუქმნია იმდენად სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, როგორცაა ქართული ანბანური დამწერლობა. ეს ვითარება შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს და ამდენად ეს საკითხი თავის ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

⁶ Д. Дирингер, დასახ. ნაშრომი, გვ. 382.

ქართული დამწერლობის შემოღების ხანა

„...და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაგრცო ენა ქართლისა და არღა რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი

„ქართლის ცხოვრება“.

ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცულია ერთადერთი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა. ქართულმა ისტორიულმა ტრადიციამ სხვა, ამ ცნობის უარყოფელი თვალსაზრისი არ იცის. პირუტყუ, ქართულ ტრადიციას ეს ცნობა უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია.

ამიტომაც განუკითხავად ამ ცნობის უარყოფა შეუძლებელია, მით უმეტეს, ფრაზა ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ, ცალკე, კონტექსტს მოწყვეტილი კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ ამ ცნობის გააზრება შესაძლებელი ხდება იმ კონტექსტში, სადაც ეს ფრაზა თავის სრულყოფილ მნიშვნელობას იძენს.

კერძოდ, ფრაზა ლეონტი მროველისა „ამან (ფარნავაზ) შექმნა მწიგნობრობა ქართული“... თავის დამაჯერებლობას ჰკარგავს, თუ ეს ფრაზა არ განვიხილეთ, როგორც ამის წინ უკვე ნათქვამიდან გამომდინარე შედეგი.

გამოკვლევის ამ ნაწილს წარემძღვარა ლეონტი მროველის მრავლის მეტყველი ცნობის სრული კონტექსტი ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ. ეს კონტექსტი, რომლის დანაწევრება შეუძლებელია, ასე იკითხება:

„...და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაგრცო ენა ქართული,

და არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულია და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

როგორც ივ. ჯავახიშვილს უკვე გამოკვეული აქვს, მწიგნობრობა ამ კონტექსტში დამწერლობას ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ამ სიტყვა „მწიგნობრობა“-ს ანბანის... ზოგად სახელადაც ხმარობდნენ. ლეონტი მროველს თავის თხზულებაში აღნიშნული აქვს, ფარნავაზ მეფემ „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, ე. ი. ქართული ანბანის... შემომღები იყოო“.⁷

ლეონტი მროველის ცნობის გამო უნდა ითქვას შემდეგი: სახელოვანმა მემკვიდრემ ერთმანეთს არ დააშორა ორი განუყოფელი ცნება — ენა და დამწერლობა. ლეონტი მროველი ფარნავაზის შესახებ ამბობს: „ამან განავრცო ენა ქართული“ და იქვე დასძინა: „ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“-ო.

ვფიქრობ, ლეონტი მროველის კონტექსტში იგულისხმება ის ვითარება, რომელიც შეიქმნა საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდგომ.

ქართლის ცხოვრება გვაუწყებს:

„მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯეთისა. ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა... ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა... და წარმოსცა გვირგვინი.. წარვიდა ფარნავაზ და მოარბია საზღვარი საბერძნეთისა... მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი... მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა (სამეგრელოსა) ზედა... ყამითი-ყამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხის მეგრელნი და კლარჯნი და განავის ყოველი საქმე დაშლილი...“

საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება დასრულდა.

ასეთია ქართული ისტორიული ტრადიცია, რისი ხელ-აღებიცა უარყოფა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949 წ., გვ. 26.

საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდგომ, სავარაუდებელია, უნდა შემოღებულიყო ყველა ქართველ ტომთათვის საერთო-ქართული, სახელმწიფო ენა, ვფიქრობ, ლეონტი მროველის კონტექსტში ფრაზას — „ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა...“ — სწორედ ამ ვითარების ამსახველი მნიშვნელობა ენიჭება და საერთო-ქართულის, სახელმწიფო ქართულის შემოღება იგულისხმება. რა თქმა უნდა, საერთო-ქართულ მწიგნობრულ ენას საფუძვლად უნდა დასდებოდა ქართული ენის აღმოსავლურ-ქართული დიალექტი.

საგულისხმოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ (S-30) და მაჩაბლისეულ (H-2135) ნუსხებში უკვე ცნობილ ფრაზა: „ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“... ცოტა სხვაგვარად იკითხება:

„ამან განავრცო ენა ქართლისა და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა...“

იქნებ ასეთ წაკითხვას უპირატესობაც მიენიჭოს, რადგან ამ კონტექსტში უფრო მკაფიოდ გამოსკვივის ის აზრი, რომ ქართლის დიალექტი საფუძვლად დაედო ზოგად-ქართულ მწიგნობრულ ენას.

ამის შემდგომ უკვე სავსებით გასაგები ხდება ლეონტი მროველის კონტექსტის უკანასკნელი ფრაზა „ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ე. ი. საერთო-ქართული, სახელმწიფო ენის შემოღება ქართული დამწერლობის შემოღება-დამკვიდრებასაც მოასწავებდა. საერთო-სახელმწიფო ქართულ ენას საფუძვლად დაედო ქართული ანბანი, შემოღებულ იქნა ქართული მწიგნობრობა.

სიანს, ფარნავაზ მეფის ზეობის ხანაში განხორციელებულა უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი აქცია: ქართული დამწერლობა ფარნავაზ მეფემ ზოგად-ქართულ სახელმწიფო დამწერლობად აქცია. უფრო სწორად, ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას ქართული ისტორიული ტრადიცია ფარნავაზ მეფეს მიაწერს.

აქ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ძველი წელთაღრიცხვის 403 წლის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი ბერძნული დამ-

წერლობის ისტორიაში. საქართველოში, სჩანს, განხორციელდა რამდენადმე ანალოგიური მნიშვნელობის აქცია, რაც საბერძნეთში შედარებით უფრო ადრე — 403 წელს მოხდა, როცა შემოღებულ იქნა ზოგად-ბერძნული ანუ სრულიად-ბერძნული დამწერლობა.

შეიძლება დავასკვნათ: ქართულ ისტორიულ მატრიანეში დაცულია უდიდესი მნიშვნელობის ცნობა ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ, რისი ხელ-აღებით უარყოფა შეუძლებელია.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაეწიოს ანგარიში: XI საუკუნეში მოღვაწე ქართველ მემატრიანეს — ლეონტი მროველს მიაჩნია, რომ ქართული დამწერლობა შემოღებულია წარმართულ ხანაში და წარმართული კულტურის ძეგლია და არა ქრისტიანული კულტურისა. ქართული დამწერლობა რომ ქრისტიანული კულტურის ძეგლი ყოფილიყო, განა მროველ ეპისკოპოსს და ქართველ მემატრიანეს ეს არ უნდა სცოდნოდა?

სჩანს, XI საუკუნეში კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუნდაც ტრადიციულად, ქართული დამწერლობის შემოღების ხანა და ეპოქა.

რადგან ქართული დამწერლობის შემოღება ფარნავაზ მეფეს მიეწერება, საჭიროა ვიცოდეთ ფარნავაზ მეფის ზეობის წლები, რათა ამ პერიოდით განისაზღვროს ქართული დამწერლობის შემოღების სავარაუდო პერიოდიც. სამწუხაროდ, ფარნავაზ მეფის ზეობის წლები ცნობილი არ არის. ამ საკითხს თაობაზე არსებობს სხვადასხვა ვარაუდი და თვალსაზრისი. ქართლის ცხოვრება კი ამის შესახებ გვაცნობებს:

„ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა (ფარნავაზ) და სამოცდახუთა წელ მეფობდა ნებიერ“. როცა ფარნავაზის გამეფების შესახებ თარიღი ცნობილი არ არის, ხოლო მისი ზეობა თუ მართლაც ასეთი ხანგრძლივი იყო, ქართული დამწერლობის შემოღების მიახლოებითი თარიღის განსაზღვრაც, რა თქმა უნდა, ძნელდება.

ამგვარად, საკითხი ასე უნდა დაისვას: არსებობს თუ არა რაიმე ტრადიციული ცნობა ქართული დამწერლობის შემოღების თარიღის შესახებ?

ასეთი ტრადიციული ცნობა არსებობს.

„ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერში ლეონტი მროველის ზემოთ განხილულ კონტექსტს ახლავს შედარებით მოგვიანო ხანის კომენტარი, რომელიც ასე იკითხება: „აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული“. ხოლო ერთადერთ ხელნაწერში (S—4730) დაცულია სათარიღო მაჩვენებელიც, რომელიც სრულად ასე იკითხება:

„აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართული ადამს აქეთ ძლიბ წელს“.

„ქართლის ცხოვრების“ ამ კომენტარს, ვგონებ, პირველად ყურადღება მიაქცია დიდმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ, პოეტმა ეს კომენტარი ამოიკითხა აქად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოქვეყნებულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში. ამ სათარიღო მაჩვენებლით პოეტი იმდენად დაინტერესებულა, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში მისულა, მითითებული ხელნაწერი მოუთხოვია და მინაწერი ხელნაწერ დედანში შეუმოწმებია. თავის დღიურში გალაკტიონ ტაბიძე წერს:

„9 თებერვალი (1956 წ.). შევიძინეთ წიგნის მაღაზიაში ქართლის ცხოვრება... ქართლის ცხოვრებაში სწერია: და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული. არშიაზე: „აქა მწიგნობრობა დაიწყეს (ქართველთა) ქართული ადამს აქეთ ძლიბ წელს. საინტერესოა... ასე:

წელსა ძლიბ-ს
ადამსა აქეთ
წერდნენ ქართულ წიგნს...
აღიდეთ, აქეთ!
ტაცებას, დასჯას,
წარღვნას გადარჩა,
აწ სდგას დარაჯად
და მოამაგეთ...

10 თებერვალი.ძლიბ“-ი ყოფილა 3712 წელი...

11 თებერვალი. ...წიგნი წარედგინება სახელგამს 16 და 17, ხვალ და ზეგ... ციტატები „ქართლის ცხოვრებიდან და რუსთაველიდან“.
(გალაკტიონ ტაბიძის დღიური 1956 წ., „მშვიდობის წიგნი“).

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ ერთადერთ ხელნაწერში ქართული დამწერლობის შემოღების თარიღიც დასტურდება. „ძლიბ“ 3712 წ. ნიშნავს. ახლა საჭიროა „ადამითგანს“ ანუ ქართულ „დასაბამითგანს“ გამოვავლოთ ეს უკანასკნელი რიცხვი. ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე ანუ დასაბამით-

გან, ადამიდან ქრისტემდე ქართველები 5604 წელს ითვლიდნენ. ამიტომ $5604 - 3712 = 1892$ წ. ძვ. წ.

ძველი წელთაღრიცხვით 1892 წელს არათუ ქართული ანბანი, საერთოდ, ანბანური დამწერლობა არ არსებობდა. ამიტომ, თითქოს უნდა დავასკვნათ, რომ თარიღი მცდარია და ქეშმარიტებას არ შეესაბამება, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია. ირკვევა, რომ ქრონოლოგიური კომენტარი საიდუმლო სათვალავადი, ანუ სათვალავადი კრიპტოგრაფიული ჩანაწერია. ამიტომ აუცილებელია კრიპტოგრაფიული ჩანაწერის საიდუმლო შინაარსი და მნიშვნელობა ამოვიცნოთ.

საქმეს აადვილებს ის გარემოება, რომ კრიპტოგრაფიულად ჩაწერილი მსგავსი ქრონოლოგიური კომენტარები „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში სხვაც მოგვეპოვება. „ქართლის ცხოვრების“ ამა თუ იმ ისტორიული ხასიათის კონტექსტს განმარტების სახით თან ახლავს ქრონოლოგიური კომენტარი. ამ ქრონოლოგიური კომენტარებიდან რეალური ისტორიული მნიშვნელობისაა ხუთი ქრონოლოგიური კომენტარი და, მათ შორის, რა თქმა უნდა, უწყება ქართული მწიგნობრობის შემოღების შესახებ.

განვიხილოთ ხუთივე სათვალავადი კრიპტოგრამა „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის კონტექსტთან ერთად. ბოლო, უკანასკნელი ქრონოლოგიური კომენტარი ქართული მწიგნობრობის შემოღებას შეეხება. ჩვენც აქედან დავიწყით:

1. „ქართლის ცხოვრების“ კონტექსტი:

„და ამან (ფარნავაზ) შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ქრონოლოგიური კომენტარი:

„აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული ადამს აქეთ ძღიბ(3712) წელს“.

2. „ქართლის ცხოვრების“ კონტექსტი:

„ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა...“

ქრონოლოგიური კომენტარი:

„ადამს აქათ სამი ათას ექვსას სამოცდა ორს (3662) წელს უკან იყო ალექსანდრე“.

3. „ქართლის ცხოვრების“ კონტექსტი:

„შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა მეფე იქმნა

სპარსეთს ძე სპანდიატისი, რომელი არს სახელით ბარამ, რომელი იცნობების არდაშრობით. ესე განდიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთასა. ამან დაიპყრა ბაბილოვანი და ასურეთი, მოხარკე ყვნა ბერძენნი და პრომნი“.

ქრონოლოგიური კომენტარი:

„ადამს აქა თხამი ათას ოთხას ორმოცდა შვიდს (3447) წელს უკან განძლიერდა მეფობა სპარსთა“.

4. „ქართლის ცხოვრების“ კონტექსტი:

„და გამოხდეს ამას შინა უამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“...

ქრონოლოგიური კომენტარი:

„ადამს აქათ სამიათას სამას სამოც (3360) წელს უკან იყო ნაბუქოდონოსორ“.

5. „ქართლის ცხოვრების“ კონტექსტი:

„ხოლო პრომოს მისცა თრიმიკოსი, და უჩინა კერძო დასავლეთისა და მან აღაშენა ქალაქი პრომი“.

ქრონოლოგიური კომენტარი:

„ადამს აქათ სამი ათას ორას ოცდა ცამეტსა (3233) წელიწადს უკან აღაშენეს რომის ქალაქი“.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიური კომენტარები გვაუწყებენ, რომ:

1. ქართველებმა მწიგნობრობა დაიწყეს „ადამს აქეთ“ 3712

წელს;

2. ალექსანდრე მაკედონელი გამოჩნდა „ადამს აქათ“ 3662

წელს;

3. გაძლიერდა მეფობა სპარსთა „ადამს აქათ“ 3447 წელს;

4. იყო ნაბუქოდონოსორ „ადამს აქათ“ 3360 წელს;

5. აღაშენეს რომის ქალაქი „ადამს აქათ“ 3233 წელს.

ახლა თითოეული ქრონოლოგიური კრიპტოგრამა „ადამს აქათ“ ანუ აღაშითგან, დასაბამითგან უნდა ვიანგარიშოთ:

1. ქართველებმა მწიგნობრობა დაიწყეს: 5604—3712=ძვ. წ. 1892 წელს;

2. ალექსანდრე მაკედონელი გამოჩნდა: 5604—3662=ძვ. წ. 1942 წელს;

3. განძლიერდა მეფობა სპარსთა: 5604—3447=ძვ. წ. 2157 წელს;

4. იყო ნაბუქოდონოსორი: 5604—3360=ძვ. წ. 2244 წელს;
5. აღაშენეს რომის ქალაქი: 5604—3233=ძვ. წ. 2371 წელს.

ცხადია, არა მხოლოდ ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი, არამედ უკლებლივ ყველა ქრონოლოგიური კომენტარი არ შეესაბამება ქრონოლოგიურ სინამდვილეს. მართალია, ფარნავაზ მეფის ზეობის ხანა ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ წყალობით ცნობილია, რომ იგი ძვ. წ-ის III საუკუნის დამდეგის პოლიტიკური მოღვაწეა. რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელს, მისი ზეობის ხანა (ძვ. წ-ის 336—323 წწ.) ყოველთვის კარგად იყო ცნობილი.

ამგვარადვე, სპარსთა გაძლიერება ძვ. წ-ის VI საუკუნის შუახანებით თარიღდება და არა ძვ. წ-ის 2157 წლით; ნაბუქოდონოსორი ძვ. წ-ის VII-VI საუკუნეთა მიჯნის ბაბილონელი მეფეა და, ამდენად, თარიღი ძვ. წ-ის 2244 წელი, რა თქმა უნდა, მიუღებელია. მითუმეტეს, „ქართლის ცხოვრების“ კონტექსტში და ქრონოლოგიურ კომენტარში ნაბუქოდონოსორ მეორე იგულისხმება, რომლის ზეობის წლები ცნობილია (ძვ. წ-ის 605—562 წწ.).

რაც შეეხება ქალაქ რომის აშენების ანუ ქალაქის დაარსების თარიღს, ძველი ქრონოლოგიისა და წელთაღრიცხვის საკმაოდ ცნობილი თარიღია. ძვ. წ-ის 753 წელი ლათინურ ქრონოლოგიაში ქალაქ რომის დაარსებისა (ე. წ. ab urbe condita) და რომაული წელთაღრიცხვის დასაბამ თარიღად ითვლებოდა. „ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიური კომენტარის თანახმად კი რომის აშენება ძვ. წ-ის 2371 წლით თარიღდება.

ამრიგად, ძალიან ძნელია ვიფიქროთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ქრონოგრაფმა ასეთი უხეში ქრონოლოგიური შეცდომები დაუშვა. საგულისხმოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამ თარიღებში დაცულია მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა: ჯერ „რომი აშენდა“, მერე „იყო ნაბუქოდონოსორი“, „განძლიერდა მეფობა სპარსთა“, „გამოჩნდა ალექსანდრე მაკედონელი“, ხოლო სულ ბოლოს ქართველებმა მწიგნობრობა დაიწყეს.

რაკი ქრონოლოგიურ კომენტარებში დაცულია ქრონო-

ლოგიური თანმიმდევრობა მოვლენებისა, ეს ჩანაწერები, როგორც ჩანს, ერთ კრიპტოგრაფიულ წესზეა აგებული. ამიტომ ძალიან ადვილია გამოვარკვიოთ, რა ქრონოლოგიური ინტერვალებია ამ კრიპტოგრაფიულ თარიღებს შორის.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა კრიპტოგრაფიული თარიღი ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენის შესახებ, რადგან ეს თარიღი ძალიან ახლოა ქართული მწიგნობრობის შემოღების კრიპტოგრაფიულ თარიღთან. რაკი ალექსანდრე მაკედონელი „ადამს აქათ“ 3662 წელს გამოჩნდა, ანუ ძვ. წელთაღრიცხვის 1942 წელს, ხოლო ქართველებმა მწიგნობრობა „ადამს აქეთ“ 3712 წელს დაიწყეს, ანუ ძვ. წელთაღრიცხვის 1882 წელს, ამიტომ ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენა წინ უსწრებს ქართული დამწერლობის შემოღებას ზუსტად 50 წლით (1942—1892=50).

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ქრონოგრაფს მიაჩნია, რომ ქართული მწიგნობრობა ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენის 50 წლის შემდეგ დაიწყო.

მე ვფიქრობ, ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენის კრიპტოგრაფიული თარიღი — ძვ. წელთაღრიცხვის 1942 წელი, მისი ზეობის დასაბამ თარიღს — ძვ. წ.-ის 336 წელს კი არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ ეს კრიპტოგრაფიული თარიღი აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დასაბამს უნდა გულისხმობდეს. აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა ძვ. წ.-ის 334 წელს დაიწყო. ეს ფრიად მნიშვნელოვანი თარიღია, რაკი ისტორიოგრაფიაში ელინისტური ხანის დასაბამად არის მიჩნეული. ამგვარად, კრიპტოგრაფიული თარიღი — ძვ. წ.-ის 1942 წელი ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენისა და ელინისტური ერის დასაბამ თარიღს, ძვ. წ.-ის 334 წელს უნდა გულისხმობდეს. შესაბამისად, ძვ. წ.-ის 334 წლის შემდეგ 50-მა წელიწადმა განვლო, როცა ქართველებმა მწიგნობრობა დაიწყეს: $334 - 50 = 284$ წ. ძვ. წელთაღრიცხვით.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიგნებულია ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი — ძვ. წ.-ის 284 წელი, მაგრამ სათვალავადი კრიპტოგრაფია ჯერ საბოლოოდ ამოცნობილი არ არის.

სათვალაუვად კრიბტოგრამებში ჩემი ყურადღება მიიქცია სიტყვებმა „აქათ“ და „უკან“.

1. ადამს აქათ 3662 წელს უკან იყო ალექსანდრე.
2. ადამს აქათ 3447 წელს უკან გაძლიერდა მეფობა სპარსთა.
3. ადამს აქათ 3360 წელს უკან იყო ნაბუქოდონოსორ.
4. ადამს აქათ 3233 წელიწადს უკან აღაშენეს რომის ქალაქი.

რაც შეეხება ქართული მწიგნობრობის შემოღების კრიბტოგრაფიულ ჩანაწერს, ამ ჩანაწერში სიტყვა „უკან“ არა გვაქვს. ამ თვალსაზრისით, ეს ჩანაწერი ერთადერთი გამო-ნაკლისია. ეს ვითარება გადამწერის უყურადღებობით შეიძლება აიხსნას. მაგრამ ვინ იცის, „ქართლის ცხოვრების“ ქრონოგრაფმა, საიდუმლოს შენახვის მიზნით, იქნებ ეს განზრახ ჩაიდინა.

საერთოდ, კრიბტოგრაფიის ერთ-ერთი არსი ის არის, რომ კრიბტოგრაფიული ჩანაწერი შეიძლება წინა-უკმოდ იკითხებოდეს. ჩვენს მაგალითებში „ადამს აქათ“ სავსებით გასაგებია, რადგან ქრონოლოგიური ათვლა წლებსა, საერთოდ, დასაბამითგან ანუ ადამითგან ხდება. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „უკან“? ჩანაწერების კრიბტოგრაფიულ საიდუმლოს, ვფიქრობ, ეს სიტყვა უნდა აცხადებდეს. ამიტომ კრიბტოგრაფიულ ჩანაწერებში ჭერ „ადამს აქათ“ უნდა ვიანგარიშოთ, ხოლო შემდეგ „უკან“. პირველივე მაგალითით ცხადვყოთ:

1. ადამს აქათ 3662 წელს უკან იყო ალექსანდრე.
- ადამს აქათ 3662 წელი ზემოთ უკვე ვიანგარიშეთ (5604—3662=1942) და ძვ. წელთაღრიცხვის 1942 წელი მივიღეთ. როგორც ჩანს, აქ თარიღის გამოთვლა დამთავრებული არ არის. ამიტომ ახლა 1942 წელი „უკან“ უნდა ვიანგარიშოთ. ე. ი. იმ დროს, როცა ქრონოლოგიური კომენტარი იწერება, ალექსანდრე მაკედონელი 1942 წლის წინათ იყო, ანუ ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენის დროიდან ქრონოლოგიური კომენტარის აღნიშვნის დრომდე 1942 წელიწადმა განვლო. რაკი ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენის თარიღი ცნობილია — ძვ. წ.-ის 334 წელი, ამ თარიღს უნდა მივუმატოთ 1942 წელიწადი; ძვ. წ.-ის 334 + 1942 = ახ. წ. 1608 წელი.

ირკვევა, რომ ქრონოლოგიური კომენტარი ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“

სათვალავადი კრიპტოგრამის სახით შეტანილია ახ. წ.-ის 1608 წელს.

ახლა ცხადია, ახ. წ.-ის 1608 წელს ალექსანდრე მაკედონელი 1942 წლის წინათ იყო: ახ. წ. 1608—1942=334 წ. ძვ. წ.-ისა.

კვლავ ქართული მწიგნობრობის შემოღების კრიპტოგრაფიულ თარიღს დავუბრუნდეთ.

ქართველებმა მწიგნობრობა დაიწყეს ქართული, ადამს აქეთ 3712 წელს: 5604—3712=ძვ. წ. 1892 წელი. ახლა ეს თარიღი „უკან“ უნდა ვიანგარიშოთ. თუ ეს კრიპტოგრამაც 1608 წელს არის „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაწერილი:

ახ. წ. 1608—1892 წ.=ძვ. წ. 284 წელი.

ამგვარად ირკვევა, რომ ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღია ძვ. წ.-ის 284 წელი, ხოლო ეს თარიღი სათვალავადი კრიპტოგრამის სახით ჩაწერილია „ქართლის ცხოვრებაში“ 1608 წ. ახ. წ.

ახლა სხვა კრიპტოგრაფიული ჩანაწერებიც შევამოწმოთ.

„ადამს აქათ 3447 წელს უკან გაძლიერდა მეფობა სპარსთა“. 5604—3447=ძვ. წ. 2157 წელი. ახლა ეს თარიღი „უკან“ უნდა ვიანგარიშოთ. თუ ეს კრიპტოგრამაც 1608 წელს არის დაწერილი:

ახ. წ. 1608—2157 წ.=ძვ. წ. 549 წელი

ძვ. წ.-ის 549 წელს სპარსელებმა მიდია დაიპყრეს. სპარსეთი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა. აქემენიდი კიროსის გამეფება სპარსეთსა და მიდიაში ძვ. წ.-ის 549 წელს ისტოროგრაფიაში სპარსეთის სახელმწიფოს დაარსების თარიღად არის მიჩნეული.

ცხადი ხდება, რომ ქრონოლოგიური კომენტარები „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაწერილია კრიპტოგრაფიულად 1608 წელს. ეს შეეხება როგორც ქართული მწიგნობრობის შემოღებას, აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენასა და სპარსთა მეფობის გაძლიერებას. სამივე შემთხვევაში ქრონოლოგიური კომენტარი ზუსტად შეესაბამება „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის კონტექსტს.

ამასვე ვერ ვიტყვით ორი უკანასკნელი ქრონოლოგიური კომენტარის შესახებ. ჯერ, რაც შეეხება ქალაქ რომის აშე-

ნების თარიღს — „ქართლის ცხოვრების“ კონტექსტის თანახმად ალექსანდრე მაკედონელმა სიკვდილის წინ დაპყრობილი ქვეყნები თავის მორჩილ ქვეშევრდომებს გადასცა და მათ შორის „ჰრომოს მისცა თრიმიკოსი და უჩინა კერძო დასავლეთისა და მან აღაშენა ქალაქი ჰრომი“. („ქართლის ცხოვრება“. გვ. 19). ცხადია, „ქართლის ცხოვრების“ კონტექსტით ყოველივე ეს ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის წინ და მისი გარდაცვალების შემდეგ ხდება. ქრონოლოგიური კომენტარი კი ამის შესახებ გვამცნობს:

„აღამს აქათ 3233 წელიწადს უკან აღაშენეს რომის ქალაქი“. რაკი ქრონოლოგიური ჩანაწერის კრიპტოგრაფიული არსი ჩვენთვის უკვე ცნობილია, იმავე კრიპტოგრაფიული წესით უნდა ვიანგარიშოთ: $5604 - 3233 = ძვ. წ. 2371$ წელი. თუ ეს კრიპტოგრაფიული თარიღი წინა მაგალითების მსგავსად ახ. წ.-ის 1608 წელს არის გამოთვლილი, აქედანვე 2371 წელი „უკან“ უნდა ვიანგარიშოთ:

$1608 - 2371 = ძვ. წ. 763$ წ.

ცხადია, ამ შემთხვევაში ქრონოლოგიური კომენტარი არ შეესაბამება „ქართლის ცხოვრების“ სათანადო კონტექსტის ქრონოლოგიურ პერიოდს, მაგრამ ზოგადად ქრონოლოგიური კომენტარი ქალაქ რომის აშენების ანუ ქალაქ რომის დაარსების გაცილებით მნიშვნელოვან თარიღს გვაუწყებს. როგორც ცნობილია, ქალაქ რომის აშენების თარიღი (ე. წ. ab urbe condita) რომაული ქრონოლოგიის დასაბამია. ამდენად, ქრონოლოგიური კომენტარი რომის აშენების უფრო მართებულ თარიღს გვთავაზობს. მაგრამ რატომ შეცდა ქრონოგრაფი ზუსტად 10 წლით? რომის დაარსების თარიღია არა 763 წელი ძველი წელთაღრიცხვისა, არამედ 753 წელი ძველი წელთაღრიცხვისა. რაკი თარიღში ზუსტად 10 წლის სხვაობაა, ადვილი დასაშვებია, რომ გამოთვლაში ან თვით ქრონოგრაფი შეცდა, ან ხელნაწერის გადამწერმა არასწორად გადაიწერა.

მაგრამ არის მეორე შესაძლებლობაც: იქნებ ეს ქრონოლოგიური კომენტარი „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია მოგვიანებით; არა 1608, არამედ 1618 წელს. ასეთ შემთხვევაში:

1618—2371=ძვ. წ. 753 წ.

ასეა თუ ისე, „ქართლის ცხოვრების“ ქრონოგრაფს მხედველობაში აქვს რომაული ქრონოლოგიის დასაბამი თარიღი — ძვ. წ.-ის 753 წელი, მითუმეტეს, შეუძლებელია რომაული ქრონოლოგიის ეს დასაბამი თარიღი „ქართლის ცხოვრების“ ქრონოგრაფს ზუსტად არ სცოდნოდა.

ახლა, რაც შეეხება ქრონოლოგიურ კომენტარს ნაბუქოდონოსორის შესახებ:

„აღამს აქათ 3360 წელს უკან იყო ნაბუქოდონოსორ“.
„ქართლის ცხოვრების“ შესაბამის კონტექსტში ნათქვამია:
„ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი“...

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქრონოლოგიურ კომენტარში იერუსალიმის წარმოსტყვევნის შესახებ არაფერია ნათქვამი, არამედ ზოგადად ნაბუქოდონოსორის დრო-ჟამია განსაზღვრული. გასარკვევია, რა თარიღს გვამცნობს ქრონოგრაფი.

კვლავ ქრონოგრაფის კრიპტოგრაფიული მეთოდით უნდა ვიანგარიშოთ:

5604—3360=ძვ. წ. 2244 წელი. თუ ეს კრიპტოგრამა კვლავ 1608 წელს არის ჩაწერილი, ამ წლიდან 2244 წელა „უკან“ უნდა ვიანგარიშოთ:

ახ. წ. 1608—2244=ძვ. წ. 636 წელი.

გასარკვევია, რა მნიშვნელობას ანიჭებს ქრონოგრაფი ამ თარიღს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ თარიღის ქვეშ ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის წარმოსტყვევნა არ უნდა იგულისხმებოდეს, რაკი ქრონოლოგიურ კომენტარში ეს აღნიშნული არ არის. ამ ისტორიული ფაქტის აღნიშვნა რომ ნდომოდა, ქრონოგრაფი ასე კი არ დაწერდა:

„აღამს აქათ 3360 წელს უკან იყო ნაბუქოდონოსორ“, არამედ ასე:

„აღამს აქათ 3360 წელს უკან ნაბუქოდონოსორ წარმოსტყუენა იერუსალიმი“.

გარდა ამისა, ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი წარმოსტყვევნა ძვ. წ. 586 წელს და არა ძვ. წ. 636 წელს. ამ თარიღებს შორის სხვაობა 50 წელია (636—586=50). ასეთი შეცდომა ქრონოგრაფს შეუძლებელია დაეშვა. რაც მთავარია,

ქრონოლოგიურ კომენტარში არც ნაბუქოდონოსორ II-ის აღზევების თარიღი იგულისხმება. ნაბუქოდონოსორ მეორის ზეობის წლებია ძვ. წ. 605—562 წწ. ამიტომ ნაბუქოდონოსორი იყო არა ძვ. წ.-ის 636 წელს, არამედ ძვ. წ.-ის 605 წელს. ამ თარიღებს შორის სხვაობა 31 წელიწადია (636—605=31). ქრონოგრაფი ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა. მაშ, როგორ ავხსნათ ეს 31--წლიანი სხვაობა?

მე ვფიქრობ, ყოველ ცალკეულ ქრონოლოგიურ კომენტარში ქრონოგრაფს ამა თუ იმ ერის ღირსშესანიშნავი თარიღი აქვს გაცხადებული. უპირველეს ყოვლისა, ასეთ ღირსშესანიშნავ თარიღად მიჩნეულია ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღი — ძვ. წ.-ის 284 წელი; ქვემოთ გაირკვევა, რომ ეს თარიღი არა მხოლოდ ქართული მწიგნობრობის შემოღებისა, არამედ ქართული ქრონოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღიცაა;

ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენის ქრონოლოგიურ კომენტარში უთუოდ იგულისხმება, რომ ძვ. წ.-ის 334 წელი ელინისტური ხანის დასაბამი თარიღია და, ამდენად, ბერძნული ქრონოლოგიის უმნიშვნელოვანესი თარიღიცაა;

ქრონოლოგიურ კომენტარში, რომელიც სპარსთა მეფობის გაძლიერებას შეეხება, თარიღი 549 წელი ძველი წელთაღრიცხვისა სპარსეთის სახელმწიფოს წარმოშობისა და სპარსული ქრონოლოგიის დასაბამ თარიღად არის მიჩნეული. როგორც ცნობილია, სპარსელების გაძლიერებას აღმოსავლეთში ელინისტურმა ეპოქამ მოუღო ბოლო;

რომის აშენების თარიღი კი ძვ. წ.-ის 753 წელი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რომაული წელთაღრიცხვის დასაბამი თარიღია. ოღონდ, როგორც აღვნიშნეთ, ქრონოლოგიურ კომენტარში რომის აშენება 763 წლით თარიღდება, თუ ქრონოლოგიური კომენტარი 1608 წელს არის გამოთვლილი. მაგრამ თუ ჩანაწერი „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია უფრო გვიან, კერძოდ 1618 წელს, ასეთ შემთხვევაში რომაულ ქრონოლოგიის დასაბამი თარიღი — ძვ. წ.-ის 753 წელი — სწორად არის გამოთვლილი;

მაგრამ ასეთივე ვითარება შეიძლება გვქონდეს ქრონოლოგიურ კომენტარში ნაბუქოდონოსორის შესახებ. თუ ეს

ქრონოლოგიური კომენტარი ჩაწერილია 1608 წელს, ნაბუქოდონოსორი იყო, როგორც უკვე გამოვთვალეთ, ძვ. წ.-ის 636 წელს. მაგრამ თუ ქრონოლოგიური კომენტარი ჩაწერილია 1618 წელს, ნაბუქოდონოსორი ძვ. წ.-ის 626 წელს ყოფილა.

ამგვარად, ქრონოლოგიურ კომენტარში ნაბუქოდონოსორის შესახებ უნდა იგულისხმებოდეს ან ძვ. წ.-ის 636 წელი, ან ძვ. წ.-ის 626 წელი.

საქმე ის არის, რომ თარიღი ძვ. წ.-ის 636 წელი არაჟრის მთქმელია, ხოლო რაც შეეხება ძვ. წ.-ის 626 წელს, ღირსშესანიშნავი თარიღია ბაბილონის ისტორიისა.

ძვ. წ.-ის 626 წელი ბაბილონის ახალი სამეფოს დაარსების წელია. ახალ-ბაბილონურ სამეფოსა და ახალ-ბაბილონურ სამეფო დინასტიას საფუძველი ჩაუყარა ქალდეველმა ნაბოფალასარმა. ნაბოფალასარის ზეობის წლებია ძვ. წ.-ის 626—605 წწ.

ისტორიოგრაფიაში თარიღი ძვ. წ.-ის 626 წელი ახალ-ბაბილონური სამეფოს ქრონოლოგიის დასაბამია.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ კომენტატორს სავსებით სწორად აქვს მითითებული ბაბილონური ქრონოლოგიის დასაბამი თარიღი ძვ. წ.-ის 626 წელი, ოღონდ ახალ-ბაბილონური სამეფო დინასტიის ფუძემდებელია არა ნაბუქოდონოსორ II (ძვ. წ. 605—562 წწ.), არამედ ნაბოფალასარი (ძვ. წ. 626—605 წწ.). ამის გამო ქრონოლოგიური კომენტარი „ქართლის ცხოვრებაში“ უნდა დაწერილიყო თითქოს არა ასე: „ადამს აქათ 3360 წელს უკან იყო ნაბუქოდონოსორ“, არამედ ასე:

„ადამს აქათ 3360 წელს უკან იყო ნაბოფალასარ“.

მაგრამ, ცხადია, ქრონოგრაფი ქრონოლოგიურ კომენტარში ასე ვერ დაწერდა, რაკი „ქართლის ცხოვრებაში“ საუბარია ნაბუქოდონოსორის შესახებ, ნაბოფალასარი კი საერთოდ არ იხსენიება.

უნდა დავასკვნათ: ქრონოლოგიური კომენტარები „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაწერილია სათვალავადი კრიპტოგრამების სახით. სამი სათვალავადი კრიპტოგრამა: უწყება ქართული მწიგნობრობის შემოღების შესახებ, ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენისა და სპარსთა მეფობის გაძლიერების შესახებ

„ქართლის ცხოვრებაში“ ჩაწერილია ახ. წ.-ის 1608 წელს, ხოლო ორი სათვალავადი კრიპტოგრამა ნაბუქოდონოსორისა და რომის აშენების შესახებ, „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაწერილია 1618 წელს.

„ქართლის ცხოვრების“ ქრონოგრაფი გვამცნობს:

1. ქართველთა მწიგნობრობა დაიწყეს ქართული ძვ. წ.-ის 284 წელს;
2. ალექსანდრე მაკედონელი გამოჩნდა ანუ ელინისტური ხანის დასაბამია ძვ. წ.-ის 334 წელი;
3. გაძლიერდა მეფობა სპარსთა ანუ სპარსული ქრონოლოგიის დასაბამია ძვ. წ.-ის 549 წელი;
4. იყო ნაბუქოდონოსორ ანუ ბაბილონური ქრონოლოგიის დასაბამია ძვ. წ.-ის 626 წელი;
5. აღაშენეს რომის ქალაქი ანუ რომაული ქრონოლოგიის დასაბამია ძვ. წ.-ის 753 წელი.

ამრიგად, ასე მგონია, „ქართლის ცხოვრების“ სათვალავადი კრიპტოგრაფიული ჩანაწერების საიდუმლოება ამოცნობილია. მაგრამ რა მნიშვნელობას ანიჭებს ქრონოგრაფი ამ საიდუმლო ჩანაწერებს? რისი თქმა სურს და რა საიდუმლო სურს გაგვანდოს?

მე ვფიქრობ, ქრონოგრაფი ქართული დამწერლობის ანუ ქართული მწიგნობრობის შემოღების საიდუმლო თარიღს გვიჩვენებს, მაგრამ რაკი ქართული მწიგნობრობის შემოღებას თარიღი საიდუმლოა, საქვეყნოდ იგი ცნობილი არ უნდა იყოს. კრიპტოგრაფიული ჩანაწერების საერთო, ზოგადი დედააზრი კი ასეთია:

1. ქართული დამწერლობა შემოღებულია ელინისტური ეპოქის დასაბამიდან 50 წლის შემდგომ ($334-50=284$), ე. ი. ძვ. წ. 284 წელს;

2. ქართული დამწერლობა შემოღებულია სპარსული წელთაღრიცხვის დასაბამიდან 265 წლის შემდგომ ($549-265=284$), ე. ი. ძვ. წ.-ის 284 წელს;

3. ქართული დამწერლობა შემოღებულია ბაბილონური წელთაღრიცხვის დასაბამიდან 342 წლის შემდგომ ($626-342=284$), ე. ი. ძვ. წ.-ის 284 წელს;

4. ქართული დამწერლობა შემოღებულია რომაული წელთ-

აღრიცხვის დასაბამიდან 469 წლის შემდგომ (753—469=284),
ე. ი. ძვ. წ.-ის 284 წელს;

5. ქართული წელთაღრიცხვა შემოღებულია ძვ. წ.-ის 284 წელს;

ვფიქრობ, ხუთივე სათვალავადი კრიპტოგრამა ერთ მიზანს ემსახურება: ქართული მწიგნობრობის შემოღების საიდუმლო თარიღი გამოცხადდეს.

ამავე დროს, რაკი ოთხი ქრონოლოგიური უწყება ბერძნული, რომაული, სპარსული და ბაბილონური ქრონოლოგიის დასაბამი თარიღებია, ხომ არ ვიფიქროთ, რომ ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღი ქართული ქრონოლოგიის დასაბამი თარიღია?

ასეთ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების“ ქრონოგრაფი დაფარულად იმას უნდა გვიცხადებდეს, რომ ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამია ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღი — ძვ. წ.-ის 284 წელი.

„ქართლის ცხოვრების“ კრიპტოგრაფიული ჩანაწერების ცოდნის გარეშე, ვარაუდად, ამ თარიღის გამო მეცნიერებს სხვადასხვა თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული.

შეიძლება ითქვას, რომ თარიღი ძვ. წ.-ის 284 წელი და მისი რაობა ყველაზე უკეთ ამოიცნო ცნობილმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ (იხ. პ. ინგოროყვა — „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“. ჟურნ. „მნათობი“, 1939 წ., № 1, გვ. 163—188; პ. ინგოროყვა — „ძველი ქართული მათიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია“. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XI. 13. 1941 წ., გვ. 259—317).

პ. ინგოროყვა წერს:

„ძველი ქართული კალენდარის შესწავლიდან ირკვევა, რომ... სახელდობრ დასაწყისი ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა არის 284 წელი ჩვენს ერამდე. ეს წელი არის გამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ქართული ქორონიკონის სისტემას“...

საერთოდ, ქრისტიანულ ქვეყნებში მიღებული იყო წელთაღრიცხვის სამი სისტემა: „ქრისტესით“, „დასაბამიდან“ და „ქორონიკონით“.

წელთაღრიცხვა „ქრისტესით“ ყველა ქრისტიანული ხალხისათვის საყოველთაო და ერთნაირი იყო. ეს წელთაღრიცხვა ახლაც კარგად ცნობილია. წელთაღრიცხვა „ქორონიკონით“ 532-წლიანი ციკლით ხდებოდა. 532-წლიანი მოქცევა ცნობილია აგრეთვე სახელით „აღფა“, ეს იმიტომ, რომ ამ სიტყვის ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი როგორც ბერძნულად, აგრეთვე, ქართულად 532-ს შეადგენს;

$$(1 + 30 + 500 + 1 = 532);$$

532-წლიანი მოქცევა არის მზის 28-წლიანი ციკლისა და მთვარის 19-წლიანი ციკლის ნამრავლი:

$$28 \times 19 = 532$$

ქორონიკონული წელთაღრიცხვა ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მიღებული არ იყო, მაგრამ 532-წლიანი ციკლი, ე. წ. „დიდი ინდიქტიონი“, ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მიღებული იყო, როგორც ე. წ. „პასქალური“ სისტემა.

ძველ-ქართული კალენდრის შესწავლის საფუძველზე პავლე ინგოროყვამ გაარკვია, რომ გამოსავალი თარიღი ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვისა არის 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა. მართლაც, როგორც ცნობილია, ახ. წ.-ის 780 წელს დასრულდა მე-12 მოქცევა, ხოლო 1312 წელს მე-13 მოქცევა:

$$(780 + 532 = 1312)$$

შესაბამისად, მე-11 მოქცევა უნდა დასრულებულიყო $780 - 532 = 248$ წ. ახ. წ.-ით, ხოლო მე-10 მოქცევა — $284 - 532 = 248$ წ. ძვ. წ.-ით; უნდა დავასკვნათ: 284 წელს ძვ. წ.-ით დასრულდა ათი 532 წლიანი მოქცევა და დაიწყო მე-11 532-წლიანი ციკლი. ე. ი. ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვის გამოსავალი თარიღი ყოფილა 284 წ. ძველი წელთაღრიცხვისა.

ძვ. წ.-ის 284 წელი ქართული ქრონოლოგიის დასაბამ თარიღად მიაჩნდათ დავით ჩუბინაშვილს (1814—1891) და ალექსანდრე სვანიძეს. როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, თარიღი ძვ. წ. 284 წელი ქართული წელთაღრიცხვის დასაბამ კალენდარულ თარიღად მიიჩნია პავლე ინგოროყვამ.

მაგრამ მეცნიერთა ეს თვალსაზრისი დღემდე ვარაუდის სფეროში რჩებოდა. „ქართლის ცხოვრების“ კრიპტოგრაფი-

ული ჩანაწერების ამოცნობის შემდგომ ცხადი ხდება, რომ ძვ. წ.-ის 284 წელი ზოგადად ქართული ქრონოლოგიის ამოსავალი თარიღია. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ქართული ქრონოლოგიის გამოსავალი თარიღია ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი — ძვ. წ.-ის 284 წელი. კერძოდ, ქართულ ქრისტიანულ ქორონიკონულ წელთაღრიცხვას საფუძვლად დასდებია დამწერლობის შემოღების ქართული წარმართული თარიღი. მგონია, ამიერიდან ამ თვალსაზრისს „ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიური ჩანაწერები ცხადყოფენ.

ახლა წელთაღრიცხვის მესამე სისტემის, ე. წ. „დასაბამითგანის“ შესახებ. ეს წელთაღრიცხვა აგრეთვე ქრისტიანულია. ეს ერა ანგარიშობს დროს ქვეყნის გაჩენიდან, ანუ „ადამითგან“, ქრისტეს შობამდე. ერა დასაბამითგან ქრისტეს დაბადებამდე სხვადასხვა სახისაა, რაკი ამ ერას სხვადასხვა დროის პერიოდით განსაზღვრავენ. ძირითადად ცნობილია „დასაბამითგანის“ შემდეგი ვარიაციები:

1. 5198 წელი — ევსევი კესარიელისა;
2. 5492 წელი — პანოდორე ალექსანდრიელისა;
3. 5500 წელი — ანთანე ალექსანდრიელისა;
4. 5508 წელი — ბიზანტიელებისა (ბიზანტიური ერა).

ქართველებს კი საკუთარი „დასაბამითგანი“, ყველასაგან განსხვავებული ერა აქვთ. ქართული „დასაბამითგანი“ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე 5604 წელს ანგარიშობს. რა არის ამის მიზეზი?

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 284 წელს ქრისტეს დაბადებამდე დასრულდა ათი 532-წლიანი ციკლი. მაშასადამე, ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს შობამდე გასულა დრო $10 \times 532 = 5320$ წელი და კიდევ 284 წელი $5320 + 284 = 5604$ წელი.

უნდა დავსაკვნათ: ქართული დასაბამითგანის გამოსავალი თარიღი ყოფილა ძვ. წ.-ის 284 წელი. 5604-წლიან ქრისტიანულ ქართულ დასაბამითგანს საფუძვლად დასდებია დამწერლობის შემოღების ქართული წარმართული თარიღი — 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა.

ვფიქრობ, „ქართლის ცხოვრების“ კრიპტოგრაფიულ ჩანაწერებში შეფარულად გატარებულია ის აზრი, რომ ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამია 284 წელი ძველი

წელთაღრიცხვისა ანუ თარიღი ქართული დამწერლობის შემოღებისა.

რაც მთავარია, კრიპტოგრაფიული ჩანაწერები შეფარულად აცხადებენ, რომ არსებულა ქართული წარმართული წელთაღრიცხვა, რომელიც საფუძვლად დასდებია ქრისტიანულ ქართულ ქრონოლოგიას: ქართულ ქრისტიანულ ქრონიკონს და ქართულ ქრისტიანულ დასაბამითგანს.

ამ თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების“ ქრონოგრაფი, ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და ბაბილონურ წელთაღრიცხვებთან მიმართებით უთუო უპირატესობას ქართულ წარმართულ წელთაღრიცხვას ანიჭებს, რაკი არცერთი სხვა წელთაღრიცხვა, ქართული წარმართული წელთაღრიცხვის გარდა, ქრისტიანულ ქრონოლოგიას საფუძვლად არ დასდებია.

ვფიქრობ, ისიც ცხადია, რატომაა ჩაწერილი ქრონოლოგიური კომენტარები „ქართლის ცხოვრებაში“ კრიპტოგრაფიულად. ქრისტიანული წელთაღრიცხვის — ქართული დასაბამითგანისა და ქართული ქრონიკონის გამოსავალ თარიღად წარმართული ქართული თარიღი დაუფარავად რომ განცხადებულეყო, ქრისტიანული იდეოლოგიის თვალსაზრისით, ეს, რა თქმა უნდა, მკრეხელობა იქნებოდა.

ირკვევა, რომ ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი და წარმართული ქართული ქრონოლოგიის დასაბამი თარიღი ქართველთათვის ტრადიციულად ცნობილი უნდა ყოფილიყო. ამას, ვფიქრობ, 1608 წლისა და 1618 წლის კრიპტოგრაფიული ჩანაწერები ცხადყოფენ.

სრულიად-ქართული დამწერლობის შემოღება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქცია უნდა ყოფილიყო. ქართული ისტორიული ტრადიცია ქართული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზ მეფეს მიაწერს, ამიტომ, ცხადია, ძვ. წ.-ის 284 წელს, ქართული დამწერლობის შემოღებისას, საქართველოს სახელმწიფოს სამეფო ტახტზე ფარნავაზ მეფე ზის.

აქ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი იბადება: რატომ უნდა შემოღებულეყო საქართველოში წელთაღრიცხვა ქართული დამწერლობის შემოღებასთან ერთად? რა კავშირია ქართულ დამწერლობასა და ქართულ წელთაღრიცხვას შორის?

ამის შესახებ საუბარი მექნება ქართული ასომთავრული

დამწერლობის განხილვის შემდგომ, მომდევნო ქვეთავებში „ქართული წელთაღრიცხვა“ და „ქართული წარმართული კალენდარი“.

ქართული დამწერლობის შემოღებას ძვ. წ.-ის 284 წელს არანაკლები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოში, ვიდრე, ვთქვათ, ბერძნული დამწერლობის შემოღებას საბერძნეთში ძვ. წ.-ის 403 წელს.

მაგრამ აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ დამწერლობის შემოღების სახელმწიფოებრივი აქცია ერთი საკითხია, ხოლო დამწერლობის შექმნა სხვა საკითხია.

როცა ძვ. წ.-ის 403 წელს საბერძნეთში საყოველთაო, სრულიადბერძნული დამწერლობა შემოიღეს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე ბერძნული დამწერლობა არ არსებობდა.

ანალოგიური ვითარება უნდა ყოფილიყო საქართველოშიც. შეუძლებელია ქართული დამწერლობა შექმნილიყო და შემოღებულიყო ერთდროულად. ქართველი ტომების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას უთუოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა წინ. იგივე უნდა ითქვას დამწერლობის შესახებ: იგი არსებობდა უთუოდ მანამდე, ვიდრე მოხდებოდა ამ დამწერლობის საქვეყნო აღიარება, შემოღება. გარდა ამისა, საყოველთაო, სრულიად-ქართული სახელმწიფო დამწერლობის შემოღებისათვის საქართველოში საამისოდ ხელსაყრელი პირობები უნდა არსებებულიყო.

ქართული დამწერლობის შექმნის მიახლოებითი თარიღის განსაზღვრასა და დადგენას ასო-ნიშნების გრაფიკული ანალიზი გაარკვევს. ამჯერად კი შეიძლება მოკლედ ითქვას:

ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა, მონუმენტური დამწერლობის ზოგადი ბერძნული პრინციპები. აღმოსავლურ-დასავლურმა ანბანურმა სამყარომ იცის ორად-ორი — გრაფიკულ-გეომეტრიული სტილის მონუმენტური დამწერლობა — ბერძნული და ქართული. ბერძნული დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა საბოლოოდ ძვ. წ.-ის V საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა. ქართულ ასომთავრულ ანბანში კი უკვე გათვა-

ლისწიწებულთა ბერძნული დამწერლობის მონუმენტური გრაფიკის პრინციპები. შესაბამისად, წინასწარ შეიძლება ითქვას:

ქართული დამწერლობა (ქართული ასომთავრული) შექმნილია პირობითად არა უადრეს ძვ. წ. 403 წლისა, რაკი ამ დროისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბებულია კლასიკური ბერძნული დამწერლობა და ბერძნული დამწერლობის მონუმენტური სტილი. ამასთანავე, ქართული დამწერლობა შექმნილია არა უგვიანეს ძვ. წ.-ის 284 წლისა, როცა ქართული ასომთავრული უკვე შემოღებულია, როგორც სახელმწიფო დამწერლობა. ამგვარად, ვღებულობთ ქართული დამწერლობის შექმნის მიახლოებითი დროის 119-წლიან პერიოდს: არა უადრეს ძვ. წ.-ის 403 წლისა და არა უგვიანეს ძვ. წ.-ის 284 წლისა.

ქართული ასომთავრული დამწერლობის ყოველმხრივმა ანალიზმა საბოლოოდ უნდა გავარკვიოს ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობის დრო და ხანა.

ქართული ანბანის სტრუქტურა

ჩვენს დრომდე მოღწეულ დამწერლობის უძველეს ქართულ ძეგლებში 37 ასო-ნიშანია. ამ ასო-ნიშნების ტრადიციული ქართული ანბანური მწკრივი ასეთია: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, ჳ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ც, ჯ, ჰ, მ.

ქართული ანბანის ასო-ნიშნების უძველესი მოხაზულობა ასეთია:

ა ბ გ დ ე ვ ზ
 თ ი კ ლ მ ნ ა ო პ ჟ რ ს ტ ჳ ქ ღ ყ შ
 ჩ ც ძ წ ჭ ხ ც ჯ ჰ მ

თანამიმდევრობის მიხედვით ასო-ნიშნების რიგითი სათვალავი ასეთია:

- | | | | | |
|------|-------|-------|-------|-------|
| 1. ა | 8. თ | 15. ა | 22. ჳ | 29. ც |
| 2. ბ | 9. ი | 16. ო | 23. ფ | 30. ძ |
| 3. გ | 10. ი | 17. პ | 24. ქ | 31. წ |
| 4. დ | 11. კ | 18. ჟ | 25. ლ | 32. ჭ |
| 5. ე | 12. ლ | 19. რ | 26. ყ | 33. ხ |
| 6. ვ | 13. მ | 20. ს | 27. შ | 34. ჯ |
| 7. ზ | 14. ნ | 21. ტ | 28. ჩ | 35. ჯ |
| | | | | 36. ჰ |
| | | | | 37. მ |

ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნებს, თანამიმდევრობის შესაბამისად, რიცხვითი მნიშვნელობაც ჰქონდათ: პირველ ცხრა გრაფემას (ა-თ) — ცხრა ერთეულისა, მომდევნო ცხრა გრაფემას (ი-ყ) — ცხრა ათეულისა, შემდეგ ცხრა გრაფემას (რ-შ) — ცხრა ასეულისა, ხოლო უკანასკნელ ცხრა გრაფემას (ჩ-პ) — ცხრა ათასეულისა. შ-გრაფემას ათი ათასისა.

ივ. ჯავახიშვილი ქართული ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის გამო წერს:

„საქართველოშიაც უძველეს... ხანაში რიცხვის აღსანიშნავად, ბერძნულის მსგავსად, ანბანის ასოები იხმარებოდა ხოლმე. უკვე ხანმეტ ტექსტებში (V-VII სს. ახ. წ. რ. პ.) ანბანი რიცხვნიშნებადაც არის გამოყენებული იმავე რიცხვითი მნიშვნელობით, როგორც შემდეგში გვხვდება. როდის შემოდის ჩვენში ეს სისტემა, ამის გამოსარკვევად ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ შემოღების შემდგომ მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე, თვით XIX საუკ.-ის დამდეგსაც კი რიცხვითი ანბანი იყო მიღებული ყოველგვარი ანგარიშების აღსანიშნავად“.¹

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ანბანური სათვალავი შემოღებულაა ქართული ანბანური მწკრივის შემოღებისთანავე, ერთ დროს და ერთდროულად. უფრო მეტიც: ასო-ნიშნებსა, ასო-ნიშნების თანამიმდევრობასა, ერთის მხრივ, და ასო-ნიშნების რიცხვით მნიშვნელობას შორის მეორეს მხრივ, უდიდესი მნიშვნელობის ურთიერთ კავშირია, რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ცალკე განყენებულად ასო-ნიშანი ან ბგერის აღმნიშვნელია და რიცხვითი მნიშვნელობა დაკარგული აქვს ან, პირიქით, რიცხვის აღმნიშვნელია და ბგერულ მნიშვნელობას ჰკარგავს.

ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის შესახებ კარგად ამბობს პროფ. ე. ლეფლერი:

«В цифровой системе, в которой в качестве цифр применяются буквы алфавита, буквы совершенно утра-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 149.

ჩივანთ სწოვ ზვუკოვ ხარაქტერ ი სთნოვთქს სიმვოლამი ჩისლოვქს პონქთიქს».²

ქართული ასო-ნიშნების ანბანური სათვალავი ასეთია:

ა — 1	ი — 10	რ — 100	ჩ — 1000
ბ — 2	კ — 20	ს — 200	ც — 2000
გ — 3	ლ — 30	ტ — 300	ძ — 3000
დ — 4	მ — 40	უ — 400	წ — 4000
ე — 5	ნ — 50	ფ — 500	ჰ — 5000
ვ — 6	ა — 60	ქ — 600	ხ — 6000
ზ — 7	ო — 70	ღ — 700	გ — 7000
ყ — 8	პ — 80	ყ — 800	ჯ — 8000
თ — 9	ქ — 90	შ — 900	ჰ — 9000
			ჭ — 10.000

ქართულ ანბანში დაცულია ასო-ნიშნების თანმიმდევრობის უძველესი ანბანური რიგი და ასო-ნიშნების უძველესი ანბანური სათვალავი. ანბანური დამწერლობის ეს ორივე ასპექტი ქართულ ანბანში ზუსტად და სრულყოფილადაა განხორციელებული.

ამ თვალსაზრისით, ქართული ანბანი უძველეს სემურ და კლასიკურ ბერძნულ ანბანებს უნდა შევადაროთ.

როგორც ცნობილია, უძველეს სემურ-ფინიკურ დედანბანში 22 ასო-ნიშანი იყო. მწკრივში ასო-ნიშნების თანმიმდევრობას თანამიმდევრული რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ფინიკური ანბანური სათვალავი სრულყოფილი ანბანური სათვალავი იყო.³

კლასიკური ხანის (V ს .ძვ. წ.) ზოგად-ბერძნულ ანბანში 24 ასო-ნიშანი იყო, ანბანური სათვალავით კი — 27. გარდა ამისა, რიგითი სათვალავით მე-18 გრაფემას ბერძნულ ანბანში

² Проф. Е. Лефлер, Цифры и цифровые системы культурных народов в древности и в новое время, თარგმანი გერმანულიდან, ოდესა, 1913 წ., გვ. 15.

³ Hans Jensen. Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart, Berlin, 1958, გვ. 424-425; რამაზ პატარიძე, ერკათავირის გრაფიკული საფუძვლები, შაცნე № 3, 1970 წ., გვ. 200-201.

ნურ სათვალავში ჰქონდა არა 90-ისა, არამედ 900-ის რიცხვითი მნიშვნელობა.⁴

ამ თვალსაზრისით, ქართული ანბანი უფრო სრულყოფილია, ვიდრე თვით ბერძნულიც კი.

ქართული ასომთავრული დამწერლობის ესოდენ სრულყოფილი ანბანური სათვალავი იმის მომასწავებელია, რომ ამ დამწერლობის შემოღების შემდგომ ქართულ ანბანურ მწკრივს არც რაიმე ასო-ნიშანი გამოჰკლებია და არც რაიმე ასო-ნიშანი ჩამატებია.

მაგრამ ქართულ ანბანურ სათვალავში ერთი შეუსაბამობა მაინც გვაქვს: 36-ე „ჰაე“ გრაფემა ზოგჯერ 8-ის აღმნიშვნელია და 3 (ე-მერვეს) ენაცვლება ხოლმე.

ივანე ჯავახიშვილი ამის თაობაზე წერს:

„აღსანიშნავია, რომ ასორიცხვნიშნებში ხშირად 3-ეს მაგიერ „ჰ“-აეა ნახმარი და ამგვარად „ჰ“ 8-ს უდრის... მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევებში არავითარი შეცდომა არ არის, არამედ ხმარების სრულგებობით შეგნებული წესია. ქ. ანისის ქართლისა კათალიკოზის ეტუფანეს ბრძანების შემცველ წარწერაშიც თარიღი 438 ქორონიკონი „კლჰ“-თი არის აღნიშნული და აქაც „3“-ს მაგიერ „ჰ“ არის.“⁵

ასო „ჰაე“-ს რვეულ რიცხვით მნიშვნელობას სხვა ვერაფრით ავხსნით თუ არ იმით, რომ თავდაპირველად ქართულ ანბანურ მწკრივში „3“ (ე-მერვეს) „ჰ“-ს მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც „3“ (ე-მერვეს) ხმოვან ბგერის მნიშვნელობა შეიძინა, „ჰ“ ბგერის აღმნიშვნელად ახალი ასო-ნიშანი შემოიღეს და ანბანს ბოლოში დაურთეს.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი თვალსაზრისი ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. მოვუსმინოთ თვით მას:

„საფიქრებელია, რომ თავდაპირველად „ჰ“ ბგერის აღსანიშნავად ქართულ ანბანში სხვა ასო იხმარებოდა, სახელდობრ, მე-8 ასო „3“... მით უმეტეს, ფინიკიელთა და სემურ-ბერ-

⁴ Hans Jensen. Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart, Berlin, 1958, გვ. 424-425; რამაზ პატარიძე, ერკათავირის გრაფიკული საფუძვლები, მაცნე № 3, 1970 წ., გვ. 200-201.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 150 (ქორონიკონით 438 წ. — 1218 წელს ნიშნავს. რ. პ.).

ძნულ თავდაპირველ ანბანში მე-8 ასო „ჰეთ“ არის და „ჰ“ ბგერის გამომხატველი იყო... რომაელებსაც ბერძნებისაგან ეს ასო სწორედ „ჰ“ ბგერის აღმნიშვნელად ჰქონდათ შეთვისებული... საყურადღებოა, რომ ქართულ სათვალავშიაც, სადაც „ჰ“ უნდა იჯდეს, „ჰ“ ზის. ეს გარემოებაც იმის მომასწავებელია, რომ ეს ორი ასო ერთმანეთის შესატყვისობად ჰქონდათ მიჩნეული... ყველა ამ მოსაზრებათა გამო საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მერვე ასოს „ჰ“ ქართულად „ჰ“-ს ნიშნელობა ჰქონდა და მხოლოდ შემდეგში, როდესაც მას გამოთქმა შეეცვალა, საჭირო შეიქმნა „ჰ“-აესათვის ახალი ნიშნის შექმნა... ეს მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც... ანბანი მთლად დამთავრებულად ითვლებოდა“.⁶

ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, რომ ფინიკიურ და ყველა უძველეს სემურ ანბანებში მე-8 ასო „ჰ“ ბგერის აღმნიშვნელი იყო. არქაულ ბერძნულში ეს ასო-ნიშანი აგრეთვე „ჰ“ ბგერად იკითხებოდა. უფრო გვიან, აღმოსავლურ ბერძნულ ანბანში მე-8 ასო გახმოვანდა, ხმოვან „ეტა“ ბგერად იქცა. კლასიკურ ბერძნულ ანბანში ეს ვოკალიზაცია დაკანონდა.

ქართულ ანბანშიც იგივე ვითარება გვაქვს: მე-8 ასო-ნიშანი ვოკალიზებულა, ე. ი. ქართულ ანბანში განხორციელებულია მე-8 სემური ასო-ნიშნის ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი.

მაგრამ ქართულში ამას გამართლება არა აქვს. ეს ვითარება ბერძნულის გვიანდელ წამბაძველობით უნდა აიხსნას.

მ (ე-მერვე) ერთადერთი ასო-ნიშანია ქართულ ანბანში, რომელსაც საყურადღებო ფონეტიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. ძველ ქართულ ხელნაწერებში ეს ასო-ნიშანი სხვადასხვა ფონეტიკური მნიშვნელობით იხმარება: 1. იწერება და არ გამოითქმის, ე. ი. უფუნქციოა (მაგ.: დღეჴს, მრწეჴმ და სხვ. — ადიშის ოთხთავი 897 წლისა); 2. „ე“ ხმოვანი ბგერის ფუნქციას ასრულებს; 3. „ა“ ნახევარხმოვნის ფუნქციას ასრულებს, 4. „ეა“ დიფთონგის მნიშვნელობისაა, ე. ი. მრჩობლი ბგერის ფუნქციას ასრულებს.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. გვ. 200, 201, 202.

მ (ე-მერვე) ასო-ნიშნის ასეთი ხასიათი ეწინააღმდეგება ქართული ანბანური დამწერლობის არსსა და პრინციპს: ქართულ ანბანში ყოველ ცალკეულ ბგერას შეესაბამება ცალკეული ასო-ნიშანი.

სულხან-საბა ორბელიანი მ (ე-მერვის) ანბანური სახელის „მე“ კომპლექსის გამო წერს, რომ „სიტყვის თავად ამის მეტად არ მოვალს“-ო. იქვე „მე“ კომპლექსის სულხან-საბა „ჰე“ შორისდებულის მნიშვნელობით კითხულობს და ბიბლიურ ტექსტს მიუთითებს.⁷ სამწუხაროდ, „ჰე“ შორისდებულის ასეთ დაწერილობას ბიბლიურ ტექსტებში ვერ მივაგენი.

საგულისხმოა მ (ე-მერვის) ანბანური სახელი „მე“. ყველა ასო-ნიშანს ქართულ ანბანში თავისი სახელი აქვს. „მ“ (ე-მერვე) ასო-ნიშნის სახელი კი არ იკითხება. ამიტომაც შეერქვა ამ ასოს ე-მერვე, ხოლო „ენ“-ს ამის საპირისპიროდ ე-მეხუთე. „მ“ ასო-ნიშნის ანბანური სახელი თითქოს ცხადყოფს, რომ თავდაპირველად ამ ასოს ხმოვანი ბგერის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. საგულისხმოა ისიც, რომ გვიან, XVIII საუკუნეში, „მ“ თანხმოვანი „ჰ“ ბგერის აღსანიშნავად იხმარება.

სავარაუდო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველ ქართულ ანბანურ მწკრივში მე-8 ასო-ნიშანი ვოკალიზებული არ უნდა ყოფილიყო და ამ ასო-ნიშანს „ჰ“ ბგერისა და შესაბამისად რვის რიცხვითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ქართულ ანბანში „ჰა-ეს“ უკანასკნელ გრაფემად ჯდომას სხვა ანბანებში ანალოგია ვერ ეძებნება და ეს გარემოება ქართული ანბანური სტრუქტურის გვიანდელი ხელყოფის შედეგი უნდა იყოს.

როდის უნდა ექციათ მე-8 ასო-ნიშანი ხმოვან ბგერად და როდის უნდა შემოეღოთ „ჰაე“ ბგერისათვის ახალი ასო-ნიშანი?

ამ საკითხის გამო მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას. IV საუკუნის მეორე ნახევარში — სომხეთში მაშთოცის მოღვაწეობის ხანაში, ქართული „ჰაე“ 36-ე გრაფემად ქართულ ანბანში უკვე დიდი ხნის შემოღებული ჩანს. კერძოდ, ეს ვითარება ასახულია სომხურ ანბანში.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. IV, I, გვ. 298.

სომხური ანბანის „ქართულ“ ანბანურ ჯგუფში სომხური „პო“ უკანასკნელ გრაფემად და „ჯე“ ასო-ნიშნის შემდეგ ზის.⁸ ე. ი. მაშთოცს ქართული ანბანის 36-ე ასო-ნიშანი „ჰაე“ ქართული ანბანური ჯგუფის უკანასკნელ ბგერად მიუჩნევა.

სჩანს იმ დროს, როცა სომხური ანბანი იქმნებოდა, არც საქართველოში, არც სომხეთში არ სცოდნიათ, რომ „ჰ“ ბგერა ქართულ ანბანურ ჯგუფს არ განეკუთვნება, არამედ სპეციფიკური სემური ბგერაა და სემური ანბანური ჯგუფის მე-8 ასო-ნიშანია.

თუ „ჰაე“ ასო-ნიშანი მართლაც გვიან დაერთო ქართულ ანბანს ბოლოში, თავდაპირველად, ქართული ანბანური მწკრივის შემოღებისას ქართულ ანბანში სულ 35 გრაფემა უნდა ყოფილიყო და არა 36 და მითუმეტეს — 37.

შესაძლებელია თუ არა ამ საკითხის გამორკვევა?

ანბანს თავისთავად აქვს თავისი დასაწყისი, თავისი პირველი გრაფემა. მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობა თავისთავად ცნობილია, რადგან ანბანური მწკრივი გულისხმობს ასო-ნიშნების თანამიმდევრობას ანბანში. გარდა ამისა, ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნების რიგითი სათვალავის შესაბამისად, ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობაც აქვთ. მაგრამ აქვს თუ არა ანბანს დასასრული, დასასრულის მაუწყებელი ნიშანი?

ყველა უძველესი ანბანი დასასრულის მაუწყებელი ნიშანით — ჯვარით მთავრდება.

აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში ყველა უძველესი 22-ნიშნიანი ჩრდილო-სემური დამწერლობა ჯვარით მთავრდებოდა. მათ შორის ფინიკიური, პუნური, ახალპუნური, არამეული, ძველებრაული, მოაბური და სხვ. ყველა უძველესი 29-ნიშნიანი სამხრეთ-სემური დამწერლობა ჯვარით მთავრდებოდა, მათ შორის მინეური, საბეური, ჰიმიარული, კატაბანური, სამუდური, დედანიტური, საფაური და სხვ.

აღმოსავლურ ანბანებში დასასრულის ნიშნად იხმარებოდა ჯვარის ორი ფორმა: \dagger (crux immissa) და \times (crux

⁸ იხ. რ. პატარიძე, „ერკათავირის“ გრაფიკული საფუძვლები“, ჟურნალი „მაცნე“, № 3, 1970 წ., გვ. 181, ტაბ. № 4.

decussata), რის გამოც უკანასკნელ, ერთი ბგერის გამომხატველ ასო-ნიშანს სემურ ანბანებში ორი გრაფიკული ფორმა ჰქონდა, ხოლო მის ბგერით მნიშვნელობას აპირობებდა სემური ანბანური დამწერლობის ზოგადი აკროფონული პრინციპი.

დასავლურ ანბანურ სამყაროში არქაული ბერძნული დამწერლობა სავარაუდებელია ჯვართ მთავრდებოდა (ბერძნული ანბანური ჯგუფის შემოღებამდე). ოღონდ ანბანს ამთავრებდა ჯვარის არა სემური, არამედ ბერძნული ფორმა: T(*crux commissa*).

ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს ბერძნული პალეოგრაფიის ცნობილ მკვლევარს კ. ლარფელდს და ამბობს:

„თავდაპირველად ბერძნების ანბანი სემიანთა ანბანივით 22 ასოსაგან შედგებოდა, ...რომელსაც ბოლოში ჯვარის ნიშანი უზის, რომელიც დასასრულის ნიშნად გამოდის“ (Dr. W. Larfeld, *Griechische Epigraphik*, 3, 1914, გვ. 205—206).⁹

უთუოდ საგულისხმოა, რომ ბერძნებმა ბოლო ფინიკიური გრაფემა უცვლელად კი არ გადმოიღეს ბერძნულ ანბანში, არამედ შეცვალეს ჯვარის საკუთარი ნიშნით. ცხადია, ბერძნებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა ყოფილიყო ფინიკიური ბოლო ასო-ნიშნის გრაფიკული შინაარსი. შემდგომ, ბერძნული ანბანური ჯგუფის შემოღებისას, X — „ქ“ ან „ქს“ ფონემის აღსანიშნავად გამოყენებულ იქნა ჯვარის სემური ფორმა, როგორც ანბანის დასასრულის ნიშანი. ამგვარად სავარაუდებელია, რომ თავდაპირველად არქაულ ბერძნულში „ფსი“ მრჩობლი ბგერა და „ომეგა“ (გრძელი „ო“) არ იყო და ანბანი ჯვართ მთავრდებოდა.

იტალიურ დამწერლობებში გვაქვს ჯვარის ორივე: ბერძნული და ანბანის დასასრულად ჯვრის სემური ფორმა X (*crux decussata*).

ლათინურ ანბანში 21 ასო-ნიშანი იყო და ანბანს ჯვარი ამთავრებდა. „ასოთა ამ რიცხვით მოაღწია ლათინურმა დამწერლობამ ციცერონამდე (106-43), როგორც ეს ჩვენ მისგან ვიცით. ასევე მ. ფაბიუს კვინტილიანე (35-95 წწ.) ამბობს,

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949 წ., გვ. 7.

რომ X — „ქს“ არის ლათინური ანბანის უკანასკნელი ასო — „ultima nostrarum“.¹⁰

„In Quintilian's time letter „X“ was the „ultima nostrarum“ and closed the alphabet“.¹¹

ცხადია, „X“ (ქს) მრჩობლი ბგერა ლათინებს ანბანის დასასრულის ნიშნად მიაჩნდათ. საგულისხმოა, რომ „X“-„ქს“ ერთადერთი მრჩობლი ბგერაა ლათინურ ანბანში.

რომ ჯვარი ანბანის დასასრულის ნიშანი ყოც, ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება კოპტური დამწერლობა. კოპტურ ანბანში სულ 32 ასო-ნიშანი იყო. აქედან 24 ბერძნულისაგან არის ნასესხები, ხოლო სპეციფიკური კოპტური ფონემებისათვის გამოყენებულია დემოტური დამწერლობის ნიშნები. უკანასკნელ 32-ე ნიშნად კი დასმულია ჯვარი + (crux immissa), რომელსაც არა რაიმე ბგერის, არამედ „ტი“ მარცვლის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ცხადია, უკანასკნელი გრაფემა კოპტური დამწერლობისა არა იმდენად ფონეტიკურ, არამედ ანბანის სტრუქტურულ ფუნქციას ანრულებდა, ანბანის დასასრულის მანიშნებელი იყო.

დაბოლოს, ქრისტიანული ეპოქის ძეგლი — სომხური ანბანი ჯვარის ზოგად-ქრისტიანული ემბლემით — ქრისტეს მონოგრამით მთავრდებოდა.¹²

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უძველეს დასავლურ ანბანებში, მსგავსად აღმოსავლური ანბანებისა, ანბანის დასასრულის ნიშნად ჯვარი იჭდა. სხვადასხვა ფონემური მნიშვნელობა ჰქონდა, ოღონდ ფონემური მნიშვნელობა აკროფონიული პრინციპით გაპირობებული არ იყო.

ემორჩილება თუ არა ქართული ანბანი ზოგად ანბანურ წესს? აქვს თუ არა ქართულ ანბანს დასასრულის ნიშანი?

ქართული ანბანის 35-ე გრაფემად ჯვარის იდეოგრამა ზის და აკროფონიული პრინციპის შესაბამისად ასო-ნიშანს ჯვა-

¹⁰ Frantisek Muzika, Die Schöne Schrift in der Entwicklung des Lateinischen Alphabets, პრაღა, 1965 წ., გვ. 74.

¹¹ E. M. Thompson, Handbook of Greek and Latin palaeography, London, 1906, გვ. 10.

¹² რ. პატარიძე, ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები, „მაცნე“, № 3, 1970 წ., გვ. 184.

რის პირველი ბგერის „ჯ“-ს მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ამდენად, 35-ე გრაფემა ქართული ანბანის დასასრულის მათუწყებელია.

ცხადია, თავდაპირველად, ქართული ანბანური მწკრივის შემოღებისას, ქართულ ანბანში 35 ასო-ნიშანი ყოფილა და, ამდენად, მტკიცდება, რომ 36-ე „ჰაე“ გრაფემა ქართულ ანბანს გვიან დაურთეს ბოლოში, როცა უკვე შესაძლოა დავიწყებულიც იყო „ჯ“ გრაფემის გრაფიკულ-ანბანური შინაარსი და მნიშვნელობა.

ჩემი ვარაუდით, „ჰაე“-ს დართვა უნდა მომხდარიყო უწინარეს IV საუკუნისა ახ. წელთაღრიცხვით (ზემოთ უკვე ითქვა, რომ IV საუკუნეში სომხეთში, მაშთოცის მოღვაწეობის ხანაში, ქართულ ანბანს „ჰაე“ უკვე დართული ჰქონდა).

ივანე ჯავახიშვილი „ჯ“ გრაფემის მოხაზულობის გამო ამბობს: „შესაძლებელია „ჯ“-ის წარმოშობისათვის მექანიკური თეორიაც კი იყოს გამოყენებული და ამ ასოსთვის ირიბად გადაჭრილი ჯვარის მოხაზულობა ყოფილიყო აღებული, მაგრამ საიდან გაჩნდა „ჯ“-ს ზევით გასწვრივი ხაზი, ამ თეორიის თვალსაზრისით გაუგებარი იქნებოდა“.¹³

ქართული ასომთავრული დამწერლობის მონუმენტური არსის გათვალისწინების შემდგომ, ასო-ნიშნის ზემო ჰორიზონტალი — ასო-ნიშნის ზემო ზღვარი, ივანე ჯავახიშვილის თეორიას ხელს აღარ უშლის და ჯვარის გრაფიკული არსი ძალაში რჩება (ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი).

ამგვარად, ქართული ასომთავრული დამწერლობის დასასრულის ნიშნად ქართულ ანბანში ჯვარია დასმული, ხოლო ჯვარის იდეოგრამას აკროფონიული პრინციპის თანახმად „ჯ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

ქართული ანბანი ერთადერთი ანბანია დასავლურ ეოკალიზებულ ანბანთა შორის, რომელშიც დასასრულის მათუწყებელი ნიშნის აკროფონიული პრინციპია განხორციელებული, ანუ უპირველესი პრინციპი ანბანური დამწერლობისა.

ამგვარად, ჩემი ვარაუდით, კლასიკური ხანის ქართულ ასომთავრულ ანბანში 35 ასო-ნიშანი იყო. ანბანს ჰქონდა თა-

¹³ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 231.

ვისი დასაწყისი — პირველი გრაფემა — და თავისი დასასრული — 35-ე გრაფემა. ასო-ნიშნებს ანბანში იმთავითვე ჰქონდათ თავიანთი თანამიმდევრობა და თანამიმდევრობის შესაბამისად რიცხვითი მნიშვნელობაც.

ამიტომ კლასიკური ხანის ქართულ ანბანში ასო-ნიშნების ასეთი თანამიმდევრობა უნდა გვქონოდა: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ც, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, უ, რ, ს, ტ, ჳ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, გ, ჯ. ამ ანბანში ც (ე-მერვეს) „ჰ“ ბგერის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო „ჳ“ ბგერა გვიან „უ“ ხმოვანმა ბგერამ შესცვალა.

უძველესი სემური ანბანის მსგავსად, ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებული იყო ანბანის მთლიანობა ანუ ერთება ანბანისა. ანბანს ჰქონდა თავისი დასაწყისი და თავისი დასასრული — ასო-ნიშნების დასრულებული ანბანური მწკრივი.

ქვემოთ, ქართული ასომთავრული ანბანის 35 გრაფემის ერთების საფუძველზე აგებული გვაქვს ქართული ასომთავრული ანბანის შინაარსეული სტრუქტურა.

ანბანური ერთება შემთხვევითი ნიშან-თვისება არ არის ქართული ასომთავრული დამწერლობისა. ქართულ ანბანში განხორციელებულია ყოვლადი, კოსმოსური ერთების პრინციპი. ამ ყოვლადი ერთების საწყისი და საფუძველია რ ი ც ხ ვ ი.

ვრცლად ამის შესახებ ცალკე მექნება საუბარი.

ჩერ ანბანის ერთების შესახებ:

უძველეს სემურ ანბანურ მწკრივს, მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობასთან ერთად, ჰქონდა თავისი დასაწყისიცა და დასასრულიც. თუ ჩვარის იდეოგრამა სემური ანბანის დასასრულის აღმნიშვნელია, პირველი გრაფემა „ალეფ“ — ხარის იდეოგრამა, როგორც მთვარის ღვთაების ემბლემა, თითქოს სემური ანბანური მწკრივის დასაწყისის მაუწყებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო.

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„სემიანთა ანბანის 22 ნიშნის შემცველ მწკრივს ხარის სახელის აკროფონი „ალეფ“ მიუძღვის, ხოლო ბოლოში დასასრულის მაუწყებელი ჩვარის ნიშანი „+“, „ტავ“ უზის. ანბანის

მთლიანი მწკრივის თავში ხარის აღმნიშვნელი „აღუფ“-ის მოქცევაც შესაძლებელია სარწმუნოებრივი მოსაზრებით იყოს ნაქარნახევი, რადგან ხარი ზოგიერთ ერებს, მათ შორის სემიანებსაც, წმინდა ცხოველად მიაჩნდათ. „აღუფ“-ით დაწყება ამნაირად საქმის დასაწყისის წინ ვედრების გამომხატველი იქნებოდა¹⁴.

ამ საკითხის გამო ივ. ჯავახიშვილი კიდევ ერთხელ შემდეგსა წერს:

„რადგან „აღუფ“ ხარსა ნიშნავს და ხარი ვითარცა რქოსანი პირუტყვი ეგვიპტელებსა და მ ვ ა რ ი ს (ხაზი ჩემია, რ. პ.) თაყვანისმცემელ ერებსაც წმინდა, საზვარაკო ცხოველად მიაჩნდათ, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ასოთა რიგში პირველად ხარის — „აღუფ“-ის გამომხატველ ნიშანს ერთგვარი სარწმუნოებრივი დედააზრი, ვედრების გამომხატველი დანიშნულება ჰქონიყო.“¹⁵

თუ ეს მართლაც ასე იყო, სემურ ანბანურ მწკრივის მ თ ვ ა რ ი ს ღვთაების საზვარაკო ცხოველი, მ თ ვ ა რ ი ს ღ ვ თ ა ე ბ ი ს უპირველესი სიმბოლო, — ხარი იწყებს და დასასრულის მაუწყებელი ნიშანი — ჯვარი ამთავრებს. ამდენად, ასო-ნიშნების მწკრივს სემურ ანბანში ჰქონდა თავისი დასაწყისიცა (ხარის იდეოგრამა — აკროფონი) და დასასრულიც (ჯვარის იდეოგრამა — აკროფონი).

სემური ანბანური მწკრივის ერთების პრინციპიც ეს არის.

ბერძნულმა დამწერლობამ ფინიკიური ანბანური მწკრივის ერთების პრინციპი არ იცის. ზოგადად რომ ვთქვათ, ანბანის ერთების სემური პრინციპი ბერძნულ დამწერლობაში განხორციელებული არ არის. კლასიკურ ბერძნულ ანბანში ასო-ნიშნების რიგით სათვალავსა და ასო-ნიშნების ანბანურ სათვალავს შორის შეუსაბამობაა. კლასიკურ ბერძნულ ანბანში 24 ნიშანია, ხოლო ანბანური სათვალავით — 27; ბერძნულ ანბანში არც ერთი იდეოგრამა-აკროფონი არ არის; კლასიკურ ბერძნულ ანბანს არც დასაწყისის აღმნიშვნელი გრაფემა აქვს და არც დასასრულის მაუწყებელი ნიშანი. კერძოდ, ბერძნულ-

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 262-263.

¹⁵ იქვე, გვ. 7.

ლი ანბანის პირველი გრაფემა ხარის იდეოგრამა არ არის, ხოლო ასო-ნიშნის სახელი — „ალფა“, რა თქმა უნდა, ხარის არ ნიშნავს, არამედ სემური „ალფა“-ის ბერძნული ფორმაა, დაკარგული აქვს სემური დედნის მნიშვნელობა და შინაარსი — „ალფა“ ბერძნულ ანბანში პირობით ასო-ნიშნად და ასო-ნიშნის პირობით სახელად არის ქცეული.

რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით ქართულ ანბანში?

როგორც უკვე გამოიჩვენა, ქართულ ასომთავრულ ანბანს, სემური ანბანის მსგავსად, ჯვარის იდეოგრამა-აკროფონი ამთავრებდა:

რადგან ჯვარის იდეოგრამას ქართულ ანბანში „ჯ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ამდენად ამ ასო-ნიშანში განხორციელებულია სემური ანბანური დამწერლობის ზოგადი აკროფონიული პრინციპი. ასო „ჯ“ ქართული ანბანის დასასრულის მაუწყებელია.

მაგრამ იწყებს თუ არა ქართულ ასომთავრულ ანბანს, სემურის მსგავსად, ხარის იდეოგრამა და ხარის აკროფონი? ე. ი. განხორციელებულია თუ არა ასომთავრულ ანბანში სემური ანბანური ერთების პრინციპი?

ივანე ჯავახიშვილი ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის გამო წერდა:

„ქართული „ან“-ის მრგვალი მოხაზულობა და კიდურებ-აწეული ზევითი განივი ხაზი სწორედ ხარის რქიანი თავის მოხაზულობას წარმოადგენს და ამ ასოს თავდაპირველი ნაკვეთი მას მოაბურ-ფინიკიური „ალფა“-ის მოხაზულობაზე გაცილებით უკეთ აქვს დაცული“.¹⁶

ივანე ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს ფრიად მნიშვნელოვანი ვარაუდი და თვალსაზრისი, მაგრამ თუ ქართული „ან“ — მართლაც ხარის იდეოგრამაა, დამწერლობის ანბანური პრინციპის შესაბამისად, ქართული „ან“ ხარის აკროფონიც უნდა იყოს, ე. ი. „ან“ სიტყვა „ალფა“-ის მსგავსად ხარის უნდა ნიშნავდეს.

როგორც გამოიჩვენა, ქართული ასომთავრული „ან“ არც ხარის იდეოგრამაა და არც ხარის აკროფონი (იხ. ასო-ნიშანი „ან“).

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 270.

ხარის იდეოგრამა-აკროფონს ქართულ ასომთავრულ ან-
ბანში მიაკვლია ცნობილმა მეცნიერმა ვერა ბარდაველიძემ.¹⁷

ქართული ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცე-
მების საფუძველზე ვერა ბარდაველიძემ ამოიცნო ქართული
ასომთავრული ასო-ნიშნის „გარ“-ის იდეოგრაფიული და ან-
ბანურ-აკროფონიული რაობა.

ქართული ასომთავრული ანბანის 34-ე გრაფემა ხარის
(ვარის) იდეოგრამაა, ასო-ნიშნის სახელიც ამიტომ ვარია (ხა-
რი), ხოლო ასო-ნიშნის, აკროფონიული პრინციპის შესაბამი-
სად, „გ“ ბგერის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული (იხ. ასო-ნი-
შანი „ვარი“).

ცხადი ხდება, რომ ქართულ ანბანს მთვარის ღმერთის სა-
კულტო ცხოველი ხარი ამთავრებს, ხოლო ანბანის დასას-
რულის ნიშნად ჯვარია დასმული. ისიც ცხადია, რომ სემურ
ანბანს ხარის („ალფ“ -ის) იდეოგრამა-აკროფონი იწყებს, ხო-
ლო ქართულ ანბანს, პირუკუ, ხარის იდეოგრამა-აკროფონი
ამთავრებს.

შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება? რატომ გადაადგილ-
და ხარის იდეოგრამა-აკროფონი ქართულ ანბანში და რატომ
მოექცა ქართულ ანბანს
ბოლოში?

1. ო - ან

.....
.....

34. ყ - ვარ - ხარი

35. ლ - ჯან - ჯვარი

როგორც ჩანს, ქართუ-
ლი ანბანის ერთების
პრინციპს სამი იდეოგრა-
მა-აკროფონი აპირობებს:
პირველი, უკანასკნელი და
დასასრულის მაუწყებელი
ნიშანი.

რადგან ქართული ასო-
მთავრული ანბანი მთვა-
რის ღვთაების ემბლემით — ხარით მთავრდება, ხოლო დასას-
სრულის ნიშნად ჯვარია დასმული, საფიქრებელია, რომ ანბა-
ნის საწყისი გრაფემაც, სემური ანბანის მსგავსად, მნიშვნელო-

¹⁷ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957, გვ. 202, 203.

განი იდეოგრამა-აკროფონი უნდა იყოს. თუ ქართული ასო-მთავრული „ან“ მართლაც იდეოგრამაა, როგორ ამოვიცნოთ მისი რაობა და მნიშვნელობა?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნულ ანბანში არც ერთი იდეოგრამა-აკროფონი არ არის, ამიტომ ქართული ანბანის ერთების პრინციპს ბერძნული ანბანით ვერ ამოვხსნით. ქართული ანბანის ერთების პრინციპი ისევ სემურ-ქართული აკროფონების ურთიერთ მიმართებამ უნდა გაარკვიოს.

როგორც ჩანს, ქართული ანბანის ერთების პრინციპი და საწყისი ასო-ნიშნის რაობა, რამდენადმე, მხოლოდ ფინიკიური დედა-ანბანის მეოხებით შეიძლება აიხსნას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა ენიჭება, ქართულისა არ იყოს, ფინიკიური ანბანის სამ აკროფონს: პირველს, უკანასკნელს და დასასრულის მაუწყებელ ნიშანს:

1. „ალეფ“ — ხარი

• • • • •
• • • • •

21. „სინ“ — მთვარე, მთვარის ღმერთი.

22. „თავ“ — ჯვარი.

ე. ი. ფინიკიურ ანბანს „ხარი“ იწყებს და „მთვარე“ ანუ „მთვარის ღმერთი“ ამთავრებს, ხოლო დასასრულის ნიშნად ჯვარია დასმული. ამდენად, ფინიკიურ და ქართულ ასო-ნიშნებს შორის შემდეგნაირ შესაბამისობას ვღებულობთ:

1. „ალეფ“ — ხარი	↘	1. „ან“—?
21. „სინ“ — მთვარე, მთვარის ღმერთი	↘	34. „ჯარ“ — ხარი
22. „თავ“ — ჯვარი	↔	35. „ჯან“ — ჯვარი

ქართულ ანბანს ფინიკიურის მსგავსად ჯვარი ამთავრებს. მაგრამ თუ ქართულ ანბანში ფინიკიური „მთვარის“ სანაცვლოდ უკანასკნელ გრაფემად „ხარი“ ზის, პირველ გრაფემად თითქოს მთვარის აკროფონი უნდა იჯდეს. თუ ქართულ ანბანში განხორციელებულია ერთების ფინიკიური პრინციპი, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ხარისა“ და „მთვარის“ აკროფონებს ქართულ ანბანში, ფინიკიურის საპირისპიროდ, მხოლოდ


ადგილები აქვთ შენაცვლებული და, ამდენად, ქართული ანბანის პირველი გრაფემა მთვარისა და მთვარის ღმერთის იდეოგრაფია-აკროფონი უნდა იყოს.

ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ასეა.

ქართული ანბანის პირველი რკალური გრაფემა მთვარის იდეოგრაფია უნდა იყოს, ხოლო ამ გრაფემის ზემო ჰორიზონტალური ხაზი ასო-ნიშნის ზემო ზღვარია და მთვარის ცაზე მსვლელობის ზემო მიჯნა (იხ. ასო-ნიშანი „ან“).

ჩემი ვარაუდით, ქართულ ასომთავრულ ანბანს ასტრალური პანთეონის უპირველესი ღვთაება — მთვარე იწყებს და მთვარის ღვთაების ზოომორფული სიმბოლო — ხარი ამთავრებს, ანბანის დასასრულის აღმნიშვნელად კი ჯვარი ზის.

ქართული ანბანური მწკრივის ერთების პრინციპიც ეს არის. ე. ი. ფინიკიური და ქართული იდეოგრაფია-აკროფონების შემდეგნაირ შესაბამისობას ვღებულობთ:



ამგვარად, ფინიკიური ანბანის მთვარის იდეა, ფინიკიური „სინ“ ქართულ ანბანში გააზრებულია, როგორც მთვარის ღვთაება, ხოლო ეს იდეა ქართულ ანბანში პირველ, საწყის გრაფემად განხორციელდა. რატომ მოხდა ასე?

მთვარეს ქართულ ანბანში პირველი ადგილი მიეკუთვნა იმის გამო, რომ ძველი ასტრალური კონცეფციით მთვარე პირველ ცაზეა, ხოლო ძველი ასტროლოგიური შეხედულებით ანბანის პირველი ასო-ნიშანი პირველ ცას, მთვარის ცას განეკუთვნება.

ე. ი. ანბანური მწკრივის ერთების პრინციპი ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია უკეთ, ვიდრე თვით ფინიკიურ დედა-ანბანშიც კი (უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

რადგან ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი მთვარის იდეოგრამაა, ამიტომ, დამწერლობის ანბანური პრინციპის შესაბამისად, „ან“ მთვარის აკროფონიკ უნდა იყოს, ე. ი. „ან“ — სიტყვა მთვარეს ანუ მთვარის ღმერთს უნდა ნიშნავდეს.

ამის გამო უნდა ითქვას შემდეგი:

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ფინიკიური ასო-ნიშნის სახელწოდება — „სინ“ არც ერთ ანბანს (გარდა ებრაულისა) არ შეუთვისებია: ბერძნულში შესაბამის ასო-ნიშანს „სან და „სიგმა“ ეწოდება, ხოლო არამეულ და არამეულთან დაკავშირებულ ანბანებში ამ ასოს საერთოდ დაკარგული აქვს „ს“ — ბგერის მნიშვნელობა და მხოლოდ „შ“ ბგერის მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ასო-ნიშანს არა „სინ“, არამედ „შინ“ ეწოდება (არამეულში „ს“ ბგერის ფუნქციას მე-15 „სამეკ“ გრაფემა ასრულებს).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ებრაულ დამწერლობას სხვა ერებში გავრცელება არ მოუპოვებია, ქართული ანბანის „მთვარის ღვთაების“ ერთადერთ წყაროდ ფინიკიური „სინ“ უნდა მივიჩნიოთ.

„სინ“ აღმოსავლურ სემურ სამყაროში ერთ-ერთი უღვიძესი ასტრალური ღვთაებაა. აღმოსავლეთში ასტრალური კულტისა და ასტროლოგიის გაბატონებამ ცის მნათობნი-ვარსკვლავნი უპირველეს ღმერთებად დასახა. ცის მნათობ ღმერთთა შორის „სინ“ მთვარის ღმერთია, ხოლო მნათობ-ღმერთთა ტრიადაში მთვარე-ღმერთი უპირველესი ღვთაებაა.

უკანასკნელი ფინიკიური ასო-ნიშნის სახელი — „სინ“ ასეთი ღვთაებრივი მნიშვნელობით არის გაგებული. მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობა ფინიკიური ენით ვერ აიხსნება. სიტყვა „სინ“ რელიგიურ-საკრალური მნიშვნელობით არის გაგებული. იგი აღმოსავლურ-სემურ გარემოში მთვარის ღვთაების სახელი იყო, რომელიც ამავე ღვთაების შუმერული სახელწოდებისაგანაა მიღებული. (შუმერული ენა ძველი წელთაღრიცხვის სულ ბოლო დრომდე კულტის მსახურთა, ქურუმთა, სწავლულთა და ასტრონომოსთა ენად ითვლებოდა. შუმერული ენის ცოდნა დიდ განსწავლულობად და პატივად იყო მიჩნეული.) „სინ“ — თავისი წარმოშობით, როგორც ჩანს, მარ-

თლაც შუბეოული სიტყვა უნდა იყოს. „სინ“ — მთვარის ღვთაების შუმერულ-აქადური დაწერილობის ტრანსლიტერაცია ასეთია:

$^d EN.ZU > ^d su'en > ^d sin \text{ } \text{ } ^d si-in, ე.ი. ^d sin$

სადაც d — ღმერთის დეტერმინატივია (დეტერმინატივი არ იკითხება). ვფიქრობ, უკანასკნელი ფინიკიური ასო-ნიშნის სახელი საკრალიზებულია (ქართულ ანბანში ფინიკიური გრაფემების საკრალიზაციის სხვა შემთხვევებიც გვაქვს).

ფინიკიური უკანასკნელი გრაფემის ასო-ნიშნის სახელის ანალოგიით ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანში განხორციელებულია მთვარის ღვთაების იდეოგრამა. მაგრამ რატომ ეწოდა მთვარის იდეოგრამას ქართულ ანბანში „ან“?

რადგან ფინიკიური ასო-ნიშნის სახელი — „სინ“ ძირეულად მთვარის ღვთაების შუმერულ სახელწოდებას უკავშირდება, შესაბამისად ქართული ასო-ნიშნის სახელი — „ან“ აგრეთვე მთვარის ღმერთს უნდა ნიშნავდეს, მითუმეტეს ქართულ ანბანში „ან“ მთვარის იდეოგრამის სახელია. ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის „ან“ და ფინიკიური ანბანის „სინ“ — სინონიმებია.

„ან“ შუმერული სიტყვაა და ცის ღმერთს ნიშნავს. ღმერთების უძველეს შუმერულ პანთეონში „ან“ — ცის ღმერთი ტრიადის უპირველესი წევრია. ძველი შუმერული ღმერთების სამება ასეთია: 1. ან — ცის ღმერთი, 2. ენლილ — მეუფე ჰაერისა და 3. ენქი — უფალი მიწისა და ქვესკნელის წყლებისა.

უფრო გვიან, ბაბილონურ ხანაში „ან“ — ცის ღმერთი თავის უპირატესობას ჰკარგავს. ამ დროს, ბაბილონურ ღმერთთა შორის უზენაესი ღვთაება მარდუქია. თანდათანობით, ასტრონომიისა და ასტროლოგიის ზემოქმედების შედეგად, ბაბილონური ღმერთები ცის მნათობ-ღმერთებმა შესცვალეს. შეიქმნა შვიდი ცის რწმენა და შვიდ მნათობ-ღმერთთა ასტროლოგიური პანთეონი. ცის ღმერთების გაბატონებას უნდა გამო-

ეწვია „ან“ — ცის ღმერთის უფუნქციობა. ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო „ან“ — ცის ღმერთის ასიმილაციის პროცესი. შვიდ მნათობ-ღმერთთა შორის „სინ“ — მთვარის ღმერთი უპირველესი ცის ღმერთია, ხოლო მნათობ-ღმერთთა ტრიადაში (1. სინ — მთვარე, 2. შამაშ — მზე და 3. იშთარ — მთიები) „სინ“ — მთვარის ღმერთი, როგორც ჩანს, უძველესი შუმერული ცის ღმერთის უფუნქციებს იძენს და „ან“ — ცის ღმერთს ენაცვლება.

შესაძლოა კი „სინ“ — მთვარის ღმერთი „ან“ — ცის ღმერთად იწოდებოდეს?

როგორც ჩანს, შესაძლოა და ეს მართლაც ასეა: „სინ“ — მთვარის ღმერთს მიემართება სახელი „ან“, სახელი ცის ღმერთისა.¹⁸ ქართულ ასომთავრულ ანბანში, ჩანს, ასახულია „ან“ — ცის ღმერთის ასიმილაციისა და „ან“ — ცის ღმერთისა და „სინ“ — მთვარის ღმერთის სინკრეტის საბოლოო აქტი.

საგულისხმოა, რომ შვიდ ბაბილონურ მნათობ-ღმერთთაგან, შვიდ ცათა ღმერთთაგან არც ერთს არ მიემართება სახელი „ან“ — ცის ღმერთისა „სინ“ — მთვარის ღმერთის გარდა.

ბაბილონური ასტრალური პანთეონის შვიდი მთავარი ვარსკვლავური ღმერთი შემდეგია:

1. მთვარე — სინ — ქვეყნის მაცოცხლებელი ღმერთი.
 2. მერკური — ნაბუ — მწერალი ღმერთი.
 3. ვენერა — იშთარ — დედოფალი ცისა. სიყვარულის ღმერთი.
 4. მზე — შამაშ — მოსამართლე და ღმერთი მეუფე.
 5. მარსი — ნერგალ — ომისა და ხანძრის ღმერთი.
 6. იუპიტერი — მარდუქ — მწიგნობარი ღმერთი.
 7. სატურნი — ნინურთა — მკვდართა სამეფოს ღმერთი.
- როგორც უკვე ითქვა, „ან“ — ცის ღმერთად მხოლოდ და მხოლოდ „სინ“ — მთვარის ღმერთი იწოდება.

¹⁸ იხ. სპეტ. ლიტ-რა: Akkadische gottrepheta von Knut Tallqvist, Helsinki, 1938, გვ. 442-448; Wörterbuch der Mythologie. I Abt. Edzard, D. O. Die Mythologie der sumerer und akkader, Stuttgart, 1965, გვ. 101-103.

• თუ კი ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდა, ხოლო „ან“ შუმერული სიტყვაა, ეს გარემოება პალეოგრაფიული თვალსაზრისით სრულიად ბუნებრივია. შუმერული ენა ძველი სამყაროს კულტურისა და რელიგიის ენაა. ქართულ ანბანში დაფარულად წარმართული ხანის რელიგიურ-ასტრონომიული შეხედულებებია ჩაქსოვილი. ქართული ასომთავრული კულტის მსახურთა — ქურუმთა ენაა, ამიტომაც უძველესი ქართული ასომთავრული დამწერლობა საკრალიზებულია, ხოლო საკულტო-რელიგიურ მიზნებს, ბუნებრივია, შუმერული ენა ემსახურება.

გარდა ამისა, კლასიკური ბერძნული ანბანის ასო-ნიშნებს არა-ბერძნული, არამედ სემური სახელები აქვთ, ქართულ ასო-ნიშნებს კი შუმერული. ბერძნული ასო-ნიშნების სახელების ეს პრინციპი ბერძნულ ანბანში სრულყოფილად განხორციელებული არ არის იმის გამო, რომ შეუსაბამობაა ასო-ნიშანსა და ასო-ნიშნის სახელს შორის. ეს შეუსაბამობა ასო-ნიშანსა და ასო-ნიშნის სახელს შორის ქართულ ანბანში დაძლეულია. ბერძნულ და ქართულ ანბანში შემუშავებულია ასო-ნიშნების სახელდების სხვადასხვა პრინციპი იხ. ქვემოთ: ანბანის ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი).

კიდევ ერთი საკითხი: ქართული ანბანის ერთების თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, ქართულ ანბანს „ან“ — იდეოგრამა-აკროფონი იწყებს და „გარ“ — იდეოგრამა-აკროფონი ამთავრებს. ხომ არ არის რაიმე შეუსაბამობა ამ ორ იდეოგრამა-აკროფონს შორის? დარღვეული ხომ არ არის ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი? ქართული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ შუმერული სახელი, ხოლო უკანასკნელ ასო-ნიშანს „გარ“ — ქართული სახელი ეწოდება. სადღაა აქ ანბანური ერთების ზოგადი, ყოვლადი პრინციპი?!

ქართული ასომთავრული ანბანის ერთების პრინციპი ძალაში რჩება, რადგან „ხარ“ (har) შუმერული სიტყვაა და ხარს ნიშნავს.

შუმერული **hár** აქადური **ha-ar-ru** იგი-

გვა, რაც ქართული „ხარი“.¹⁹ შუმერულ პანთეონში ირიცხებოდა აგრეთვე ამავე სახელწოდების მქონე ღვთაებაც —

Ḫar — ღვთაება ხარი, რომელიც ითვლებოდა მთვარის ღვთაების „სინ“-ის შვილად²⁰.

არ არის გამორიცხული, რომ „ან“ შუმერული სიტყვა აგრეთვე როგორღაც შეთვისებული ჰქონდა ქართულ წარმართულ რელიგიას. ამ თვალსაზრისით, იქნებ კვლავ განსახილველია ქართული წარმართული პანთეონის აღმოსავლურ-ქართული ღვთაება „ანატორი“, დასავლურ-ქართული ღვთაება „ანთარი“, აფხაზური „ანცვა“.²¹

ამავე თვალსაზრისით, იქნებ საინტერესოა ქართული სიტყვა „ანელი“. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს საკითხის დასმის წესით, რადგან ამ სიტყვათა ეტიმოლოგიური კვლევა პალეოგრაფიის კომპეტენციაში არ შემოდის.

ქართული ასომთავრული წარმართული ეპოქის ძეგლია. მასში თანდათანობით იკვეთება ქართული წარმართული კულტურის ასტრალური ღმერთების პანთეონი.

შეიძლება დავასკვნათ:

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი არის მთვარის ანუ მთვარის ღმერთის იდეოგრაფია;

ქართული ასომთავრული დამწერლობის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდება, რაც შუმერულ ენაზე ცის ღმერთს ნიშნავს და მთვარის ღმერთი იგულისხმება;

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი — მთვარის იდეოგრაფია, შეფარულად ცის ღმერთად არის დასახული;

ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანი ასტროლოგიურად შვიდ ცათაგან პირველ ცას განეკუთვნება;

¹⁹ იხ. სპეტ. ლიტ-რა: A. Deimel. Sumerisches Lexicon, I, Roma, 1947, № 563:12.

²⁰ იხ. სპეტ. ლიტ-რა: K. Tallqvist. Akkadische Coterrepheta, Helsinki. 1938, გვ. 321.

²¹ იხ. სპეტ. ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი I, 1927 წ., გვ. 76-78, 106-107; პ. პარაია, Об отношении абхазского языка к яфетическим. გვ. 31-33 III. Д. Инал-Ипа, О генезисе образа верховного бога абхазов. Всесоюзная науч. сесия... тезисы докладов. Секция этнографии. фольклора и антропологии. თბილისი, 1971, გვ. 131-132.

ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანში მთვარე ცაზე მსვლელობის კულმინაციას, ცის ზემო მიჯნას, ცის ზემო ზღვარს მიაღწია;

ქართულ ასომთავრულ ანბანს მთვარის ღმერთი იწყებს და მთვარის ღმერთის საკულტო ცხოველი — ხარი ამთავრებს, დასასრულის ნიშნად კი ჯვარია დასმული.

ქართული ანბანის ერთების პრინციპს სამი იდეოგრამა-აკროფონი ახორციელებს — მთვარისა, ხარისა და ჯვარისა;

ანბანური ერთების პრინციპი ქართულ ანბანში განხორციელებულია გაცილებით უკეთ, ვიდრე იგივე პრინციპი ფინიკიურ დედა-ანბანში.

• • •

საკუთრივ სემური ანბანი ერთი ანბანური ჯგუფია. ამიტომ სემური ანბანური ერთება ერთ ანბანურ ჯგუფში ხორციელდება;

კლასიკური ბერძნული ანბანი ორი ანბანური ჯგუფია: „სემური“ ანბანური ჯგუფი და საკუთრივ ბერძნული ანბანური ჯგუფი. ანბანური ერთების პრინციპი კლასიკურ ბერძნულ ანბანში განხორციელებული არ არის.

ქართული ასომთავრული ანბანის ერთება კი, სემური და ბერძნული ანბანებისაგან განსხვავებით, სამ ანბანურ ჯგუფს აერთიანებს, ე. ი. ქართულ ანბანში თანამიმდევრულად სამი ანბანური ჯგუფი უნდა გამოიყოს:

1. „სემური“ ანბანური ჯგუფი („ან“-იდან „ტარ“-ამდის),
2. „ბერძნული“ ანბანური ჯგუფი (ვ, ფ, ქ, ლ) და
3. ქართული ანბანური ჯგუფი (ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჳ).

1. ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში სულ 21 გრაფემაა, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ ერთი გრაფემით ნაკლები, ვიდრე იდეალურ „სემურ“ ანბანურ მწკრივში (შეღარებისათვის, ბერძნული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში მხოლოდ 19 გრაფემაა). ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში გამოტოვებულია სემური მწკრივის მე-19-„კოფ“ გრაფემა.

1.	⚡	- ა	12.	Ⓒ	- მ
2.	⚡	- ბ	13.	⚡	- მ
3.	1	- ტ	14.	⚡	- ნ
4.	Δ	- ზ	15.	⚡	- ლ
5.	⚡	- ე	16.	⓪	- ვ
6.	Υ	- კ	17.	⚡	- ჰ
7.	Ⓘ	- ზ	18.	Ⓘ	- თ
8.	Ⓘ	- ლ	19.	⓪	-
9.	⊕	- თ	20.	4	- რ
10.	⚡	- ი	21.	⚡	- ს
11.	⚡	- კ	22.	X+	- ტ

ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჯგუფი.

ქართულ ასო-ნიშნებს „სემურ“ ანბანურ ჯგუფში სემურ-ბერძნულ-ქართული ფონემური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული.

2. ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში სულ 4 გრაფემაა, ე. ი. კვლავ ერთი გრაფემით ნაკლები, ვიდრე კლასიკური ბერძნული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში. ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ მწკრივში გამოტოვებულია ბერძნული ანბანური ჯგუფის მე-4 გრაფემა — „ფს“ — მრჩობლი ბგერა.

ქართულ ასო-ნიშნებს „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში ბერძნული ფონემური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, გარდა „ლან“ გრაფემისა.

ქართული ანბანის „ლან“ გრაფემა ერთ-

Υ	- ჰ
⓪	- ვ
X	- კ
Ψ	-
Ω	- ლ

ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფი.

დროულად „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის და ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაც.

3. საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში სულ 11 გრაფემაა. რადგან კლასიკურ ბერძნულ ანბანში 24 ასო-ნიშანია,

1. ႁ - ლ

7. ႂ - ႃ

2. ႄ - ე

8. ႅ - ႆ

3. ႇ - უ

9. ႈ - ხ

4. ႉ - წ

10. ႊ - ჯ

5. ႋ - ც

11. ႌ - ჰ

6. ႍ - ძ

ქართული ანბანის „ქართული“ ანბანური ჯგუფი.

ხოლო ქართული „ლან“ გრაფემა რიგითი სათვალავით 25-ე გრაფემაა, ამიტომ ეს ასო-ნიშანი ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაა.

ქართულ ასო-ნიშნებს ქართულ ანბანურ ჯგუფში ფაქტიურად ქართული ფონემური მნიშვნელობა აქვთ.

ქართული ასომთავრული დამწერლობის სამივე ანბანური ჯგუფი ურთიერთკავშირშია. ქართულ ანბანში ანბანური ჯგუფების უბრალო „მექანიკური“ თანამიმდევრობა კი არა გვაქვს, არამედ მათ შორის გრაფიკულ-ფონეტიკური კავშირია. უფრო მეტიც, ანბანური ჯგუფების კავშირში განხორციელებულია ურთულესი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისი და ანბანის ერთების პრინციპიც.

ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია სამი ანბანური ჯგუფის ერთება. სამების ერთება.

როგორც უკვე ითქვა, კლასიკური ბერძნული ანბანი ორი ანბანური ჯგუფისაგან შედგება. „სემური“ და საკუთრივ ბერძნული ანბანური ჯგუფისაგან. ეს ორი ანბანური ჯგუფი ერთმანეთისაგან რამდენადმე გამოყოფილია: „სემური“ ანბანური ჯგუფი ბერძნულ ანბანში ჯვარის იდეოგრამით მთავრდება (T — crux commissa), მაგრამ არა ჯვარის იდეოგრამა-აკროფონით. როგორც უკვე ითქვა, ბერძნულ ანბანში არც ერთი იდეოგრამა-აკროფონი არ არის. საკუთრივ ბერძნული ანბანური ჯგუფი, უფრო ადრე, შესაძლოა აგრეთვე ჯვარით მთავრდებოდა (X — crux decussata), „ფსი“ და „ომეგა“ ასო-ნიშნების შემოღებამდე. ყოველ შემთხვევაში, რადგან მნიშვნელობა ენიჭება ზოგად-ბერძნულ კლასიკურ ანბანს, მის მთლიანობას ერთი ჯვარი (T — crux commissa) ორ ანბანურ ჯგუფად, ორ ანბანურ ნაწილად ჰყოფს — „სემურ“ და საკუთრივ ბერძნულ ანბანურ ჯგუფებად.

ქართულ ასომთავრულ ანბანში გათვალისწინებულია ბერძნული ანბანის ეს სტრუქტურა. ქართულ ასომთავრულ ანბანში გვაქვს ორი ანბანური ნაწილი:

ქართული ანბანის პირველ ნაწილშია გაერთიანებული „სემურ-ბერძნული“ ანბანური ჯგუფი „ან“-იდან „ქან“-ამდის (ჩათვლით) — სულ 24 გრაფემა, ე. ი. იმდენივე ასო-ნიშანი, რამდენიც კლასიკურ ბერძნულ ანბანშია. გაერთიანებულ „სემურ-ბერძნულ“ ანბანურ ნაწილს ქართულ ანბანში ჯვარის იდეოგრამა ამთავრებს.

ქართული ანბანის მეორე ნაწილია საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილი „ღან“-იდან „ჯან“-ამდის, სულ 11 ასო-ნიშანი. ქართული ანბანური ნაწილი და ამდენად მთელი ქართული ანბანი ჯვარის იდეოგრამა-აკროფონით მთავრდება. ქართულ ანბანში ჯვარის ორი იდეოგრამაა. ჯვარის ერთი იდეოგრამა (T — crux immissa) ქართული ანბანის „უცხოურ“ — „სემურ-ბერძნულ“ ანბანურ ნაწილს ამთავრებს, ხოლო ჯვარის მეორე იდეოგრამა (crux decussata) საკუთრივ ქართულ ანბანურ ნაწილსა და მთლიანად მთელ ქართულ ანბანს ამთავრებს.

ქართული ანბანის „უცხოური“ ანბანური ნაწილი „ან“ — მთვარის ღმერთის იდეოგრამა-აკროფონით იწყება და „ქან“ — ჯვარის იდეოგრამით მთავრდება, ხოლო ქართული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილი „ლან“ — უხილავი ღმერთის იდეოგრამა-აკროფონით იწყება და „ჯან“ — ჯვარის იდეოგრამა-აკროფონით მთავრდება („ლან“ — ამ მეტად მნიშვნელოვან იდეოგრამა-აკროფონის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვიტყვი. იხ. ასო-ნიშანი „ლან“).

ქართული ანბანის „უცხოურ“ ანბანურ ნაწილში, როგორც უკვე ითქვა, 24 ასო-ნიშანია, ანუ იმდენივე, რამდენიც კლასიკურ ბერძნულ ანბანში. ანბანური დამწერლობის ისტორიის თვალსაზრისით, ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგან 24 ასო-ნიშნით ამოიწურა არა მხოლოდ ბერძნული ანბანური ასო-ნიშნების რაოდენობა, არამედ, საერთოდ, ჩრდილო-სემურ და დასავლურ ვოკალიზებულ დამწერლობათა ანბანური შესაძლებლობა.

ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ნაწილში, როგორც უკვე ითქვა, 11 ასო-ნიშანია. რაოდენობის თვალსაზრისით ეს ანბანური ნაწილი სემური 22-ნიშნიანი ანბანური მწკრივის ზუსტად ნახევარს შეადგენს.

საგულისხმოა, რომ სემური 22-ნიშნიანი ანბანური მწკრივი აგრეთვე ორი ანბანური ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი 11 ასო-ნიშანი სემური ანბანური მწკრივის პირველი ანბანური ნაწილია, ხოლო შემდეგი 11 ასო-ნიშანი სემური ანბანური მწკრივის მეორე ანბანური ნაწილია.

ამის გამო კარგად წერს ივანე ჯავახიშვილი:

„სემური ანბანის მწკრივი არსებულ რიგზე, რასაკვირველია, შემთხვევით არ არის დალაგებული, მაგრამ ეხლა დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რა მოსაზრებით, ან გარემოებით ხელმძღვანელობდნენ ამ მწკრივის შემდგენელნი. ცხადი ხდება მხოლოდ, რომ სემიანთა ანბანის ეს 22 ნიშნის შემცველი მწკრივი ორ მთავარ ჯგუფად იგულისხმებოდა. ერთ ჯგუფს 1—11, მეორე ჯგუფს 12—22 ასოები შეადგენდნენ. პირველ ჯგუფს ჯერ ხარის სახელის აკროფონი, „ალეფი“, მიუძღვის, ხოლო შემდეგ Mediae-ბით იწყება (ბეთ, გიმელ, დალეთ), მეორე ჯგუფი კი Liquidae-ბით იწყება, ხოლო ბოლო-

ში დასასრულის მაუწყებელი ჯვარის ნიშანი +, „თავ“ არის მოქცეული.²²

ამგვარად, სემური ანბანური მწკრივის ორივე ანბანურ ნაწილს ფონეტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად.

ქართული ასომთავრული ანბანური მწკრივის ორივე ანბანურ ნაწილს, მსგავსად სემური და ბერძნული ანბანური მწკრივებისა, აგრეთვე ფონეტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად.

ამგვარად, 35 ასო-ნიშნის შემცველ ქართულ ანბანში ორი ანბანური ნაწილია გაერთიანებული. ქართული ანბანის პირველი „უცხოური“ — („სემურ-ბერძნული“) ანბანური ნაწილის („ან“-„ქან“ გრაფემების რაოდენობა კლასიკური ბერძნული ანბანის ასო-ნიშნების რაოდენობის ტოლია — 24-სა, ხოლო საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილის („ღან“-„ჯან“) გრაფემების რაოდენობა სემური ანბანის ერთი ანბანური ნაწილის ასო-ნიშნების რაოდენობის ტოლია — 11-სა.

„სემურ-ბერძნულ“ ანბანურ მწკრივს ქართულ ანბანში ჯვარი ამთავრებს, რაც ამ ანბანური ნაწილის დასასრულის მაუწყებელია. საკუთრივ ქართულ ანბანურ ნაწილს კი „ღან“ გრაფემა იწყებს და კვლავ ჯვარი ამთავრებს.

რა კავშირია ამ ორ ანბანურ ნაწილს შორის ქართულ ანბანში? რამდენადმე გათიშულები ხომ არ არიან ეს ანბანური ნაწილები ერთმანეთისაგან?

აქ მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ანბანის ორი ანბანური ნაწილი ერთურთისაგან განუყოფელია და ამ ანბანურ ნაწილებს შორის ფრიად მნიშვნელოვანი გრაფიკულ-ფონეტიკური კავშირია.

უკვე ითქვა, რომ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა (ასო „ღან“-ი) ერთდროულად ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის (ბერძნული „ომეგა“). აქ წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული „ღან“ ზუსტად „ომეგა“ გრაფემის ადგილზე ზის და გრაფიკულად არქაული ბერძნული „ომეგის“ მოხაზულო-

²² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949 წ., გვ. 262.

ბისაა. თუ რატომ აქვს ამ ერთდღივი გრაფემას ბერძნულ და ქართულ ანბანში სხვადასხვა ფონეტიკური მნიშვნელობა, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი. ე. ი. „ლან“ გრაფემა ქართულ ანბანის „ბერძნულ“ და ქართულ ანბანურ ჯგუფებს შორის ერთგვარ გრაფიკულ კავშირს ამყარებს. ამიტომაც „ბერძნული“ ანბანური ჯგუფი და საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფი ქართული ანბანისა ერთმანეთისაგან განუყოფელია. რადგან ასო „ლან“-ი „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის და საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაც, ამიტომ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ქართული ანბანის „ბერძნულ-ქართული“ ერთიანი ანბანური ნაწილის შესახებ. ერთიანი „ბერძნულ-ქართული“ ანბანური ნაწილის გრაფემებია: ჯ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, გ, ჯ, სადაც „ლან“-ი ერთდროულად „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის და ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაც.

ამგვარად, ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 21 ასო-ნიშანია, ხოლო ერთიანი „ბერძნულ-ქართულ“ ანბანურ მწკრივში — 14 ასო-ნიშანია. სულ კი ქართულ ანბანში $21 + 14 = 35$ ასო-ნიშანია.

ქართული ანბანის 35 ასო-ნიშანი „სემური“ ანბანური ჯგუფის 21 ასო-ნიშნისა და „ბერძნულ ქართული“ ანბანური ჯგუფის 14 ასო-ნიშნისაგან შედგება. საგულისხმოა, რომ 35-ისა, 21-ისა და 14-ის საერთო გამყოფია რიცხვი 7 და არცერთი სხვა რიცხვი. ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჯგუფის 21 გრაფემა სამ შვიდეულს შეადგენს, ქართული ანბანის „ბერძნულ-ქართული“ ანბანური ჯგუფის 14 გრაფემა ორ შვიდეულს, ხოლო ქართული ანბანის 35 გრაფემა მთლიანად — ხუთ შვიდეულს.

შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება? როგორც ჩანს, არა. ქართული ანბანი შვიდეულებად ნაწილდება. ქართული ასომთავრული დამწერლობის ამოცნობის თვალსაზრისით, ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

რიცხვი 7 უძველესი დროიდან ყველა ხალხებს წმინდა რიცხვად მიაჩნდათ. რიცხვი 7 თავდაპირველთგან მთვარის

რიცხვი უნდა ყოფილიყო:²³ 7 დღე მთვარის ერთი ფაზაა, ხოლო ოთხი შვიდეული მთვარის ოთხი ფაზა ანუ მთვარის სრული ციკლია.

ქართული ანბანის ერთეობა ხუთ შვიდეულს შეადგენს, მაგრამ ამას გარდა, ქართულ ანბანში გამოიყოფა სამი შვიდეული ანუ შვიდეულების სამეზა $3 \times 7 = 21$ და ოთხი შვიდეული $4 \times 7 = 28$ ანუ მთვარის ოთხივე ფაზა, მთვარის სრული ციკლი.

რადგან ქართულ ანბანს მთვარის ღმერთი იწყებს და მისი სოლომორფული სიმბოლო — ხარი ამთავრებს, ამიტომ ანბანური ერთეობის პრინციპს ამ ორი იდეოგრაფია-აკროფონის ურთიერთმიმართება უნდა ამჟღავნებდეს. არსებობს კი ურთიერთმიმართების რაიმე ნიშანი ამ ორ იდეოგრაფია-აკროფონს შორის?

ასტროლოგიური შეხედულებით ანბანის პირველი შვიდი ასო-ნიშანი თანამიმდევრულად შვიდ ცას განეკუთვნება, ანბანის პირველი ასო-ნიშანი პირველ ცას ეკუთვნის. ძველი ასტრონომიული შეხედულებით, პირველი ცა მთვარის ცაა, ხოლო ქართულ ანბანში მთვარე მართლაც პირველ ცაზეა.

მიუხედავად ამისა, ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნის რაობა ჯერ კიდევ ბოლომდე ამოცნობილი არ არის.

ძველი პითაგორიანული მოძღვრების თანახმად, რიცხვი არის ჭეშმარიტი ცნება არსისა. რიცხვი არსის რაობის უზრალო სიმბოლოა კი არ არის, არამედ არსის ჭეშმარიტი რაობაა. რიცხვში შედგენდება არსის საიდუმლო. წმინდა რიცხვი 7 — მთვარის რიცხვია. თუ მთვარისა და ხარის იდეოგრაფია-აკროფონებს შორის მართლაც რეალური კავშირია, ხარი, როგორც მთვარის ემბლემა, მთვარის საიდუმლო რიცხვს უნდა ამჟღავნებდეს. ქართულ ანბანში ეს მართლაც ასეა.

შემთხვევითია თუ არა ის გარემოება, რომ ქართულ ანბანში „ქარ“-ი 34-ე გრაფემად ზის? როგორც სჩანს, არა:

²³ В. Фролов, Как появилась магическая семерка, Атенсти-
чество, членин, В. 4. Москва, 1970, 83-115—122, В. А. Фролов,
II ... начало в изобразительной деятельности палеоли-
тического человека, Сб. «Первобытное искусство, Новосибирск,
1971 г., 83-91—117.

„ჯარ“-ის რიცხვითი მნიშვნელობა ქართულ ანბანში არის 7.000, ხოლო 7.000 იგივე წმინდა რიცხვი შვიდია.

გარდა ამისა, რადგან „ჯარ“-ი 34-ე გრაფემად ზის, მისი საკრალური მნიშვნელობა კვლავ შვიდია.

პითაგორიანული მოძღვრებით, ათეული იგივე ერთეულია, ათი სრულყოფილი ერთებაა, სრულყოფილი ერთია.²⁴ „ჯარ“-ის რიცხვი 34-ია, 34 კი სამი ათეულისა და ოთხი ერთეულის ჯამია, ე. ი. „ჯარ“-ის რიცხვი შვიდია.

ქართული ანბანის მთვარისა და ხარის ურთიერთმიმართების საიდუმლო ნიშანიც ეს არის; ქართული ანბანის ერთების საიდუმლო ნიშანიც ეს არის. ეს საიდუმლო რიცხვით ცხადდება. მთვარის წმინდა რიცხვი 7 ქართულ ანბანში „ჯარ“-ით ცხადდება.

რადგან ქართულ ანბანს მთვარე იწყებს, ეს უკვე იმას მიგვანიშნებს, რომ ქართულ ანბანში შვიდეულების მწკრივი უნდა იყოს, ხოლო რადგან ქართულ ანბანს მთვარის ემბლემა — ხარი ამთავრებს და დასასრულად ჯვარი ზის, ეს იმას მიგვანიშნებს, რომ ქართულ ანბანში მთვარის ერთი სრული ციკლი უნდა გვქონდეს.

მართლაც, როგორც უკვე ითქვა, ქართულ ანბანში გამოიყოფა სამი და ოთხი შვიდეული, ხოლო ქართული ანბანი მთლიანად ხუთ შვიდეულს შეადგენს. როგორც შემდეგ გაიკვება, ქართულ ანბანში მთვარის სრული ციკლი დასტურდება. რაც შეეხება რიცხვებს — სამსა, ოთხსა და ხუთს, ეს რიცხვები პითაგორიანული მართკუთხა სამკუთხედის რიცხვებია.

ყველა ამის გამო ქვემოთ დაწვრილებით მექნება საუბარი.

²⁴ იხ. სპეტ. ლიტ-რა: С. Н. Трубецкой, Собрание сочинений, т. III. Метафизика в древней Греции. М. 1910, გვ. 184, 188, 190—191; А. Маковельский, Досократики. ч. I, Казань, 1914, გვ. 63 და სხვ.

ანბანის ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი

რომელიმე ანბანის წარმომავლობის კვლევისას მნიშვნელობა ენიჭება ანბანური დამწერლობის ორ ძირითად ასპექტს: ასო-ნიშნების გრაფიკულ რაობასა და ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს.

ასო-ნიშნების სახელდების ზოგადი სემური პრინციპი

ცნობილია თავდაპირველი სემური დამწერლობის ასო-ნიშნების გრაფიკული რაობა და შესაბამისად სემური ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი.

ფინიკიურ დედა-ანბანში 22 იდეოგრამა-აკროფონი იყო. ასო-ნიშნების იდეოგრაფიული რაობა აპირობებდა ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს. მაგალითისათვის, რადგან პირველი ფინიკიური ასო-ნიშანი ხარის იდეოგრამაა, ამ ასო-ნიშანს „აღეფ“ ეწოდება, ხოლო „აღეფ“ (აღფ) ფინიკიურად ხარს ნიშნავს; რადგან მეორე ფინიკიური ასო-ნიშანი სახლის იდეოგრამაა, ამიტომაც ამ ასო-ნიშანს „ბეთ“ ეწოდება, ხოლო „ბეთ“ ფინიკიურად სახლს ნიშნავს და ა. შ.

შეიძლება დავასკვნათ: ასო-ნიშნის იდეოგრაფიული რაობა და მნიშვნელობა აპირობებს ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს სემურ ანბანში.

ფინიკიურ დედა-ანბანში ასო-ნიშნების იდეოგრაფიული რაობისა და მნიშვნელობის შესაბამისად, ასო-ნიშნებს ასეთი სახელები აქვთ:

ასო-ნიშნის სახელი	მნიშვნელობა
1. ალფ (ალფ)	გარი (ხარი)
2. ბეთ	სახლი
3. გიმელ (გიმლ, გამლ)	აქლემი
4. დალეთ (დელთ)	კარი
5. ჰე	გისოსი
6. ვავ	ზღული
7. ზაინ	სასწორი
8 ჰეთ	მესერი
9. ტეთ	გორგალი
10. იოთ (იოდ)	მკლავი, ხელი
11. ქაფ	ნები
12. ლამედ (ლაბდ)	სახრე
13. მემ	წყალი
14. ნუნ	თევზი
15. სამეკ (სამქ)	საყრდენი, თევზი
16. აინ	თვალი
17. ფე	პირი
18. სადე	ანკესი
19. კოფ	კეფა
20. რეშ	თავი
21. სინ (შინ)	კბილი
22. თავ	ჯვარი

ასეთია ფინიკიური ასო-ნიშნების სახელები და ფინიკიური ასო-ნიშნების იდეოგრაფიული მნიშვნელობა.

ანბანური ასო-ნიშნების სახელდების სემური პრინციპიც ეს არის.

არსებობს სემური ანბანური დამწერლობის ორი დიდი განშტოება: ჩრდილო-სემური და სამხრეთ-სემური ანბანური განშტოებანი. ჩრდილო-სემური ანბანური დამწერლობა არსებითად ფინიკიური დამწერლობაა, ხოლო რა ურთიერთმიმართებაა ჩრდილო და სამხრეთ სემურ ანბანურ განშტოებებს შორის, საბოლოოდ გარკვეული არ არის. არსებობს ორი

თვალსაზრისი: ან სამხრეთ-სემური დამწერლობა ჩრდილო-სემური დამწერლობის განშტოებაა, ან ორივე დამწერლობის სათავეა საერთო წინაპარი — პროტოსემური დამწერლობა.

სამხრეთ-სემური დამწერლობის გრაფიკა მთელ რიგ შემთხვევებში თვალსაჩინოდ განსხვავდება ჩრდილო-სემური დამწერლობის გრაფიკისაგან. მიუხედავად ამისა, ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი ჩრდილო და სამხრეთ სემურ დამწერლობაში ერთი და იგივეა. უფრო მეტიც, სამხრეთ-სემურ ასო-ნიშნებს უმრავლეს შემთხვევაში იგივე სახელები აქვთ, რაც ჩრდილო-სემურ ასო-ნიშნებს ჩრდილო-სემურ დამწერლობაში. მაგრამ სამხრეთ-სემური დამწერლობის ზოგიერთ იდეოგრამა-აკროფონს ჩრდილო-სემურისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მაგ.: ფინიკიურ „იოდ“ (მკლავი, ხელი) ასო-ნიშანს სამხრეთ-სემურში „ია-მან“ შეესაბამება და მარჯვენა ხელს ნიშნავს, ფინიკიურ — „ნუნ“ (თევზი) ასო-ნიშანს სამხრეთ-სემურში „ნაჰას“ ჰქვია, რაც გველს ნიშნავს. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ასო-ნიშნის იდეოგრაფიული რაობის თავდაპირველი მნიშვნელობა სამხრეთ-სემურს უკეთ უნდა ჰქონდეს დაცული. ეს აზრი ცნობილ მეცნიერ-სემიტოლოგს მ. ლიდზარსკის უნდა ეკუთვნოდეს.¹

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საკითხის არსს არ ცვლის. ამდენად, თავდაპირველი ანბანური დამწერლობის ასო-ნიშნების სახელდების ზოგადი სემური პრინციპი საყოველთაოდ ცნობილია.

ასეთი იყო ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი ანბანური დამწერლობის სემურ ეტაპზე.

ასო-ნიშნების სახელდების ზოგადმა სემურმა პრინციპმა ორი ათასეული წელი იარსება. საბოლოოდ ეს პრინციპი არაბულ ანბანში დაირღვა ახ. წ. VI-VII საუკუნეებში.

¹ იხ. სპეც. ლიტ-რა: ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 263. Hans Jensen. Die Schrift... ბერლინი, 1958 წ. გვ. 262; M. Lidzbarski. Ephemeris für Semitische Epigraphik, ტ. I, 1900, გვ. 132.

ცნობილია, რომ ბერძნულ ანბანურ დამწერლობას ფინიკური დამწერლობა დაედვა საფუძვლად. თანდათანობით, დროთა განმავლობაში, სემურმა იდეოგრაფიამ ბერძნულ დამწერლობაში სახე იცვალა, განსხვავებულ გრაფიკულ სისტემად გარდაიქმნა. სემური იდეოგრაფიკის გარდაქმნას ბერძნულ დამწერლობაში ხელი შეუწყო ბერძნული წერის სპეციფიკამ: წერის მიმართულების შეცვლამ და, საერთოდ, წერის ბუსტროფედონურმა წესმა.

ძვ. წ. V-IV საუკუნეთა მიჯნაზე საბოლოოდ დადგინდა ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურა და არქიტექტონიკა. ბერძნული დამწერლობა სადა გეომეტრიულ, ხაზოვან-სიმეტრიულ დამწერლობად იქცა. კლასიკური ხანის ბერძნულ დამწერლობას კაპიტალურ ანუ მონუმენტურ დამწერლობას უწოდებენ.

აქ, ცოტა ხნით თუ ფინიკურ დამწერლობას დაეუბრუნდებოდა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სემური ასო-ნიშნების სქემატურობისა და გრაფიკული პირობითობის მიუხედავად, მათი იდეოგრაფიული რაობა და მნიშვნელობა სემიანთათვის უთუოდ არსებობდა. ამდენად, არსებობდა სრული შეთანხმებაც ასო-ნიშნის იდეოგრაფიულ რაობასა და ასო-ნიშნის სახელს შორის.

ბერძნულ კაპიტალურ დამწერლობაში, ფინიკური ასო-ნიშნების გრაფიკული ტრანსფორმაციის შედეგად, ასო-ნიშნების იდეოგრაფიული მნიშვნელობა და შინაარსი გაქრა.

მაგალითისათვის, კლასიკური ბერძნული A-ალფა, რა თქმა უნდა, ხარის იდეოგრამა აღარ არის, არც B-ბეტა არის სახლის იდეოგრამა და ა. შ. ასო-ნიშანი ბერძნულ კაპიტალურ დამწერლობაში ბგერის აღმნიშვნელ პირობით გრაფიკულ ფიქსაციად იქცა. ამდენად, ბერძნულ კაპიტალურ დამწერლობაში ასო-ნიშანმა დაჰკარგა თავისი იდეოგრაფიული მნიშვნელობა, მაგრამ შეინარჩუნა თავისი სემური სახელი. ბერძნულ ანბანში ასო-ნიშნებს არა ბერძნული, არამედ სემური სახელები აქვთ. ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგან ამან

განაპირობა ასო-ნიშნების სახელდების ერთ-ერთი სახელ-
მძღვანელო პრინციპი.

ერთადერთი განსხვავება ასო-ნიშნების სემურ და ბერძნულ
სახელებს შორის ის არის, რომ ასო-ნიშნის სემურ ფორმას
ბერძნულში ბოლოში ხმოვანი „ა“ ემატება.

მაგალითისათვის: სემური ალფ — ბერძნული ალფა, ბეთ —
ბეტა, გამლ — გამმა, დელთ — დელტა, ჰეთ — ჰეტა (ეტა),
ტეთ — თეტა, იოთ — იოტა და ასე შემდეგ.

ბერძნულ სახელებში ბოლო „ა“ ხმოვნის გაჩენის გამო
მეცნიერებს გამოთქმული აქეთ სხვადასხვა თვალსაზრისი. ზო-
გიერთის აზრით ბოლო ხმოვან „ა“-ს დართვა ბერძნული ენის
წმინდა ევფონიური თვისებით უნდა აიხსნებოდეს (ბერძნულ-
მა ვერ იგუა სახელების ბოლოთანხმოვნიანი დაბოლოება) —
ვ. ლარფელდი, ე. მეიერი, ე. შვაიცერი და სხვ.

მაგრამ არის სხვა თვალსაზრისიც. კერძოდ, ფიქრობენ,
რომ აღმოსავლელ ბერძნებს, დასავლელ ბერძენთაგან გან-
სხვავებით, თითქოს უნდა გადმოეღოთ ასო-ნიშნების არა ფი-
ნიკიური, არამედ არამეული სახელების „ა“-ზე დაბოლოე-
ბული „Status emphaticus“-ის ფორმები (ველჰაუზენი,
ტილორი და სხვ.). ეს თვალსაზრისი ნაკლებ სარწმუნოა.

არის კიდევ ერთი ჰიპოთეზაც: რ. აისლერი ფიქრობს, რომ
სახელის ბოლო „ა“ ხმოვანი სემური აკუზატივის ფორმა უნ-
და იყოს, რომ სემური აკუზატივი ხშირად იხმარება ნიშნების
სახელდებისას ბაბილონურ სიებში.²

ზემოხსენებული რომელი თვალსაზრისიც უნდა იყოს ჭეშ-
მარიტი, მთავარი ის არის, რომ ბერძნული ასო-ნიშნების სა-
ხელებს ბერძნული ენით ვერ ავხსნიით. ამ სახელების ახსნა
მხოლოდ სემურად შეიძლება.

უნდა დავასკვნათ:

ანბანური დამწერლობის მომდევნო „ბერძნულ“ ეტაპზე
ასო-ნიშნებმა დაჰკარგეს იდეოგრაფიული მნიშვნელობა და
შინაარსი, მაგრამ შეინარჩუნეს თავისი სემური სახელები.

ასო-ნიშნების სახელდების ბერძნული პრინციპიც ეს არის.

ასო-ნიშნების სახელდების ბერძნული პრინციპი, გარდა

² H. Jensen. დასახ. ნაშრომი, ბერლინი, 1958 წ., გვ. 426.

ბერძნული დამწერლობისა, მიღებული იყო აგრეთვე კობტურ დამწერლობაში, ხოლო ნაწილობრივ ლათინურ და სლავურ დამწერლობაშიც კი.

ასო-ნიშნების სახელდების ეტრუსკული პრინციპი

ეტრუსკული დამწერლობა ბერძნული დამწერლობის საფუძველზე შემუშავდა. ეტრუსკული, სემურისა და არქაული ბერძნულის მსგავსად, მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა. „კლასიკურმა“ ეტრუსკულმა (დაახ. 400 წ. ძვ. წ.) შეინარჩუნა წერის თავდაპირველი მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ. ეს იმით აიხსნება, რომ არქაულ ეტრუსკულში ბუსტროფედონური წერა ფაქტიურად არ არსებობდა. ერთხელ შემოდებული ეტრუსკული დამწერლობა უფრო კონსერვატიული აღმოჩნდა.

დიდი გრაფიკული ძვრები ეტრუსკულში მხოლოდ გვიან ხანაში მოხდა, ლათინური დამწერლობის პირდაპირი ზემოქმედების შედეგად. ამ ზემოქმედებამ სავალალო შედეგი გამოიღო, ეტრუსკული დამწერლობის გრაფიკის ბუნებრივი განვითარება შეწყდა, ეტრუსკულში თანდათანობით ლათინური გრაფიკა დამკვიდრდა, რაც საბოლოოდ, ჯერ ეტრუსკული დამწერლობის, ხოლო შემდეგ თვით ეტრუსკული ენის გადაშენებით დასრულდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ არქაულ ეტრუსკულს. ფიქრობენ, რომ ეტრუსკული დამწერლობა უნდა შემოდებულიყო დაახლოებით მე-8 საუკუნეში ძვ. წ. დამწერლობის არქაულ ბერძნულ გრაფიკას ეტრუსკულში ასო-ნიშნების სემური იდეოგრაფიული მნიშვნელობა და შინაარსი, რა თქმა უნდა, იმთავითვე დაკარგული ჰქონდა, ამიტომაც, ეტრუსკებმა საკუთარი ანბანური დამწერლობისათვის გადმოიღეს მხოლოდ და მხოლოდ ბერძნული ფონეტიკური ასო-ნიშნები, მაგრამ არ გადმოიღეს ბერძნული ასო-ნიშნების სახელები.

ანბანური დამწერლობის „ეტრუსკულ“ ეტაპზე ასო-ნიშნებმა დაჰკარგეს არა მხოლოდ იდეოგრაფიული მნიშვნელობა და შინაარსი, არამედ საკუთარი სემური სახელებიც, პირვე-

ლად ეტრუსკულ დამწერლობაში ასო-ნიშანი ბგერის გამომხატველ სრულიად პირობით გრაფიკულ ერთეულად იქცა. ეტრუსკული დამწერლობის ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი საყოველთაოდ ცნობილია, რადგან ასო-ნიშნების სახელდების ამ პრინციპმა ლათინურის მეშვეობით საქვეყნო გავრცელება მოიპოვა.

ეტრუსკული ასო-ნიშნების სახელდების პრინციპად გამოყენებულია ვოკალიზაციის მარცვლოვანი პრინციპი. რადგან ხმოვნები თავისთავად მარცვლებია, მათი ვოკალიზაციის საჭიროებაც ამიტომ აღარ არსებობს და ღია მარცვლებადვე რჩებიან. ა, ი, ე, ო, უ — ეტრუსკულსა და ლათინურში ერთდროულად ამ ასო-ნიშნების სახელდებაა (ეტრუსკულში „ო“ არ იყო).

რაც შეეხება თანხმოვნებს, მათი ვოკალიზაცია ხდება ხმოვნების დართვით ან ხშულ ან ღია მარცვლებად. ხშული მარცვლებია: ელ, ემ, ენ, ერ, ეს, ეფ, იქს და სხვ., ხოლო ღია მარცვლებია: კე, კა, კუ, (ce, ka, qu), ბე, ცე, დე, პე და სხვა. ასო-ნიშნების სახელდების ეტრუსკული პრინციპიც ეს არის.

ამგვარად, ეტრუსკულ დამწერლობაში ასო-ნიშნების ფონეტიკურ-მარცვლოვანი ვოკალიზაცია გამოყენებულია ასო-ნიშნების სახელდების პრინციპად.

ლათინური ასო-ნიშნების სახელების დიდი უმრავლესობა თავისი წარმოშობით ეტრუსკულია, მხოლოდ რამდენიმე ასო-ნიშნის სახელია შემოღებული ლათინების მიერ ასო-ნიშნების სახელდების ეტრუსკული პრინციპის საფუძველზე, ხოლო რამდენიმე ასო-ნიშანს ლათინურში ბერძნული სახელი აქვს.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ასო-ნიშნების სახელდების ეტრუსკული პრინციპი ლათინურის მეშვეობით ფართოდ გავრცელდა. ხოლო უფრო გვიან ასო-ნიშნების სახელდების საერთაშორისო პრინციპად იქცა.

არსებობს შეხედულება, რომ ასო-ნიშნების სახელდების ეტრუსკულ პრინციპს თითქმის საფუძველად უნდა დასდებოდა კვიპროსული დამწერლობის სილაბური ანუ მარცვლოვანი

სისტემა.³ ეს ვარაუდი, ჩემის აზრით, ნაკლებ სარწმუნოა. ასონიშნების სახელდება ეტრუსკულში, უპირველეს ყოვლისა, ეტრუსკული ენის ფონეტიკის თვისობრიობით უნდა აიხსნას.

ასონიშნების სახელდების სხვა, გვიანდელ სისტემებზე აქ საუბარი აღარ მექნება, რადგან ქართულთან მიმართებით მათ მნიშვნელობა აღარ ენიჭებათ.

ასონიშნების სახელდების ქართული პრინციპი

ჩრდილო და სამხრეთ სემურ ანბანურ სამყაროში ასონიშნების სახელდების ზოგადი სემური პრინციპი უძველესი დროიდან საყოველთაო იყო; ანტიკური ხანიდან ფართოდ გავრცელდა ბერძნული დამწერლობა, ამდენად ასონიშნების სახელდების ბერძნული პრინციპი საქვეყნოდ იყო ცნობილი; დასავლურ ლათინურ ანბანურ სამყაროში გაბატონდა ასონიშნების სახელდების ეტრუსკული პრინციპი. ანბანური დამწერლობის ძველმა სამყარომ ასონიშნების სახელდების სხვა პრინციპი არ იცის.

ქართულ ასომთავრულ ანბანში ასონიშნების სახელდების არცერთი ზემორე მოტანილი სისტემა არ დასტურდება. რატომ არ ეწოდა ქართულ ასონიშნებს სემური, ბერძნული ან ეტრუსკული სახელები? ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია და აუცილებელიც არის ამ საკითხის გამოკვლევა.

რატომ არ ეწოდა ქართული ანბანის პირველ ასონიშნებს სემური „ალეფ“, ბერძნული „ალფა“ ან ეტრუსკული „ა“? ამ საკითხზე მე უკვე გამოთქმული მაქვს ჩემი მოსაზრება: ქართული ანბანის პირველი ასონიშნი მთვარის ღვთაების იდეოგრაფია-აკროფონია, ამიტომაც შეუძლებელია მთვარის იდეოგრაფიას „ალეფ“ ან „ალფა“ ეწოდოს, რადგან ქართველისათვის ცნობილია, რომ „ალეფ“ და მისი ბერძნული ფორმა „ალფა“ ხარს ნიშნავს.

ბერძნულ კლასიკურ დამწერლობაში არცერთი იდეოგრაფია-აკროფონი არ არის, ამიტომ ასონიშნების სახელებს ბერ-

³ H. Jensen, დასახ. ნაშრომი, ბერლინი, 1958 წ., გვ. 496.

ძნულში არ ენიჭება რაიმე შინაარსეული მნიშვნელობა. ქართულში ეს ასე არ არის, როგორც უკვე ითქვა, ქართული ანბანის ერთების პრინციპს სამი იდეოგრამა-აკროფონი ანხორციელებს: მთვარისა, ხარისა და ჯვარისა.

1. ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდა, რადგან ფინიკიურ ანბანში ერთ-ერთ ასო-ნიშანს „სინ“ ეწოდება, ხოლო „სინ“ შუმერულად მთვარის ღმერთს ნიშნავს. ქართულ ასომთავრულ ანბანში იგივე იდეოგრამა-აკროფონებია, რაც ფინიკიურ დედა-ანბანში, ოღონდ ეს იდეოგრამები ფინიკიურ და ქართულ ანბანურ მწკრივებში სხვადასხვა ადგილას გვხვდება კვლავ აკროფონიული პრინციპის გამო.

ამგვარად, ქართული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდა, რადგან „ან“ შუმერული სიტყვაა და ფინიკიური ასო-ნიშნის „სინ“ — შუმერული შესატყვისია. ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანი მთვარის ღმერთის იდეოგრამაა, ხოლო „ან“ შუმერულად ცის ღმერთს ანუ მთვარის ღმერთს ნიშნავს. ასო-ნიშნის სახელდების ქართული პრინციპიც ეს არის.

2. 34-ე გრაფემას ქართულ ანბანში „ჯარ“ ეწოდება, რადგან 34-ე ასო-ნიშანი ხარის იდეოგრამაა. როგორც უკვე ითქვა, „ჯარ“ შუმერული სიტყვაა და ხარს ნიშნავს. ასო-ნიშნის სახელდების ქართული პრინციპიც ეს არის.

3. ქართული ასომთავრული ანბანის დასასრულის ნიშნად ჯვარის იდეოგრამა ზის. აკროფონიული პრინციპის შესაბამისად, ასო-ნიშანს „ჯან“ ეწოდება. მაგრამ რატომ არ ეწოდა ამ ასო-ნიშანს „ჯვარ“? საქმე ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში დაირღვეოდა ასო-ნიშნების სახელდების ქართული პრინციპი და ქართული ანბანური ერთების პრინციპი (ამის შესახებ უკვე ითქვა).

რადგან „ან და „ჯარ“ შუმერული სიტყვებია და ამით ხაზგასმულია ასო-ნიშნების საკრალური მნიშვნელობა, ამიტომ ანბანში თავიდან ბოლომდე უნდა დაცულიყო ასო-ნიშნების საკრალიზმი და ასო-ნიშნების სახელდების ერთიანი პრინციპი.

რაკი ამოცნობილია ქართული ანბანური ერთების ორი იდეოგრამა-აკროფონის („ან“-ისა და „ჯარ“-ის) სახელდების

პრინციპი, ამოსაცნობია ანბანური ერთების მესამე იდეოგრა-
მა-აკროფონის სახელდების პრინციპი.

რატომღა ეწოდა ანბანის დასასრულის მაუწყებელ ნი-
შანს — ჯვარის იდეოგრამა-აკროფონს „ჯან“?

მაგრამ თუ კი „ჯან“ ასო-ნიშნის სახელდების საკითხი და-
ისვა, გონივრულია დაისვას საკითხი — რატომ ეწოდათ ასო-
ნიშნებს ანალოგიური სახელები: „ბან“, „გან“, „თან“, „კან“,
„მან“, „ჟან“, „სან“, „ქან“, „ლან“, „ცან“, „ხან“?

ერთი რამ ცხადია: ქართულ ასო-ნიშნებს სახელდების
პრინციპად უმრავლეს შემთხვევაში „ან“ — მარცვალი ემატე-
ბა, ხოლო ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელად
სწორედ „ან“ მარცვალი გვაქვს.

ჯერ კიდევ ოციან წლებში ივანე ჯავახიშვილმა სწორად
განჰყვირტა: „ნ-ბოლოკიდურიანი სახელები ქართულში პირ-
ველი ასოდანვე (ან) იწყება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს
პროექტი პირველი ასოს სახელიდანვე უნდა მომდინარეობ-
დეს“-ო.⁴

ცნობილია შემერული სიტყვა „ან“, მაგრამ, რაც მთავა-
რია, ცნობილია შემერული დამწერლობის ლოგოგრამა „ან“,
რომელსაც არა მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობა აქვს (ცა, ცის
ღმერთი „ან“), არამედ ჩვეულებრივი მარცვლის მნიშვნელო-
ბითაც იხმარება, ე. ი. ერთ შემთხვევაში იგი ლოგოგრამაა:
„ან“-ცის ღმერთის მნიშვნელობით იკითხება, ხოლო სხვა შემ-
თხვევაში იგი სილაბოგრამაა და ჩვეულებრივი „ან“ მარცვლის
მნიშვნელობით იკითხება.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართულ ანბანში: ერთ
შემთხვევაში „ან“, ცის ღმერთის ანუ ჭთვარის ღმერთის
მნიშვნელობით იკითხება, სხვა შემთხვევებში „ან“ მარცვლის
ფუნქციას ასრულებს.

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სა-
ხელი „ან“ საფუძვლად დაედო 12-თანხმოვანი ასო-ნიშნის
სახელს ქართულ ანბანში: ბან, გან, თან, კან, მან, ჟან, სან,
ქან, ღან, ცან, ხან, ჯან.

მაგრამ გარდა ამისა ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშ-

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 269.

ნის სახელი „ან“ საფუძვლად დაედო 3 ხმოვანი ასო-ნიშნის სახელს ქართულ ანბანში: ინ, ენ, ონ. ცხადია, ხმოვანი ასო-ნიშნების სახელებში „ა“ ბგერა შეიკვეცა: იან > ინ; ეან > ენ; ოან > ონ. მივიღეთ ასო-ნიშნების სახელების მაწარმოებელი ოთხი მარცვალი: ან, ინ, ენ, ონ. თვითეული ამ მარცვალთაგანი საფუძვლად დაედო ქართული ასო-ნიშნების სახელების სილაბურ პრინციპს.

ამგვარად, „ან“ ერთმარცვლოვანი სიტყვის საფუძველზე ასო-ნიშნების სილაბური სახელების შემდგენაირ სისტემას ვღებულობთ:

ან — შუმერული ერთმარცვლოვანი ლოგოგრამა.

1. ან	14. ინ
2. ბ — ან	15. ვ — ინ
3. გ — ან	16. შ — ინ
4. თ — ან	17. ჩ — ინ
5. კ — ან	
6. მ — ან	18. ენ
7. უ — ან	19. ზ — ენ
8. ს — ან	
9. ქ — ან	20. ონ
10. ლ — ან	21. დ — ონ
11. ც — ან	
12. ხ — ან	
13. ჯ — ან	

სულ „ან“ სიტყვის საფუძველზე ქართულ ანბანში შემუშავებულია 21 ასო-ნიშნის სახელების სილაბური პრინციპი, ე. ი. ქართული ასომთავრული ანბანის 35 ასო-ნიშნიდან 21 ასო-ნიშნის სახელს საფუძვლად დაედო ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელი „ან“. 21 ასო-ნიშანი 35 ასო-ნიშნის $\frac{3}{5}$ შეადგენს. საგულისხმოა ისიც, რომ ან, ინ, ენ, ონ მარცვლები შუმერული დამწერლობის ლოგოგრამა-სილაბოგრამებია, ოღონდ შუმერულ „უნ“ — სილაბოგრამას ქართულ ასომთავრულში „ონ“ ენაცვლება.

შეიძლება დავასკვნათ: ქართული ასომთავრული ანბანის პირველი გრაფემა მთვარის ღვთაების იდეოგრამაა, ასო-ნიშნის სახელი „ან“ — მთვარის ღვთაების ლოგოგრამაა, ხოლო ასო-ნიშნების სახელდებისას „ან“ — ჩვეულებრივი მარცვალა. „ან“ — პირველი ასო-ნიშნის მთვარის ღვთაების ლოგოგრამა საფუძვლად დაედო ქართული ასომთავრული ანბანის 21 ასო-ნიშნის სახელდების სილაბურ ანუ მარცვლოვან პრინციპს.

რადგან მთვარის ღვთაების ლოგოგრამა 21 ასო-ნიშნის სახელდების ამოსავალი პრინციპია, ხომ არ ვიფიქროთ, რომ 21 შემთხვევითი რიცხვი არ არის და კვლავ მთვარის ღვთაებას უკავშირდება: 21 სამი შვიდეულია, შვიდეულების საშეგებაა.

ქართულ ანბანს „ან“ — შუმერული სიტყვა იწყებს და „გარ“ შუმერული სიტყვა ამთავრებს. რელიგიურ-საკრალურა და ანბანური კავშირი ამ ორ იდეოგრამა-აკროფონს შორის უკვე ცნობილია.

მაგრამ თუ კი „ან“ შუმერული ლოგოგრამა საფუძვლად დაედო ქართული ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ პრინციპს, ხომ არ ვიფიქროთ, რომ „გარ“ შუმერული სიტყვა აგრეთვე ასრულებს ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ ფუნქციას ქართულ ანბანში?

ქართულ ანბანში ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ ერთეულად მართლაც „გარ“ სიტყვის „არ“ — მარცვალი გვაქვს. ასო-ნიშნების სახელდებისას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში „გ“ თანხმოვანს ენაცვლება ის თანხმოვანი, რომლის სახელდებაც ხორციელდება.

ისლა დაგვრჩენია, ამოვწეროთ „გარ“ შუმერული სიტყვით სახელდებული ასო-ნიშნები:

1. გ — არ, 2. ჳ — არ, 3. ყ — არ, 4. ფ — არ, 5. ტ — არ, 6. ჰ — არ, 7. ნ — არ. საგულისხმოა, რომ „გარ“ სიტყვით სახელდებულია 7 ასო-ნიშანი. შეიძლება დავასკვნათ: შუმერული სიტყვა „გარ“ საფუძვლად დაედო ქართული ასომთავრული ანბანის 7 ასო-ნიშნის სახელდების სილაბურ ანუ მარცვლოვან პრინციპს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „არ“ მარ-

ცვალი შუმერულ-აქადური ლურსმული დამწერლობის ცნობილი სილაბური ერთეულია.

შუმერული სიტყვის „ან“ — მთვარის ღმერთის მეშვეობით ქართულ ანბანში განხორციელებულია 21 ასო-ნიშნის სახელდების სილაბური პრინციპი. შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება?

შუმერული სიტყვის „გარ“-ის მეშვეობით ქართულ ანბანში განხორციელებულია 7 ასო-ნიშნის სახელდების სილაბური პრინციპი. შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება?

ქართულ ანბანში ასო-ნიშნების სილაბური სახელდების სამი და ოთხი შვიდეული გვაქვს, ხოლო „ან“-ისა და „გარ“-ის ოთხი შვიდეული მთვარის სრული 28 დღიანი ციკლია. თუ ეს ასეა, ქართულ ასომთავრულ ანბანში მთვარის ღვთაებისა და მთვარის ღვთაების წმინდა რიცხვის 7-ის საკრალურმა და საიდუმლო მნიშვნელობამ ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ პრინციპშიც იჩინა თავი.

გვაქვს ასო-ნიშნების სახელდების უკანასკნელი მე-5 შვიდეულიც. ქართულ ანბანში ამ შვიდეული ასო-ნიშნის სახელები ასეთია:

- | | |
|--------|-----------|
| 1. ცე, | 5. ძ — ილ |
| 2. ძე | 6. წ — ილ |
| 3. რაე | |
| 4. ჰე | 7. ლ — ას |

ჩემთვის ერთი რამ ცხადია, ზემომოტანილ ასო-ნიშნებს სილაბური სახელები შემთხვევით არ უნდა ჰქონდეთ შერქმეული. კერძოდ, „ე“ თუ „აე“, „ილ“ და „ას“ მარცვლები, უთუოდ, დამწერლობის სილაბურ სისტემებში უნდა ვეძებოთ. მაგალითისათვის, ცნობილია, რომ შუმერულ „ან“ ლოგოგრაფას, გარდა „ან“ მარცვლის მნიშვნელობისა, აქადურში „ილ“ მარცვლის მნიშვნელობაც ჰქონდა.

რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ სილაბურ ერთეულებს, რატომ გვაქვს ერთადერთი „ას“ (ლ-ას) სილაბური ერთეული ქართულ ანბანში? — ყოველივე ეს მომავალში კიდევ საკვლევია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ქართულ ასომთავრულ

ანბანში განხორციელებულია ასო-ნიშნების სახელდების სრულიად უნიკალური ლოგოგრამულ-სილაბური პრინციპი. ასო-ნიშნებს ქართულ ასომთავრულ ანბანში, ანბანურ-აკროფონიული ანუ წმინდა ბგერული მნიშვნელობა აქვთ. რაც შეეხება ასო-ნიშნების სახელებს, ქართულ ანბანში გამოყენებულია დამწერლობის არა ანბანური, არამედ დამწერლობის მარცვლოვანი ანუ სილაბური სისტემა.

ამ თვალსაზრისით ქართული ასომთავრული დამწერლობა, დამწერლობათა ანბანური და მარცვლოვანი სისტემების ერთ-დაგვარი სინთეზია.

კიდევ ერთი საკითხი: წინა თავში აღინიშნა, რომ ქართული ანბანი შვიდეულებად ნაწილდება, რომ ქართული ანბანის 35 გრაფემა მთლიანად ხუთ შვიდეულს შეადგენს.

თუ ქართული ანბანის სტრუქტურა მართლაც ასეთია, უნდა გაირკვეს, რამდენად ემორჩილება ამ სტრუქტურას ასო-ნიშნების სახელდება, როგორ განაწილდნენ შვიდეულებში სხვადასხვა მარცვლოვანი სახელდების ასო-ნიშნები. ქვემოთ რომაული რიცხვებით აღნიშნული მაქვს ქართული ანბანის შვიდეულების რიგი, ხოლო არაბული რიცხვებით ამა თუ იმ სილაბური სახელდების ასო-ნიშნების რაოდენობა.

ან, ონ, ენ, ინ	არ	ე, ილ, ას
I—7	I—	I—
II—4	II—1	II—2
III—3	III—2	III—2
IV—4	IV—2	IV—1
V—3	V—2	V—2

როგორც ჩანს, ასოების სახელები ანბანში თანაბრადაა განაწილებული. ეს ვითარება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ანბანის დანაწილება შვიდეულებად არ უნდა იყოს მოკლებული ჭეშმარიტებას. საგულისხმოა, რომ ანბანის პირველ შვიდეულში მხოლოდ „ან“ მარცვლიდან მომდინარე, ე. ი. „ნ“-ზე დაბოლოებული სახელები გვაქვს.

ქართული ასომთავრული ანბანის იდეოგრაფია- აკროფონები

ქართული ასომთავრული დამწერლობის ანბანური ერთე-
ბის პრინციპმა გაარკვია, რომ ამ ერთების პრინციპს სამი
იდეოგრამა-აკროფონი ახორციელებს: „ან“ — მთვარის იდე-
ოგრამა-აკროფონია, „ჯარ“ — ხარის იდეოგრამა-აკროფონია,
ხოლო „ჯან“ — ჯვარის იდეოგრამა-აკროფონია. მაგრამ ანისა
და ჯარისა, ერთის მხრივ, და ჯანისა, მეორეს მხრივ, სახელდე-
ბის პრინციპში განსხვავებაა: თუ „ან“ და „ჯარ“ შუმერული
ლოგოგრამებია და შესაბამისად მთვარის ღმერთსა და ხარს
ნიშნავს, ამასვე ვერ ვიტყვით „ჯან“-ის შესახებ. „ჯან“, რა თქმა
უნდა, უშინაარსო სიტყვაა, უფრო სწორად, ხშული მარცვა-
ლია და „ჯ“ ბგერის პირობითი სახელდებაა.

ქართული ანბანის ჯვარის იდეოგრამა-აკროფონს თითქოს
ჯვარ (ჯუარ) უნდა დარქმეოდა. ასეთ შემთხვევაში, ასო-ნიშ-
ნის იდეოგრაფიული რაობის ამოცნობა გაადვილდებოდა,
მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს ასე არ მოხდა, ჯერ ერთი,
იმიტომ, რომ ეს დაარღვევდა ასო-ნიშნების სახელდების ერ-
თიან, ზოგად პრინციპს, რის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა:
გარდა ამისა, ასო-ნიშნის რომ „ჯუარ“ დარქმეოდა, ეს გარე-
ხილება დაამცრობდა ასო-ნიშნის საიდუმლო, საკრალურ მნიშვ-
ნელობას. „ჯან“ ასო-ნიშნში მხოლოდ იგულისხმება, რომ იგი
ჯვარია და ჯვარის იდეოგრამა-აკროფონია. იგი ერთდაგვარად
სლვარ-მიღმაა და ღვთაებრივი საიდუმლოებით არის დაფა-
რული.

ამ გარემოებამ აზრი დაბადა: იქნებ ქართულ ანბანში გარ-
და „ანისა“, „ჯარისა“ და „ჯანისა“, სხვა იდეოგრამა-აკროფო-
ნებაც გვაქვს, რომელთა იდეოგრაფიული მნიშვნელობა და-

ფარულია და ამიტომ საჭიროა მათი საიდუმლო მნიშვნელობის ამოცნობა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართული ანბანის ერთება სამ ანბანურ ჯგუფს აერთიანებს ე. ი. ქართულ ასომთავრულში სემურ-ბერძნულ-ქართული ანბანური ჯგუფების ტრიადაა. საერთოდ, ქართულ ასომთავრულში განხორციელებულია ძველი წარმართული მსოფლმხედველობის ტრიადული პრინციპი. ვთქვათ, ქართული ანბანის ხუთი შვიდეული შვიდეულთა სამებას ანუ შვიდეულთა სამ ჯგუფს ჰქმნის: მართკუთხა სამკუთხედის სამ, ოთხ და ხუთ შვიდეულს (დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი); ასო-ნიშნების სახელდების პრინციპიც ტრიადულია: გვაქვს „ან“-ის სამი შვიდეული, „ან“-ისა და „კარ“-ის ოთხი შვიდეული და მთელი ანბანის ხუთი შვიდეული; ასო-ნიშნების გრაფიკაშიც სამი ჯგუფი გვაქვს: შერეული გრაფემების სამი შვიდეული და რკალურ-წრიული და კუთხოვანი გრაფემების თითო-თითო შვიდეული. (ამის შესახებ საუბარი მაქვს მომდევნო თავში — ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა).

ცნობილია ძველი აღმოსავლეთის ასტრალური პანთეონის ტრიადა. ვარსკვლავური ღმერთების ტრიადის წევრებია: 1. სინ-მთვარე, 2 შამაშ-მზე და 3. იშთარ-ცისკრის ვარსკვლავი. სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ქართველები წარმართულ ხანაში ვარსკვლავურ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ. ამიტომ, თუკი ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ძველი წარმართული ტრიადის პრინციპი და რადგან პირველ ასო-ნიშნად ქართულ ანბანში მთვარის ღვთაების იდეოგრამა-აკროფონი გვაქვს, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართულ ანბანში ტრიადის მომდევნო წევრების მზისა და ცისკრის ვარსკვლავის იდეოგრამა-აკროფონებიც უნდა გვქონდეს.

უძველესი ხალხები (შუმერები, ძველი ეგვიპტელები, ინდოელები, ჩინელები და სხვ.) მზეს იდეოგრაფიულად წრით, ჯვარით ან წრიტა და ჯვარით გამოსახავდნენ. ეგვიპტური იეროგლიფური ნიშანი — წრე მზის აღმნიშვნელია; შუმერული მზე წრეში ჩახატული ჯვარია...

ქართული წარმართული კულტურის შესანიშნავი მკვლევარი ვ. ბარდაველიძე წერს:

«Знаки креста и круга с крестом генетически входят к культуре солнца».¹

საინტერესოა ეგვიპტური ჯვარი: იგი წარმოადგენს წრეს და წრეზე დაკიდულ ჯვარს. ასეთივე იყო ძველი კრეტული ჯვარის იდეოგრაფიული ნიშანი. ეს ჯვარი საიქიო მარადიული სიცოცხლის აღმნიშვნელი იყო, მაგრამ თავისი გრაფიკული შინაარსით იგი გამოხატავს მკვდართა სამეფოს მზეს ანუ ქვესკნელურ მზეს (მზის საპირისპირო, უხილავ დგომას). ეხნატონისა და ნეფერტიტის ცნობილ ეგვიპტურ ბარელიეფზე კი ხილული მზე-ღმერთი იძლევა თავის ზესკნელურ ნიშანს. ჯვარი პირიქით წრის თავზეა. ჯვარის ასეთ ფორმას *crux ansata* ეწოდება.

როგორი იყო მზის ღვთაების ქართული წარმართული ნიშანი?

ეს საკითხი საგულდაგულოდ შესწავლილი და გამოკვლეული აქვს ვ. ბარდაველიძეს (იხ. მისი ნაშრომი: „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ“. თბილისი, 1941 წ.). ვ. ბარდაველიძის კვლევის შედეგად ირკვევა, რომ დასავლურ-ქართული გირგედი, გვერგვი, კალპი და აღმოსავლურ-ქართული გვირგვინი მზის ღვთაების სიმბოლური ნიშნებია. ამ ნიშნების მახასიათებელია წრე, წრეში ჩასმული ჯვარი ან წრე და წრეზე დასმული ჯვარი.

ამის შემდგომ ძნელი არ არის ქართულ ასომთავრულში ამოვიცნოთ მზის ღვთაების იდეოგრამა.

ქართული ასომთავრული ანბანის მე-4 ასო-ნიშანი ასტროლოგიურად მზის ცას განეკუთვნება. ქართული ასომთავრული „ღონი“ თავისი მოხაზულობით: წრე, წრეზე დასმული ჯვარი, ცხადია, მზის ღვთაების იდეოგრამაა და შესაბამისად მზის ცაზე ზის და ზესკნელის მზეა.

მაგრამ, თუ „ღონი“ მზის ღვთაების იდეოგრამაა, მზის

¹ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён, თბილისი, 1957 წ., გვ. 256.

ღვთაების აკროფონიც უნდა იყოს, ე. ი. მზე-ღმერთის სახელი „ღ“ — ბგერით უნდა იწყებოდეს.

ივ. ჭავჭავიძისა და ვ. ბარდაველიძის გამოკვლევათა შედეგად ცნობილი გახდა, რომ მზეს წარმართულ ქართულში დღე ეწოდებოდა.² დღე მზის მნიშვნელობით შემორჩენილია ქართულ სიტყვაში — დღეგრძელი, რაც მზეგრძელს ნიშნავს; ქართულ წარმართულ ტექსტებში (ხუცობანი, სადიდებელთაჲ) ღვთაებათა ტრიადის მეორე წევრია დღე დღესინდელი, ე. ი. მზე. ქართულ ასომთავრულ „ღონში“ მზე-ღმერთი-დღე იგულისხმება. ამას გარდა, ქართული „ღონი“ ჭვარის ერთ-ერთი ფორმაა — *crux ansata*, ამიტომაც ქართულ ასომთავრულში ჭვარის სამი სხვადასხვა ნიშანი დასტურდება: დ, ქ, და ჯ. ქართულ ანბანში ჭვარის სამეხაა.

აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: თუკი ქართული ანბანი ფინიკიური დედა-ანბანის საფუძველზე შემუშავდა, ცხადია, საკითხავია, გვაქვს თუ არა ფინიკიურ დედა-ანბანში ღვთაება მზის იდეოგრამა-აკროფონი?

მთვარე-ღმერთის იდეოგრამა-აკროფონის გამო უკვე აღვნიშნეთ, რომ ფინიკიური ასო-ნიშნის სახელი „სინ“ საკრალურად მთვარის ღმერთის მნიშვნელობით არის გაგებული. კერძოდ, ამ შემთხვევაში საკრალიზებულია ასო-ნიშნის სახელი, ხოლო მეორე შემთხვევაში მზე-ღმერთთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საკრალიზებულია მე-9 ფინიკიური გრაფემა „ტეთ“ — გორგალი. ამ ასო-ნიშნის გრაფიკა: წრე, წრეში ჩახატული ჭვარი ზუსტად მზის იდეოგრამად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამგვარად, ამ გზით საკრალიზებულია ფინიკიური ასო-ნიშნის გრაფიკული მნიშვნელობა. რაც შეეხება იდეოგრამა-აკროფონების ადგილს ანბანში, მათი სხვადასხვა ადგილზე ყოფნა გაპირობებულია აკროფონიული პრინციპით და ამგვარად გამართლებულია და დასაშვებია, მით უმეტეს, ქართულ ასომთავრულში გათვალისწინებულია ასტრონომიული შეხედულებანი: მთვარე პირველ ცაზეა, ხოლო მზე მეოთხეზე.

² ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი, თბილისი, 1950 წ., გვ. 145, 146; В. В. Бардавелидзе, დასახელებული ნაშრომი, თბილისი, 1957 წ.; გვ. 12.

ერთი საკითხიც: მკითხველმა ისე არ გაგვიგოს, თითქოს ქართული „ან“ გრაფიკულად ფინიკიურ „სინ“ გრაფემას უკავშირდებოდეს და „დონ“ ფინიკიურ „ტეთ“ გრაფემას. ქართული ასო-ნიშნები შესაბამისი ფინიკიური ასო-ნიშნებისგანაა გამოყვანილი, ოღონდ ქართულ ასო-ნიშანში განხორციელებულია განსხვავებული იდეოგრაფიული მნიშვნელობა. მაგალითისათვის, პირველი ფინიკიური „ალეფ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე გამოყვანილია ქართული ასომთავრული „ან“ გრაფემა. მათი იდეოგრაფიული მნიშვნელობა კი, როგორც უკვე ცნობილია — სხვადასხვაა: „ალეფ“ ეარის იდეოგრამა-აქროფონია, „ან“ კი მთვარისა.

მთვარის ღვთაების გამო უკვე აღვნიშნეთ, რომ მისი ზომორფული სიმბოლო ხარია, ხოლო ხარი მთვარის წმინდარიცხვის შვიდის განმცხადებელია.

ცნობილია, რომ მზე-ღმერთის სიმბოლო თვალია, ხოლო მზის წმინდა რიცხვი არის ცხრა.

ამის გამო აქ ბევრს არ ვიტყვი, რადგან ეს საკითხი ვრცლად აქვს გაუშუქებული ვ. ბარდაველიძეს. დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს, თვითონ გაეცნოს სპეციალურ ლიტერატურას ამ საკითხზე.

ქართულ მეტყველებაში დღემდე შემორჩენილი გამოთქმები: „მზის თვალი“, „ცხრათვალი მზე“ და სხვ. ვერა ბარდაველიძე წერს:

„ქართულ ეთნოგრაფიულ წყაროებში და ყოფაში მზის თვალთან შედარება-დამსგავსების მაგალითები მრავალია. ჩვენ მოგვეპოვება ტერმინი „მზის თვალი“, რომელიც მცხუნვარე პაპანაქება მზის მნიშვნელობითაც იხმარება და მზის ეპითეტსაც წარმოადგენს... განსაკუთრებით საყურადღებოა მზის მნიშვნელობით გაგებული და ხმარებული სიტყვა თვალი სვანურ დაფიცების ფორმულებში. ნაცვლად ქართული დაფიცებისა „შენმა მზემ“, „ჩემმა მზემ“ სვანი ხმარობს, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ: „შენმა თვალმა“, „ჩემმა თვალმა“ და სხვ... ეს მაგალითები არა მხოლოდ მზის თვალთან შედარება-შენაცვლების ფაქტის არსებობას ამტკიცებს, არამედ იმასაც, თუ ეს უკანასკნელი მივლენა რამდენად ძლიერად ყოფილა ჩვენში განვითარებული. სვანური დაფიცების

ფორმულებში თითქმის წაშლილია სიტყვა თვალის ძირითადი მნიშვნელობა და იგი გაგებულია, როგორც მნათობი მზის — დღის აღმნიშვნელი სიტყვა“...³

სვანეთში, ლახამულას სოფლის მოედნის წმინდა ცაცხვის ხეზე, სულ უკანასკნელ ხანამდე ეკიდა სვანების საფიცარი ხატი „გირგედი“ — მზე-ღმერთის სიმბოლო — ლითონის ცხრა-თვალა მზე (გამოქვეყნებული აქვს ვ. ბარდაველიძეს, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 64).

მზისა და თვალის ურთიერთმიმართების უამრავი მავალი-თების მოტანა შეიძლება ვ. ბარდაველიძის ხსენებული ნაშრომიდან. ჩვენთვის აქ ესეც საკმარისია.

მთავარი ის არის, რომ წარმართულ საქართველოში არსებობდა მზის ძლიერი კულტი, მზის ემბლემა იყო თვალი, ხოლო მზის წმინდა რიცხვი იყო ცხრა.

ქართულ ასომთავრულ ანბანში სწორედ ეს ვითარებაა ასახული. ამავე დროს, გვაქვს სრული ასტრონომიული შესაბამისობა მთვარისა და მზისა ქართულ ანბანში: მთვარე პირველ ცაზეა, ხოლო მზე — მეოთხეზე. ორივე შემთხვევაში ქართულ ანბანში ზუსტად არის ასახული ძველი ასტრონომიული შეხედულებანი.

რაც მთავარია, თუ ერთის მხრივ მთვარის სიმბოლო ხარია, მეორეს მხრივ ქართულ ასომთავრულ ანბანში მე-9 ასო-ნიშნად თვალის იდეოგრამა-აკროფონი ზის. ქართული ასომთავრული „თან“ იდეოგრაფიულად თვალის ძველი შუმერული იდეოგრაფიული ნიშნის იდენტურია. ქართული ასომთავრული „თან“ ზუსტად ისევე იწერება, როგორც ძველი შუმერული თვალი. სხვა არცერთ დამწერლობაში თვალის ასეთი იდეოგრაფიული ნიშანი არა გვაქვს. ამგვარად, შუმერული თვალისა და ქართული „თან“ ასო-ნიშნის გრაფიკული დამთხვევა ფაქტია. სხვა საკითხია, რით უნდა აიხსნებოდეს ეს მართლაც საოცარი დამთხვევა.

ასომთავრული „თან“ მე-9 ასო-ნიშანია ქართულ ანბანში და მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის ცხრა — მზის წმინდა

³ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1971 წ., გვ. 55, 56, 57.

რიცხვი. ცხადია, იმგვარადვე, რა კავშირიცაა მთვარის იდეოგრაფია-აკროფონსა და ხარის იდეოგრაფია-აკროფონს შორის, ანალოგიური კავშირია მზის იდეოგრაფია-აკროფონსა და „თან“ (თვალის) იდეოგრაფია-აკროფონს შორის ქართულ ანბანში. ამ კავშირის მაუწყებელია რიცხვი.

გვაქვს თუ არა თვალის იდეოგრაფია-აკროფონი ფინიკიურ ანბანში? გვაქვს. მე-16 ფინიკიური ასო-ნიშანი თვალის იდეოგრაფია-აკროფონია.

ამგვარად, ქართულ ასომთავრულ ანბანში ერთ შემთხვევაში მთვარისა და მთვარის სიმბოლო — ხარის იდეოგრაფია-აკროფონები გვაქვს, მეორე შემთხვევაში მზისა და მზის სიმბოლო — თვალის იდეოგრაფია-აკროფონები გვაქვს. მთვარის წმინდა რიცხვი არის შვიდი, მზისა ცხრა.

ასტრალურ ღმერთთა შორის ძველ სამყაროში მზესა და მთვარეს განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებოდათ. ეს ვითარება ასახულია „ქართლის ცხოვრებაშიც“. ქართველი მემკვიდრე XI საუკუნისა ლეონტი მროველი ქართველთა წარმართობის შესახებ წერს:

„...პატივსცემდნენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა, და მზისა ხუთდღეობა ღმერთთა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა“.

მაგრამ ხუთ ვარსკვლავთაგან ტრიადის მესამე წევრი იყო ცხვრის ვარსკვლავი. რადგან ქართულ ანბანში ტრიადული კონცეფციაა გატარებული, უნდა ვიფიქროთ, რომ მთვარისა და მზის იდეოგრაფია-აკროფონებს გარდა, ქართულ ანბანში ცხვრის ვარსკვლავის იდეოგრაფია-აკროფონიც უნდა გვქონდეს.

საგულისხმოა, რომ ფინიკიურ ანბანში კარის იდეოგრაფია-აკროფონი გვაქვს. ქართული ანბანის უკანასკნელ შვიდეულს კი „ცან“ გრაფემა იწყებს. ხომ არ ვიფიქროთ, რომ ეს რკალური გრაფემა სწორედ ცისა და ცის კარის აღმნიშვნელია?

უკანასკნელი შვიდეული ქართული ანბანისა, როგორც მკვებით გაირკვევა, მთვარის უკანასკნელი ფაზაა. ამ შვიდეულით სრულდება მთვარის სრული ციკლი. თუ ქართული

ანბანის „ან“ ცის ღმერთად არის დასახული, უკანასკნელ შვიდეულში იგი თავის ციურ მოძრაობას ასრულებს. იშთარი (ინანა) ანუ ცისკრის ვარსკვლავი კი, როგორც ცნობილია, იყო ასული ცის ღმერთისა, ასული „სინ“-ისა (მთვარის ღვთაებისა) და დედოფალი ცისა.⁴ ამგვარად, ცისკრის ვარსკვლავის გამოჩენა უკანასკნელი შვიდეულის პირველ გრაფემად თითქოს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ სრულდება მთვარის სრული ციკლი და ანბანი დასასრულს უახლოვდება.

ამგვარად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „ცან“ ასონიშანი გრაფიკულად ცის კარის იდეოგრაფიული ნიშანია და ამდენად იგულისხმება, რომ იგი ტრიადის მესამე წევრის ცისკრის ვარსკვლავის იდეოგრამა-აკროფონიც უნდა იყოს.

„ლან“ გრაფემა ყველაზე მეტად საკრალური გრაფემაა ქართულ ანბანში. როგორც ზენოთ უკვე ითქვა, ეს გრაფემა ერთდროულად ბერძნული ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის და საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაც.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ამ ასონიშანს „ლ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ე. ი. მისი ფონემური მნიშვნელობაც საკრალურია, რადგან აკროფონიულად ღმერთის სახელის აღმნიშვნელია.

იდეოგრაფიულად „ლან“ ასონიშანი თაღოვანი კარია, თაღოვანი ნიშია. როგორც გამოიჩვენა, იგი უხილავი ღმერთის ღვთის კარია, და ამდენად უხილავი ღმერთის იდეოგრამა-აკროფონია.

„ლან“ ასონიშნის იდეოგრაფიული რაობის ამოცნობა მთელ რიგ საკითხებთანაა დაკავშირებული, რის გამოც შევეცდები ეს იდეოგრამა-აკროფონი გზადაგზა და თანმიმდევრულად განვმარტო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ასონიშთავრულ დამწერლობაში სულ შვიდი იდეოგრამა-აკროფონია. ამ იდეოგრამა-აკროფონების ანბანური თანმიმდევრობა ასეთია:

⁴ იხ.: K. Talqvist. დასახ. ნაშრომი, გვ. 332-333.

1. **Շ** — ან — მთვარის ღმერთი (ცის ღმერთი)
2. **Ծ** — მზე — ღმერთი „ღღე ღღესინდელი“
3. **Ե** — თვალი მზე — ღმერთის ემბლემა
4. **Ո** — ღვთის კარი (უხილავი ღმერთის სამყოფელი)
5. **Շ** — ცისკარი (ასული ცის ღმერთისა, დედოფალი ცისა)
6. **Կ** — ხარი მთვარის ღმერთის ემბლემა
7. **Ճ** — ჯვარი ანბანის დასასრულის ნიშანი

შვიდ იდეოგრამა-აკროფონს შორის ღვთის კარს უკავია შუა, ანუ ცენტრალური ადგილი.

ქართული ანბანის ვოკალიზაციის პრინციპი

სემური კონსონანტური ანბანის ვოკალიზაციის საერთო პრინციპის თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული დამწერლობა განეკუთვნება ბერძნულ და საერთოდ დასავლურ ვოკალიზებულ ანბანურ სისტემას.

ცნობილია, რომ თავდაპირველ სემურ ანბანურ დამწერლობაში ყოველ ასო-ნიშანს თანხმომავანი ბგერის მნიშვნელობა ჰქონდა. 22 ასო-ნიშანი სემურ ანბანში 22 კონსონანტური ბგერაა. ცალკე, ხმოვნებისათვის განკუთვნილი ასო-ნიშნები სემურ ანბანს არ ჰქონდა.

მაგრამ, ძალიან ადრე, უკვე X ს. ძვ. წ. ფინიკიელებმა შეიმუშავეს გრძელი ხმოვნების აღნიშვნის საკუთარი წესი. სემური დამწერლობის ვოკალიზაციის ეს პრინციპი ცნობილია სახელწოდებით *matres lectionis*.

ვოკალიზაციის სემური პრინციპი

ერთხელ შემოღებულ სემურ 22-ნიშნიან ანბანურ დამწერლობას აღმოსავლურ სემურ ანბანურ სამყაროში საუკუნეთა მანძილზე არც რაიმე ასო-ნიშანი გამოჰკლებია და არც რაიმე ასო-ნიშანი დამატებია. ტრადიციული სემური ანბანური მწკრივი მკაცრად იყო დაცული ხელყოფისაგან. ებრაელთა თალმუდში ნათქვამია: „თუნდაც ერთი ასო-ნიშნის გამოკლება ან დამატება ქვეყნის აღსასრულის მომასწავებელია“-ო.

ხმოვნებისათვის განსაკუთრებული ასო-ნიშნები ფინიკიელთა არ შემოუღიათ, ოღონდ ზოგიერთ ანბანურ კონსონანტურ ბგერებს გრძელი ხმოვნების მნიშვნელობაც მიანიჭეს. კერძოდ: 1. ალფ და 5. ჰე ასო-ნიშნებს ა (გრძელი ა-ს)

მნიშვნელობა; 6. ვაგ ასო-ნიშანს ო (გრძელი ო-ს) და ჟ (გრძელი უ-ს) მნიშვნელობა .10. იოდ ასო-ნიშანს ი (გრძელი ი-ს) და ე (გრძელი ე-ს) მნიშვნელობა.

ვოკალიზაციის სემური პრინციპი ე. წ. *matres lectionis* იხმარებოდა როგორც ფინიკიურ, აგრეთვე, უფრო ინტენსიურადაც კი, ყველა სემურ დამწერლობაში: პუნურში, ახალ-პუნურში, არამეულში, ებრაულში, პალმირულში, სირიულში და სხვ.

თავისთავად ცხადია, ქართული ასომთავრული დამწერლობის ანბანური სისტემა არ განეკუთნება აღმოსავლურ ანბანურ სამყაროს, მით უმეტეს, დამწერლობის ვოკალიზაციის ძველი სემური პრინციპი ქართულ ანბანში არა გვაქვს.

ვოკალიზაციის სილაბური პრინციპი

სემური კონსონანტური ანბანი აღმოსავლურ, ინდურ სამყაროში საფუძვლად დაედო ჯერ ბრაჰმი, ხოლო უფრო გვიან ქართლში დამწერლობებს.

სემური კონსონანტური ანბანი ძველმა ინდოელებმა ძირფესვიანად გარდაქმნეს. ფაქტიურად, ძველი სემური ანბანური დამწერლობის საფუძველზე ინდოეთში შემუშავდა დამწერლობის სრულიად განსხვავებული, სილაბური სისტემა. ეს გარდაქმნა, ძირითადად, სემური კონსონანტიზმის ვოკალიზაციის საფუძველზე მოხდა.

ბრაჰმი დამწერლობაში ვოკალიზებულია უკლებლივ ყველა თანხმოვანი. ამის გამო ყოველ ასო-ნიშანს მარცვლის მნიშვნელობა აქვს. ვოკალიზაციის ასეთმა პრინციპმა „ბრაჰმილიპი“ სილაბურ ანუ მარცვლოვან დამწერლობად აქცია. ვოკალიზაციის ეს სილაბური პრინციპი ასეთია: ყოველი თანხმოვანი მოკლე „ა“ ბგერით იკითხება, მაგ.: ბა, გა, მა, რა, და... ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ თანხმოვანს სხვა ხმოვანი მოსდევს, მარცვლის აღმნიშვნელ ძირითად გრაფემას დამატებითი ნიშანი ემატება. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიტანოთ ერთი მაგალითი:

ქ-ლ^ჲ /ძიბითადი გრაფემა/

ქ-ლ^ა; ქ-ლი; ქ-ლ^ი; ქ-ლე;

ქ-ლო; ქ-ლ^უ; ქ-ლ^უ

ბრაჰმი დამწერლობის სილაბური ვოკალიზმის პრინციპი განხორციელდა აგრეთვე ქპაროშთი და ეთიოპიურ დამწერლობებში, ხოლო მრავალრიცხოვან ინდო, ინდო-ჩინურ და ინდონეზიურ დამწერლობებს, რომელთა წარმოშობა ბრაჰმი დამწერლობასთანაა დაკავშირებული, შენარჩუნებული აქვთ ვოკალიზაციის სილაბური სისტემა.

თავისთავად ცხადია, ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში ვოკალიზაციის სილაბური პრინციპი არა გვაქვს.

ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი

პირველსავე სიტყვაზე მოვიდეთ: ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში განხორციელებულია სემური კონსონანტური დამწერლობის ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი.

როგორც ცნობილია, ბერძნულ დამწერლობას სემური კონსონანტური ანბანი დაედო საფუძვლად. ბერძნებმა ზოგიერთი სემური კონსონანტი ხმოვან ასო-ნიშნებად აქციეს, ე. ი. ასო-ნიშნებმა ბერძნულ ანბანში დაჰკარგეს თავისი თავდაპირველი სემური კონსონანტური მნიშვნელობა და ხმოვანი ბგერების მნიშვნელობა შეიძინეს. სემური დამწერლობის ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპიც ეს არის.

ვოკალიზებული ბერძნული ანბანი თავის მხრივ საფუძვლად დაედო ყველა დასავლურ ანბანურ დამწერლობას, ამდენად, ყველა დასავლურ ანბანურ დამწერლობათა ვოკალიზაცია თავისთავად და უმტკივნეულოდ მოხდა. დასავლეთის

ანბანურმა სამყარომ აითვისა დამწერლობის ბერძნული გრაფიკა და ასო-ნიშნების ბერძნული ფონეტიკური მნიშვნელობა, ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპიც.

იგივეს ვერ ვიტყვით ქართული ასომთავრული დამწერლობის შესახებ.

ქართულ ასომთავრულ დამწერლობას, მსგავსად ბერძნულისა, საფუძვლად დაედო სემური კონსონანტური ანბანი; ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა, მსგავსად ბერძნულისა, შექმნილია სემური დამწერლობის გრაფიკის საფუძველზე; ქართული ასომთავრული ანბანი, მსგავსად ბერძნულისა, შექმნილია ფინიკიური დედა-ანბანის საფუძველზე; ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში განხორციელებულია დამწერლობის ზოგადი ბერძნული პრინციპები; ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ვოკალიზაციის ზოგადი ბერძნული პრინციპი.

ვოკალიზაციის ზოგადი პრინციპი ბერძნულ და ქართულ ანბანებში ერთი და იგივეა, ოღონდ ცალკეულ შემთხვევაში სემური კონსონანტების ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანებში იდენტური არ არის, არის შემთხვევები, როცა სემური კონსონანტი ბერძნულში ვოკალიზებულია, ხოლო ქართულში არა და პირიქით.

მეტი სიცხადისათვის საჭიროა განვიხილოთ სემური კონსონანტების ვოკალიზაციის ყველა შემთხვევა ბერძნულ და ქართულ ანბანებში. შედარებისას, ცხადია, უნდა განვიხილოთ ვოკალიზაციის ყველა შემთხვევა კლასიკური ხანის ბერძნულ კაპიტალურ და ქართულ ასომთავრულ დამწერლობებში.

ქვემოთ არაბული რიცხვებით აღნიშნული გვაქვს სემური კონსონანტების ადგილი რიგითი სათვალავით სემურ ანბანურ მწკრივში.

პირველი სემური კონსონანტური ბგერა, ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ა“ ბგერად. ამ შემთხვევაში ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანში იდენტურია;

მე-5 სემური კონსონანტური ბგერა (ჰე) ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ე“ ბგე-

რად. ამ შემთხვევაშიც ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანში იდენტურია;

მე-8 სემური კონსონანტური ბგერა (ჰეთ) ბერძნულ კლასიკურ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ეტა“ (გრძელ ე) ბგერად. კლასიკურ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მე-8 ასო-ნიშანი ვოკალიზებული არ უნდა ყოფილიყო და ამ ასო-ნიშანს „პ“ ბგერის

სემური ანწანური ჯგუფი

სემური კონსონანტი	ბერძნული	ქართული ასოთ.	ქსელ.
κ, ϰ	Α	ⴒ	ა
ϰ, ϱ	Ε	ⴓ	ე
ⱪ, ϣ	Η	ⴔ	ე
Ϸ	Ι	ⴖ	ი
ϰ, ϱ	Ξ	ⴘ	ე
Ο, Ϛ	Ο	ⴚ	ო

ბერძნული ანწანური ჯგუფი

Υϣ	Υ	ⴑ	უ
	ΟΥ	ⴒⴑ	უ
Ο, Ϛ	Ω	ⴓ	ო

მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ე. ი. ამ შემთხვევაში ბერძნული ვოკალიზაცია კლასიკურ ქართულში განხორციელებულა არ უნდა ყოფილიყო და მე-8 ასო-ნიშანს ქართულ ასომთავრულში სემური ფონემური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

მე-10 სემური კონსონანტური ბგერა (იოდ) ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ი“ ბგერად. ამ შემთხვევაში ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანში იდენტურია.

მე-15 სემური კონსონანტური ბგერა (სამეკე) ბერძნულ კლასიკურ ანბანში ვოკალიზებული არ არის, არც ოდესმე ყოფილა ვოკალიზებული. ბერძნულ კლასიკურ ანბანში ამ სემურ ბგერას (სამ „სან“-თაგან ერთ-ერთს) მხოლოდ „ქს“ ბგერის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში კი მე-15 სემური კონსონანტური ბგერა ვოკალიზებულია „ა“ ნახევარხმოვან ბგერად.

მე-15 სემური კონსონანტური ბგერის ვოკალიზაცია წმინდა ქართული მოვლენაა და სხვა არცერთ ანბანში ამ პრეცედენტს ანალოგია არ ეძებნება (ვულფილას გუთურ ანბანში ა ნახევარხმოვანი შემოდებულია ხელოვნურად და არა სემური კონსონანტის ვოკალიზაციის მეშვეობით).

როგორც ცნობილია, უკვე არქაულ ბერძნულში იყო გარჩევა მოკლე და გრძელი ხმოვნებისა. კერძოდ, აღმოსავლურ ბერძნულ ანბანებში მე-5 ასო-ნიშანს (ე-ფსილონ) მოკლე „ე“ ხმოვნისა, ხოლო მე-8 (ეტა) ასო-ნიშანს გრძელი „ე“ ხმოვნის მნიშვნელობა ჰქონდა. ისევე აღმოსავლურ ბერძნულ ანბანებში იყო გარჩევა მოკლე და გრძელი ო-სი (ო-მიკრონ და ო-მეგა).

ჩანს, კლასიკური ხანის ქართულ ასომთავრულში გრძელი და მოკლე ხმოვნების ფონეტიკური მოთხოვნილება არ ყოფილა, მაგრამ „ეე“ ნახევარხმოვნის (ე. ი. მოკლე „ინის“) შემოღება კი აუცილებელი გამხდარა.

მე-16 სემური კონსონანტური ბგერა (აინ) ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ო“ ბგერად. ამ შემთხვევაში ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანში იდენტურია. ამით ამოიწურა „სემური“ ანბანური ჯგუფის ბერძნულ-ქართული ვოკალიზაცია.

ბერძნული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში, როგორც ცნობილია, სემურ ასო-ნიშნებს არა სემური, არამედ საკუთრივ ბერძნული ფონემური მნიშვნელობა აქვთ.

ბერძნული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში ვოკალიზებულია ორი სემური გრაფემა: მე-6 სემური კონსონანტური ბგერა (ვაე) და მე-16 სემური კონსონანტური ბგერა ('აინ).

ქართული ასომთავრული დამწერლობის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში, ძირითადად, გატარებულია იგივე ფონეტიკური პრინციპი, ე. ი. სემურ ასო-ნიშნებს არა სემური, არამედ ბერძნულის შესაბამის ფონემური მნიშვნელობა აქვთ. ამიტომაც, ბერძნული ვოკალის „იუ-ფსილონის“ ფარდია ქართული „ვე“, ხოლო ბერძნული „ო-მიკრონისა“ და „იუ-ფსილონის“ კომპლექსის ფარდია ქართული „ონისა“ და „ვეს“ კომპლექსი. ორივე შემთხვევაში ეს კომპლექსი ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში „უ“ ხმოვნის მნიშვნელობისაა.

დიდად მნიშვნელოვანია ბერძნული ანბანური ჯგუფისა და კლასიკური ბერძნული ანბანის უკანასკნელი „ომეგა“ ასო-ნიშნის საკითხი.

მე-16 სემური კონსონანტური ბგერა ('აინ) ორგზისაა ვოკალიზებული ბერძნულ ანბანში: ერთგზის ო-მიკრონ (ო-მოკლე) ბგერად „სემურ“ ანბანურ ჯგუფში და მეორედ ო-მეგა (ო-გრძელ) ბგერად ბერძნულ ანბანურ ჯგუფში.

ქართულ ასო-ნიშნებს, ქართული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში, როგორც უკვე ითქვა, ბერძნული ასო-ნიშნების შესაბამის ფონემური მნიშვნელობა აქვთ. „ომეგა“ ასო-ნიშნის ფარდად კი ქართული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში „ლან“ გრაფემა ზის. როგორც ბერძნული „ომეგა“, იმგვარადვე ქართული „ლან“ გრაფემა მე-16 სემური გრაფემის ინვერსიული ფორმაა.

ერთი რამ ცხადია: მე-16 სემური კონსონანტური ბგერა ბერძნულ უკანასკნელ ასო-ნიშანში ვოკალიზებულია და გრძელი „ო“-ს მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ქართული „ლან“ კი ვოკალიზებული არ არის, რადგან ქართულში, ჩანს, მოკლე და გრძელი „ონის“ გარჩევა არ იყო და ამიტომაც მეორე „ონის“ შემოღება ქართულ ანბანში გაუმართლებელი იქნებოდა. ამდენად, „ლან“ ქართული ანბანის ბერძნული ანბანურ-

რი ჯგუფის ერთადერთი გრაფემაა, რომელსაც ბერძნული ფონემური მნიშვნელობა მინიჭებული არა აქვს.

მაგრამ რატომ მიენიჭა მე-16 სემური ასო-ნიშნის ინვერსიულ ფორმას ქართულ ანბანში „ღან“ ფონემის მნიშვნელობა? მით უმეტეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ღან“ გრაფემა ზუსტად ბერძნული „ომეგა“ გრაფემის მოხაზულობისაა. აღსანიშნავია, რომ „ომეგას“ V-IV საუკუნეთა მიჯნაზე, ძველი წელთაღრიცხვით არა წრიული, არამედ თაღოვანი მოხაზულობა ჰქონდა, ე. ი. ზუსტად ისე იწერებოდა, როგორც ქართული „ღან“-ი.

მე-16 ფინიკიური გრაფემა ერთადერთი ფინიკიური ასო-ნიშანია, რომელიც ბერძნულ ანბანში ორგზის არის ვოკალიზებული. ნიშნეულია, რომ ფინიკიურ ანბანში მე-16 ასო-ნიშანს ორი ფონემური მნიშვნელობა ჰქონდა: ხორბისმიერი მუღერისა და „ღ“-უკანა-ენისმიერი მუღერი სპირანტისა.¹ იმ დროს, როცა ქართული ანბანი იქმნებოდა, არც ერთ სხვა სემურ ენაში მე-16 ასო-ნიშანს „ღ“ ფონემის მნიშვნელობა არ ჰქონდა, გარდა ფინიკურისა.

უნდა დავასკვნათ, ქართული „ღან“ გრაფემის ფონემური მნიშვნელობის ერთადერთი წყაროა ფინიკიური დედა-ანბანი.

მე-16 ფინიკიური ასო-ნიშანი ქართულ ანბანში მსგავსად ბერძნულისა. ორგზისაა გამოყენებული. ერთგზის იგი ვოკალიზებულია, მსგავსად ბერძნულისა, „ო“ ბევრად (ქართულ ასომთავრულ ანბანში „ო“ მე-16 ასო-ნიშანია), ხოლო მეორეგზის მე-16 ფინიკიური გრაფემის ინვერსიულ ფორმას „ღ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს და ბერძნულის სამართავროდ ვოკალიზებული არ არის.

ასომთავრული ასო „ღან“-ის შესახებ შეგვძლება ითქვას შემდეგი:

1. ქართული ასომთავრული „ღან“-ი მე-16 ფინიკიური ასო-ნიშნის ინვერსიულ ფორმაა და მე-16 ფინიკიური ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა აქვს. ანდუნად, ერთგზის ასო „ღან“-ი ფინიკიური გრაფემაა.

2. ქართული ასომთავრული „ღან“-ი ქართული ასომთავ-

¹ Н. Ш. Шифман, Финикийский язык, М., 1963, стр. 23, 24.

რული ანბანის ბერძნული ანბანური ჯგუფის გრაფემაა, ბერძნული ანბანური ჯგუფის „ომეგა“ გრაფემის ადგილზე ზის და ბერძნული „ომეგა“ გრაფემის მოხაზულობისაა. ამდენად, მეორე ვზის ასო „ღანი“ ბერძნული გრაფემაა.

3. ქართული ასომთავრული „ღან“-ი ქართულ ანბანში რიგითი სათვალავით 25-ე გრაფემაა, ე. ი. ქართული ასომთავრული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაა. ამავე დროს, ასო „ღან“-ი ქართული იდეოგრაფიკა-აკროფონია — ღმრთის კარის გამოხატულებაა და უხილავი ღმერთის სამყოფელია. ე. ი. მესამეგზის ასო „ღან“ საკუთრივ ქართული გრაფემაა.

ქართულ ასო „ღან“-ში განხორციელებულია ძველი წარმართული სანების პრინციპი და იგი საიდუმლო, საკრალური მნიშვნელობისაა.

შეიძლება დავასკვნათ: სემური კონსონანტური ანბანის ვოკალიზაციის საფუძველზე ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში შემოღებულ იქნა 7 ხმოვანი ბგერის აღნიშვნა. ა, ი, ე, ო, მ, უ, უ. (უ) — ხმოვანი აღინიშნებოდა ორი ასო-ნიშნით).

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: კლასიკურ ბერძნულ ანბანში „ე-მეხუთეს“ ყოველთვის მოკლე „ე“ ბგერის მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო „ე-მერვეს“ გრძელი „ე“ ბგერისა. ქართულ ასომთავრულში კი ე-მეხუთეს შეუძლებელია მოკლე „ე“ ბგერის მნიშვნელობა ჰქონოდა; ბერძნულ იოტას კლასიკურ ბერძნულ ანბანში ჰქონდა როგორც მოკლე „ი“-ს მნიშვნელობა, აგრეთვე გრძელი „ინისა“. ქართულ ასომთავრულში კი გრძელი და მოკლე „ინისათვის“ ცალ-ცალკე ასო-ნიშნები არსებობდა. ო-მიკრონს ბერძნულ ანბანში ყოველთვის მოკლე „ონის“ მნიშვნელობა ჰქონდა, ქართულში კი გრძელი და მოკლე ონის გარჩევა არ იყო.

ქართულ ასომთავრულში ვოკალიზაციის ზოგადი პრინციპი ბერძნულია, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ქართულ ასომთავრულ ანბანში გათვალისწინებულია ქართული ენის ბუნება და თავისებურება.